პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დღის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 31 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 124 (2167)

დღიური

- გაიხსნა მემალაროეთა საერთაშორისო გაერთიანების კონგრესი.
- ამერიკის კომპარტიის საარჩევნო პროგრამა.
- პოლონელ კომუნისტების გაძევება გერმანიიდან.
- გაფიცვები ნორვეგიაში.
- ინგლისელ რეფორმისტების იერიშები უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ.
- ანტი-იტალიური დემონსტრაციები სამხრეთ-სლავიაში.
- ექსპედიციების გაგზავნა დირიჟაბლ „იტალია"-ს მოსაძებნად.

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა **ივნისისათვის**
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

ფრანგი სოციალისტები „ოპოზიციონერების" როლში

ტულუზაში ამჟამად მიმდინარეობს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა, რომლის დღის წესრიგის მთავარ საკითხს შეადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს სოციალისტების ტაქტიკა ახალ პალატაში და რანაირი დამოკიდებულება უნდა დაამყარონ მათ მთავრობასთან.

ამ საკითხის გარშემო დიდ შეხლა-შემოხლას ჰქონდა ადგილი ფრანგ მენშევიკების რიგებში. მათი მემარჯვენე ფრთა რენოდელ - ბონკურის მეთაურობით მოითხოვს პუანკარესთან აშკარა თანამშრომლობას. ამას წინედ პოლ ბონკურმა ხოტბა შეასხა პუანკარეს. „საფრანგეთმა მხოლოდ დააფასა უდავო დამსახურება (!) პუანკარესი, რომელმაც ქვეყანა იხსნა"-ო. მსხვილი კაპიტალის სადარაჯოზე დგომა და მუშათა კლასის დაუძინებელი მტერი, მსხვილი კაპიტალის აგენტი, უკიდურესი იმპერიალისტი და საბჭოთა კავშირის შეურიგებელი მოწინააღმდეგე — აი, ვინ არის პუანკარე და ვის წინაშე იხრის თავს „სოციალისტი" ბონკური.

ბონკური მოუწოდებდა თავის პარტიას „დადებითი" მუშაობისაკენ ბურჟუაზიასთან ერთად, კერძოდ მოითხოვდა, რომ მის პარტიას მიეღო მონაწილეობა პალატის უმრავლესობის საქმიანობაში, ხელი აეღო ოპოზიციონერობაზე და ძალაუფლების მოზიარე გამხდარიყო. ეს, ამბობდა ბონკური, სხვათა შორის, საჭიროა კომუნიზმთან წარმატებით ბრძოლისათვის: როცა სოციალისტურ ხელისუფლებას მოექცევიან სათავეში, მათ შეუძლიათ კომუნიზმს დაუპირდაპირონ მშვიდობიან რეფორმების განხორციელებაო.

გასაგებია, რომ საფრანგეთის რეაქციონური პრესა სიხარულით შეხვდა ბონკურის გამოსვლას. მაგ., მილიერანის „ავენირ" წერდა: „ბონკური ლაპარაკობს ისეთივე ენით, როგორც ჩვენ, და მიისწრაფვის იმავე მიზნებისაკენ, როგორც ჩვენ. დეე, საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ მიბაძოს ბონკურის რჩევას, დეე, ის გახდეს წმინდა რეფორმისტულ პარტიად, და მხარი დაუჭიროს ნაციონალურ გაერთიანების მთავრობას"-ო. ამგვარად, ბონკურის ჯგუფსა და მილიერან - პუანკარეებს შორის არავითარი განსხვავება არ არის. რაც შეეხება „ავენირ"-ის სურვილს, რომ სოციალისტური პარტია გახდეს „წმინდა" რეფორმისტულ პარტიად, უნდა ითქვას, რომ ეს სურვილი დიდი ხანია განხორციელებულია; დიდი ხანია, რაც საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ უარყო კლასობრივ ბრძოლის პრინციპი და დაადგა ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზას.

მაგრამ ბონკურის საკმაოდ ძლიერ მემარჯვენე ფრთის გარდა, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში არის ცენტრის ჯგუფი — ბლიუმის ხელმძღვანელობით და „მემარცხენე" ნაწილი ლონგეს მეთაურობით. ბლიუმი ვერ ბედავს აშკარად მიემხროს პუანკარეს, ხოლო ამავე დროს აცხადებს, რომ „ჩვენ ბოლომდე უნდა ვებრძოლოთ კომუნისტებს"-ო. ეს ბრძოლა კი, ცხადია, ნიშნავს მთლიან ფრონტის განხორციელებას ბურჟუაზიასა და სოციალისტებს შორის. რაც შეეხება ლონგე - ჟირომსკის „მემარცხენე" სიტყვიერებას, მისი დანიშნულება არსებითად მდგომარეობს მუშათა მასების მოტყუებაში.

რომელმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა ტულუზის ყრილობაზე? ყრილობა მიმდინარეობს კომუნიზმთან ბრძოლის ნიშან ქვეშ. მის რეზოლიუციაში ვკითხულობთ: „სოციალისტური პარტია არჩევნებიდან გამოიტანს გაკვეთილს, რათა აწარმოოს ბრძოლა კომპარტიის წინააღმდეგ"-ო. არჩევნებში კი, როგორც ვიცით, კომპარტიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა, რამდენადაც საქმე მუშათა მასებზე გავლენას ეხება. პროლეტარულ ცენტრში მან სასტიკად დაამარცხა სოციალისტები. მათი ასეთი დამარცხება მიეწერება იმ გამცემლურ პოლიტიკას, რომელსაც ისინი ატარებენ. ამიტომაც ყრილობა თავის რეზოლიუციაში აცხადებს, რომ „სოციალისტები ყოველ შემთხვევაში უარს იტყვიან კომუნიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ პარტიების კოალიციაში მონაწილეობაზე". რეზოლიუცია შემდეგ აღიარებს კომუნიზმის და სოციალიზმის საბოლოო მიზნების იგივეობას, მაგრამ გადაჭრით კიცხავს „კომუნისტების მეთოდებს". მაგრამ განა ნათელი არ არის, რომ „კომუნისტების მეთოდების" გაკიცხვა და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დასახვა თავის მუშაობის მთავარ საგნად რეაქციის საიმედო მოკავშირეებად ხდის ბლიუმებს, როგორც ეს დღევანდლამდე იყო. კიდევ მეტი: ეს კავშირი უფრო განმტკიცდება, რამდენადაც კომუნიზმის გავლენა იზრდება.

ასეთ მდგომარეობას ვერ შესცვლის ყრილობის რეზოლიუციის ის ნაწილი, რომელიც აცხადებს, რომ სოციალისტური პარტია გაატარებს „გადაჭრილ" ოპოზიციას მთავრობის მიმართ, დაემყარება უკანასკნელი მემარჯვენე ბლოკს, თუ დეპუტატთა პალატის, ეხლანდელ შემადგენლობაში შესაძლებელ რომელიმე სხვა კოალიციასო. ჩვენ ვიცით ფასი ასეთი რეზოლიუციის და ოპოზიციონერობის. ყველაფერი ეს ნათქვამია მასების ზეგავლენით და მათთვის თვალის ასახვევად.

კომპარტია ადვილად შესძლებს „სოციალისტების ოპოზიციონერობის" ნამდვილ ხასიათის გამომჟღავნებას მუშათა მასების თვალში. მათი მოღალატეობის ურიცხვი ფაქტები, მდიდარ მასალას იძლევა ამ მიზნისათვის.

სახიფათო თამაში

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში სისტემატიურად გროვდება ფაქტები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ პოლონეთის დიპლომატია საბჭოთა კავშირის მიმართ ატარებს რაღაც გარკვეულ გეგმას. ეს გეგმა ჯერ-ჯერობით საიდუმლოებით არის მოცული.

ამ ფაქტების უბრალო ჩამოთვლა საკმაოდ ასურათებს და ამტკიცებს ზემოთქმულს.

თითქოს საგანგებო დაკვეთით, პოლონეთის პრესა სისტემატიურად და დაჟინებით აზვიადებს ეგრედ წოდებულ ჯაშუშთა საქმეს, რომელიც წარმოადგენს შანტაჟურ - პროვოკაციული ხასიათის უხეირო ცდას. ის გარემოება, რომ პოლონეთის პრესის კამპანია ამ საკითხში ტარდება ასე დაჟინებით და ასე არაკეთილსინდისიერად და ანგარიში არ ეწევა სრულიად თვალსაჩინო და ყველასათვის ნათელ ფაქტებს, მოწმობს, რომ ამ ხმაურობას აქვს სპეციალური მიზანი.

თავის ორ სიტყვაში, რომლებიც წარმოსთქვა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სეიმსა და სენატში. მან განსაკუთრებით გარკვევით გაილაშქრა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს აფერხებს პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას. ამავე დროს იმავე ზალესკის განცხადება პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განუწყვეტელი განვითარების შესახებ მოწმობს იმას, რომ ზალესკის არგუმენტაცია მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს. სწორედ ეს ფაქტები აუცილებლად გვაფიქრებინებს, რომ შეტევას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ დასახული აქვს არა პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარების პრაქტიკული მიზნები, არამედ ისეთი მიზნები, რომლებსაც არაფერი არა აქვს საერთო ამ ვაჭრობის განვითარებასთან. უწევდა რა ანგარიშს ამჟამად შექმნილ „საერთო განწყობილებას" იცოდა რა, თუ რამდენად არის ამჟამად მოდაში ზოგიერთ ქვეყნებში შეტევა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, ზალესკი, უეჭველია, არა მარტო იმას ისახავდა მიზნად, რომ ვილაცას გული მოეგო თავისი გამოსვლებით, არამედ აგრეთვე, რაც უმთავრესია, თითონ სურდა დაეკავებია ადგილი პირველ რიგებში საბჭოთა კავშირის ეკონომიკაზე შეთანხმებული შეტევის დროს.

იმავე დროის განმავლობაში, რომელზედაც ჩვენ ზევით ვწერდით, პოლონეთის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ბელორუსთა გრომადის საქმეზე. პროცესის ხასიათმა, პროკურატურის სრულიად დაუშვებელმა გამოსვლებმა ამ საქმეში და პოლონეთის პრესის ზოგიერთ ორგანოთა ასეთივე ხასიათის პოზიციამ, პოლონეთის მთავრობის ხაზმა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან დაუშვა პროკურორის ასეთი უპასუხისმგებლო გამოსვლები, — ყოველივე ამან შექმნა სპეციფიური ატმოსფერა, მოწამლული ანტისაბჭოთა კამპანიის შხამით.

4 მაისის თავდასხმის შემდეგ პოლონეთის მთავრობამ მოახდინა დაპატიმრებანი რუს თეთრგვარდიელთა შორის და დაშლილად გამოაცხადა „რუს ახალგაზრდობის კავშირი", მაგრამ ასეთი მოქმედება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. მთავრობა იჩქარის იმ შთაბეჭდილებათა შერბილებას, რომელიც გამოიწვია მისმა მოქმედებამ თეთრგვარდიელ ემიგრანტების მიმართ, რომლებიც სისტემატიურად ქმნიან დაბრკოლებას პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში. მიუხედავად იმისა, რომ ვარშავის საოლქო სასამართლომ გადაჭრით გაილაშქრა იმ პირთა განთავისუფლების წინააღმდეგ, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელზე თავდასხმის საქმის გამო, ვინაიდან სასამართლოს მიაჩნდა, რომ ამ პირთა განთავისუფლება ჰქმნის „გამოძიების მსვლელობაზე გავლენის მოხდენის და ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის საშიშროებას", სააპელაციო სასამართლომ, უეჭველად სათანადო წრეების ზეგავლენის გამო, გამოიტანა დადგენილება საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელზე თავდასხმაში მონაწილეთა უმრავლესობის განთავისუფლების შესახებ. ამასთან ერთად თვით პროცესი საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელზე თავდასხმის შესახებ გადატანილია სექტემბერში.

ამასთან ერთად ჩვენ გავიგეთ პოლონეთის პრესიდან, რომ პატეკი „შესცდა", როდესაც იუწყებოდა „რუს ახალგაზრდობის კავშირის" დახურვის შესახებ პოლონეთში. თურმე რუს ახალგაზრდობის კავშირის დაშლის ნაცვლად ხდება (ნამდვილად კი?) ამ კავშირის ვარშავის ფილიალის დაშლა.

საქმის ასეთი გაჭიანურება და ამასთანავე იმ პირთა განთავისუფლება, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ თავდასხმის მომზადებაში, ქმნის ასეთი მოქმედების სრული დაუსჯელობის ატმოსფერას.

ჩამოთვლილ ფაქტებთან ერთად პოლონეთის პრესა, შეუწყვეტლივ აწარმოებს ცილისწამების კამპანიას საბჭოთა კავშირისა და მისი დიპლომატიური და სავაჭრო მისიის წინააღმდეგ.

კრაკოვის გაზეთი „ჩას", რომელიც დაკავშირებულია ხელმძღვანელ სფეროებთან, ნებას აძლევს თავს აწარმოოს სრულიად გაუგონარი პროპაგანდა „პირდაპირი მოქმედების" სასარგებლოდ. აღნიშნული გაზეთი იხსენიებს „ნაცად საშუალებებს", რომლებიც გამოყენებული იყო სხვადასხვა დროს გერმანიაში, ინგლისში, და ჩინეთში, და მოითხოვს თავდასხმას საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე.

დასასრულ, ზემოთ აწერილ სურათის დასამთავრებლად გარეშე საქმეთა მინისტრი თავის უკანასკნელ სიტყვაში, ეხება რა ის რიგის ხელშეკრულებას, ნებას აძლევს თავს განაცხადოს, რომ „პოლონეთი" არ გაიტაცა ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებამ (?), იგი ხელმძღვანელობდა ზომიერებით (?!), ეყრდნობოდა მოწინააღმდეგის დანდობის პრინციპს და, ამის მიხედვით დახდო ხელშეკრულებაო.

ზალესკის უეჭველად იმისათვის დასჭირდა გამოეყვანა პოლონეთი „ბრწყინვალე გამარჯვებულად" 1920 წლის ომში, რომ აღედგინა ის აგრესიული ატმოსფერა, რომელიც გამეფებული იყო მაშინ პოლონეთის პოლიტიკაში და რომელიც მკაფიოდ იჩენს თავს ამჟამად.

ზალესკიმ უნდა გაიხსენოს, რომ ეგრედწოდებული კერზონის ხაზი, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისში წარმოადგენდა პოლონეთის ზრახვების უკიდურეს ზომას, ბევრად იყო დაშორებული დასავლეთისაკენ იმ საზღვრისაგან, რომელიც დამყარებულ იქნა რიგის ხელშეკრულებით.

ზალესკი მიმართავს ისტორიას და ამახინჯებს მას განსაკუთრებული, მისთვის ამჟამად საჭირო მიზნებისათვის.

მთელ რიგ წერილებში, რომლებიც მოთავსებულია ოფიციოზურ „გლოს პრავდი"-ში და რომლებსაც ხელს აწერს „სპექტატორი" (ხსენებული გაზეთის რედაქციის განცხადებით ამ ფსევდონიმს ამოფარებულია პოლონეთის (ცნობილი დიპლომატი) გატარებულია ის აზრი, რომ ვერსალის ხელშეკრულებით დამყარებულ სისტემას არა აქვს თავისი ლოღიკური დამთავრება, ვინაიდან ის არ აწესრიგებს „რუსეთის საკითხს" ის სრულიად გულახდილად აცხადებს, რომ „მხოლოდ მარშალ პილსუდსკის კიევის ლაშქრობის გამარჯვებით დამთავრება შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი მკვიდრი გარანტია ევროპის იმ წყობილების სიმტკიცისა, რომელიც დამყარებულ იქნა ვერსალში". ის ამტკიცებს, რომ ამჟამად ევროპის კაბინეტებში მზადდება გეგმები, რომლებმაც უნდა დაამთავროს ის, რაც მისი აზრით დაუმთავრებელი დარჩა ვერსალის კონფერენციაზე. მას საჭიროდ მიაჩნია მოამზადოს პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი იმისათვის, რომ ევროპის კაბინეტების საიდუმლოებას გაიგებს მთელი მსოფლიო.

ამავე მიზნებს ხომ არ ემსახურება ზალესკის უხეირო ექსკურსია ისტორიის დარგში?

ჩვენმა პრესამ უკვე მოიყვანა ციტატები „ბერლინერ ტაგებლატ"-ის მოწინავე წერილიდან, რომელშიაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ მზადდება მარშალ პილსუდსკის კიევის ლაშქრობის განმეორება.

ასეთია ფაქტები.

პოლონეთის მთავრობის უშუალო საქმიანობა, მის პასუხისმგებელ მოხელე - დიპლომატების გამოსვლები, პოლონეთის პრესის პოზიცია — ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ პოლონეთის ეხლანდელი ხელმძღვანელები ისევ აყენებენ (როგორც 1920 წელში) დღის წესრიგში აგრესიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ვთქვათ ეს პირდაპირ, დიპლომატიურ მიკიბ - მოკიბულობის გარეშე.

პოლონეთის ხელმძღვანელი წრეები, როგორც ჩანს, ანგარიშს არ აძლევენ თავს, თუ რამდენად სახიფათოა ის ბოროტი თამაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ. მოვლენებს აქვს თავისი ლოღიკა და თუ ამ ლოღიკას მოყვება კატასტროფა, პასუხისმგებლობა მთლიანად და სავსებით დაეკისრება მათ, ვინც სისტემატიურად ამზადებს ამ კატასტროფას.

ცეცხლთან თამაში აუცილებლად უნდა შეწყდეს.

პოლონეთის საზოგადოებრივმა აზრმა მთელი კაცობრიობის წინაშე საზღვარი უნდა დაუდოს იმ პოლიტიკოსების გამოსვლებსა და გეგმებს, რომლებმაც დაჰკარგეს რეალობის გრძნობა.

„იზვესტია", 30 მაისი.

სამხრეთელების ჯარები პეკინთან

ნანკინის მთავრობის პასუხი იაპონიას.-„იაპონიასთან ბრძოლის ფონდის" დაარსება

ვოლდემარასმა განაცხადა: „ლიტვას საფრთხე მოელის არა საბჭ. კავშირის, არამედ პოლონეთის მხრივ"

კელლოგს ცვლილებები შეაქვს „მუდმივი მშვიდობიანობის" პროექტში

ჩინეთი და იაპონია

სამხრეთელები პეკინთან

პეკინი, 29 მაისი. „ნორთ ჩაინა სტანდარტი" იუწყება: სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული, შანსიელთა ჯარების რაზმი კვირა ღამეს გამოჩნდა მენტოკოუს ახლო, პეკინის მიდამოებში. მუკდენელთა ჯარებთან შეტაკების შემდეგ შანსიელებმა უკან დაიხიეს.

სამხედრო ოპერაციები

შანხაი, 29 მაისი. ნანკინის ოფიციალური სააგენტო იუწყება: ენ სი-შანის ჯარებმა დაიჭირეს კალგანი. ჩან - კაი - შის მთავარმა ძალებმა გადალახეს მდინარე ხუანხე და მიიწევენ ცზინიუნისაკენ, ჩჟილის პროვინციის აღმოსავლეთით. ჩჟილის პროვინციის ხოცზიანის რაიონში, ტიანზინის სამხრეთ-დასავლეთით 120 კილომეტრის დაშორებით, ამ დღეებში მოელიან დიდ ბრძოლას. პრესის ცნობით, ამ რაიონში თავმოყრილია ჩრდილოელებისა და სამხრეთელების არმიები, ორას-ორასი ათასი მებრძოლით. ფრონტი გაჭიმულია 200 მილის მანძილზე.

იაპონიის მოთხოვნილებანი

შანხაი, 29 მაისი. იაპონიის საზღვაო სარდლობამ მოითხოვა, რომ ჩრდილოელებისა და სამხრეთელების სამხედრო გემებმა თავი შეიკავონ სამხედრო მოქმედებისაგან ცინდაოს, ჩიფუს ლუნკოუს, ტაკუს, ცინვანდაოს და ნიუჩჟუანის გარშემო 20 მილის მანძილზე.

ტოხოს სააგენტოს ცნობით, ცინდაოში დაბანაკებული ჩრდილოელთა არმიების სარდლობამ ბრძანება მიიღო პეკინიდან, დასცალონ ცინდაო, თანახმად იაპონიის მოთხოვნილებისა.

იაპონელებთან ბრძოლის ფონდი

შანხაი. 29 მაისი. პრესის ცნობით, ნანკინის მთავრობას და გომინდანს ყოველ დღე მოსდის მისასალმებელი დეპეშა საზღვარგარეთის ჩინური ორგანიზაციებისაგან, რომლებიც მოუწოდებენ მთავრობასა და პარტიას იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და ჰპირდებიან მორალურ და მატერიალურ დახმარებას. დღევანდლამდე ნანკინის მთავრობამ საზღვარგარეთის ჩინური ორგანიზაციებისაგან მიიღო ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი — იაპონელებთან ბრძოლის ფონდისათვის. (ადს).

პროტესტი იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

ნიუ - იორკი, 29 მაისი. ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ჩინელებმა ნიუ - იორკსა და ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების სხვა დიდ ქალაქებში მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ. ნიუ - იორკის დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 5.000 კაცზე მეტმა. (ადს).

ნანკინი — ჩინეთის სატახტო ქალაქი

შანხაი, 29 მაისი. პრესის ცნობით, ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა: თუ სამხრეთელები პეკინს აიღებენ, ნანკინი ჩინეთის სატახტო ქალაქად დარჩება.

ნანკინის პასუხი იაპონიის მემორანდუმზე

შანხაი, 29 მაისი. გამოქვეყნდა ნანკინის მთავრობის მემორანდუმი, რომელიც გადაეცა იაპონიის კონსულს შანხაიში — იაპონიის მემორანდუმის საპასუხოდ. ნანკინის მთავრობის მემორანდუმი აღნიშნავს, რომ ომი პეკინის მთავრობის წინააღმდეგ სწარმოებს ჩინეთის გაერთიანების მიზნით, ჩინეთში მშვიდობიანობის და უშიშროების განსამტკიცებლად და ჩინური მოსახლეობის და უცხოელების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

„ნაციონალური მთავრობა, — ნათქვამია მემორანდუმში, — მანჯურიის ეკონომიური მნიშვნელობის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ იქ სცხოვრობს უცხოელების მნიშვნელოვანი რაოდენობა, მიიღებს საჭირო ზომებს მშვიდობიანობის და წესრიგის დასაცავად ჩინური და უცხოელი მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. იაპონიის მთავრობის მიერ მანჯურიაში მიღებული ზომები ჩაითვლება არა მარტო ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევად, არამედ ეს იქნება აგრეთვე ორივე სახელმწიფოს ტერიტორიალურ სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპის უხეში დარღვევა". (ადს).

„გრანდიოზული კომუნისტური შეთქმულება"

შანხაი, 29 მაისი. გამოქვეყნდა ცნობა „გრანდიოზული კომუნისტური შეთქმულების" შესახებ, რომელიც აღმოაჩინეს რამდენიმე თვის წინად კვანტუნის ოლქში. (კვანტუნის ოლქი მანჯურიის სამხრეთითაა; იგი პეკინის მთავრობამ „იჯარით" გადასცა იაპონიას, მაგრამ ფაქტიურად იაპონიის ტერიტორიას წარმოადგენს).

ცნობის ავტორები ირწმუნებიან, რომ „შეთქმულების მიზანი იყო იაპონელი მოქალაქეების დახოცვა და იაპონელების გაძევება კვანტუნის ოლქიდან. დაპატიმრებულია 50 კაცი.

იაპონიის განცხადება ერთა ლიგას

ტოკიო, 29 მაისი. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ერთა ლიგისადმი მიმართული განცხადების ტექსტი ცზინანის ამბების შესახებ. განცხადება ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას ქაოსს უწოდებს და დასამტკიცებლად ასახელებს „კომუნისტების მიერ—შექმნილ ინციდენტებს" ხანკოუში, ცუცზიანში, ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე ნანკინში, აგრეთვე „სიკვდილით მასიურ დასჯას დეკემბრის აჯანყების შემდეგ კანტონში".

შემდეგ განცხადება დაწვრილებით ეხება ცნობილ იაპონურ ვერსიას იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც ცზინანის ამბები გამოიწვია.

გლოვის დღე

შანხაი, 29 მაისი. ინგლისის პოლიციის მიერ შანხაის მუშების და სტუდენტების დემონსტრაციის დახვრეტის (1925 წლის 30 მაისს), წლისთავის გამო, 28 მაისს შანხაის ჩინურ ნაწილში გამოცხადდა სამხედრო წესები. გომინდანის ქალაქის კომიტეტმა გადასწყვიტა დახვრეტის წლის თავი აღნიშნოს გლოვით. მთავრობის დაწესებულებებზე დროშები დაშვებული იქნება. გომინდანის კომიტეტმა მოსახლეობას მიმართა მოწოდებით 30 მაისს სამგლოვიარო ტანსაცმელი ჩაიცვან. სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავეთ 30 მაისს მიეცემათ ორმაგი გასამრჯელო

საფრანგეთის „სოციალისტური" პარტიის ყრილობა

პარიზი, 29 მაისი. 29 მაისს საფრანგეთის „სოციალისტების" ყრილობაზე სწარმოებდა კამათი პარტიის მომავალი ტაქტიკის შესახებ. რენოდელმა გაილაშქრა იმ მტკიცების წინააღმდეგ, თითქოს კომუნიზმსა და სოციალიზმს ერთი მიზნები აქვს.

„ამ მომენტში,—ამბობს რენოდელი,—როცა ჩვენ გვაქვს რწმენა, რომ მალე მოვექცევით ხელისუფლების სათავეში, არაგონივრულია იმის განცხადება, რომ ჩვენ მზადა ვართ მივმართოთ ძალმომრეობას ხელისუფლების დასაპყრობად".

ფორი, მოუწოდებდა რა კომუნისტ ბელადების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, აფრთხილებდა პარტიას ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც კომუნისტური ჰიპნოზის ქვეშ მყოფ მუშებს ჩამოაშორებდა სოციალისტურ პარტიას. (ადს).

პარიზი, 29 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: ტულუზაში საფრანგეთის „სოციალისტური" პარტიის ყრილობამ სამშაბათს საღამოს სხდომაზე ორი ხმის წინააღმდეგ მიიღო კომპრომისული რეზოლიუცია პარტიის საერთო პოლიტიკურ საკითხების გარშემო. რეზოლიუციაში ნათქვამია: სოციალისტური პარტია არჩევნებს გამოიყენებს იმის გაკვეთილად, რომ ბრძოლა აწარმოოს კომპარტიის წინააღმდეგ.

რეზოლიუცია ამასთანავე დასძენს, რომ სოციალისტები ყოველ შემთხვევაში მონაწილეობას არ მიიღებს ბურჟუაზიული პარტიების კოალიციაში კომუნიზმის წინააღმდეგ. რეზოლიუცია აღიარებს კომუნიზმისა და სოციალიზმის ერთნაირ საბოლოო მიზნებს, მაგრამ იგი მკაცრად აკრიტიკებს „კომუნისტების მეთოდებს". დასასრულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ სოციალისტური პარტია გაბედულ ოპოზიციას დაადგება იმ მთავრობის მიმართ, რომელიც დაეყრდნობა მემარჯვენე ბლოკს ან დეპუტატთა პალატის ახლანდელ შემადგენლობაში შესაძლებელ რომელიმე სხვა კოალიციას. (ადს).

ჯონსონ ხიქსის მოკავშირეები

ინგლისელ რეფორმისტულ ბელადების გამოსვლები

ლონდონი, 29 მაისი. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მუშათა პარტიის და ინგლისის პროფკავშირების ლიდერებმა გააძლიერეს კამპანია კომუნისტებისა და უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ. ამასთან ერთად ისინი გაბოროტებით ილაშქრებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყველაზე უფრო თვალსაჩინოა მუშათა პარტიის ერთ-ერთი ლიდერის—კლაინსის გამოსვლა მუნიციპალურ არაკვალიფიციურ მუშათა კონფერენციაზე რეზვიკში. შესავალ სიტყვაში, კლაინსმა, როგორც კავშირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ინგლისის დემოკრატია" წარმოადგენს ინგლისისათვის ყველაზე უფრო შესაფერ სახელმწიფო წყობილებას და დასძინა:

„შესაძლებელია საჭირო იყოს ერთმანეთთან მეტი ნდობის და ერთმანეთის გაგების მიღწევა, მაგრამ ჩვენ არ გვესაჭიროება მოსკოვის დირექტივები და არც გამხნევება მოსკოვის ან სხვების მხრივ".

შემდეგ კლაინსმა სასტიკად გაილაშქრა ინგლისის კომპარტიის წინააღმდეგ.

„მათ სასაცილოდ აიგდეს,—სთქვა მან—არჩეული დაწესებულებანი და მუშათა მოძრაობის ლიდერებს მიაწერეს ყოველგვარი უპატიოსნება და სიმხდალე.

კლაინსის გამოსვლის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გმობს კომუნისტების მუშაობას კავშირის შიგნით და ავალებს აღმასკომს „დაიცვას კავშირი დამშლელ ძალებისაგან". კონფერენციამ აგრეთვე დაამტკიცა 5 ადგილობრივი კავშირის პირობითი გამორიცხვა კომუნისტური მუშაობისათვის.

რეფორმისტულ კამპანიისათვის ნაკლები წარმატებით ჩატარდა მზა ტანსაცმელის მუშათა კონფერენცია ლიდსში. კონფერენციამ მართალია უარჰყო რეზოლიუცია, რომელიც შეიცავდა წინადადებას მკერავთა ინგლის-რუსეთის კომიტეტის შექმნის შესახებ, მაგრამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღმასკომს ევალება „განაგრძოს მუშაობა საბჭოთა მკერავების კავშირის მისაღებად მკერავთა საერთაშორისო გაერთიანებაში".

რეფორმისტული ლიდერები ილაშქრებენ კომუნისტებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არა მარტო პროფკავშირთა კონფერენციებზე, არამედ მუშათა თითქმის ყველა კრებებზედაც, აგრეთვე პრესაში და პარლამენტშიაც კი. (ადს).

ცვლილებები „მუდმივი მშვიდობიანობის" პროექტში

პარიზი, 29 მაისი. „ტან"-ის სიტყვით მოსალოდნელია, რომ კელოგი სახელმწიფოებს დაუგზავნის ნოტას, რომელშიაც შესაძლოდ სცნობს, რომ ოდნავ შეცვლილ იქნეს რედაქცია ხელშეკრულებისა „მუდმივი მშვიდობიანობის" შესახებ. ცვლილება გამოიხატება იმაში, რომ ხელშეკრულების წინასიტყვაობაში შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას იმ ვალდებულებათა დატოვების პრინციპები; რომლებიც გამომდინარეობენ წინად დადებულ ხელშეკრულებებიდან და ითვალისწინებენ მოქმედების თავისუფლებას ხელშეკრულების იმ მონაწილეთა მიმართ, რომელთაც დაარღვიეს ის. ((ადს).

ანტი-იტალიური გამოსვლები სამხრეთ სლავიაში

რომი, 29 მაისი. „სტეფანი"-ს სააგენტო იუწყება, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობების მიხედვით, სპალატოსა და სებენიკოს ინცინდენტებს მეტად სერიოზული ხასიათი ჰქონდა. სააგენტო აღნიშნავს, რომ თუმცა იტალიის საკონსულო საჭიროდ სცნობდა წინასწარი პოლიციური ზომების მიღებას, მაგრამ მანიფესტანტებს მაინც სრული საშუალება ჰქონდათ, რომ მთელი ქალაქი გაევლოთ, დაერბიათ იტალიელთა მაღაზიები და დაწესებულებანი.

იტალიის საკონსულოს გამეორებული პროტესტის მიუხედავად, მეორე დღეს სპალატოში ხელახლა გაიმართა იტალიის მთავრობის შეურაცხმყოფელი მანიფესტაცია. ასეთივე დემონსტრაციები მოეწყო ბელგრადსა, რაგუზასა და ზაგრებში.

„თავაზიანი პოზიცია"

რომი, 29 მაისი. იტალიურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა ანტიიტალიური დემონსტრაციების შესახებ დალმაციის ქალაქებში, მაგრამ კომენტარიებისაგან თავს შეიკავეს. მხოლოდ „ლავორო დ,იტალია", ათავსებს რა ცნობას იმის შესახებ, რომ იტალიის ბევრ საუნივერსიტეტო ქალაქში გამართულმა სტუდენტთა ანტისამხრეთ-სლავიურმა დემონსტრაციებმა სრულის წესიერებით ჩაიარა, აღნიშნავს, რომ იტალიურ პრესას ფაშისტური პარტიის დირექტივის თანახმად უაღრესად თავაზიანი პოზიცია ეჭირა სამხრეთ-სლავიის მიმართ. (ადს).

ბელა კუნის დასაცავად

ვენა, 29 მაისი. 28 მაისს ვენაში ჩამოვიდნენ ბარბიუსის კომიტეტის წარმომადგენლები ფრანგი ვექილი ვილერი და ხუროთმოძღვარი ბურდენი.

პრესის ცნობით, ჩამოსულებს უნდათ ავსტრიის კომპეტენტურ დაწესებულებებს გააცნონ ბარბიუსის კომიტეტის თვალსაზრისი ბელა კუნის საქმეზე.

ვენა, 29 მაისი. „აბენდა"-ს ცნობით, ავსტრიის იუსტიციის მინისტრმა უარი სთქვა ბარბიუსის კომიტეტის წარმომადგენელთა მიღებაზე. (ადს).

ლუკაშის განთავისუფლება

ვენა, 29 მაისი. უნგრეთის ყოფ. საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე ლუკაში, რომელიც დაპატიმრებული იყო ბელა კუნთან ერთად, განთავისუფლეს.

გერმანია არჩევნების შემდეგ

ბერლინი, 29 მაისი. წინასწარი არაოფიციალური მოლაპარაკება გერმანიის ბურჟუაზიულ პარტიებს შორის მთავრობის შედგენის შესახებ დამთავრდა. მოკლე ხანში უკვე დაიწყება ოფიციალური მოლაპარაკება. პარტიების ცენტრალური კომიტეტები იმუშავებენ ოფიციალურ პარტიულ პლატფორმებს მოლაპარაკებისათვის.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე 6 ივნისს გადაწყდება დიდი კოალიციის მთავრობაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის საკითხი. 6 ივნისს შესდგება ცენტრის პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

რეიხსკანცლერის კანდიდატებად ასახელებენ სოციალ-დემოკრატ **ჰერმან მიულერს**, **ბრაუნს** და **ზევერინგს**, ფინანსთა მინისტრის პოსტზე ასახელებენ **ჰილფერდინგს** (ადს).

იტალიის კომპარტიის

ცეკას პროცესი

რომი, 30 მაისი. საგანგებო ტრიბუნალში დაიწყო იტალიის კომპარტიის ც. კ.-ის პროცესი. სულ პასუხისგებაში მიცემულია 37 კაცი, მათ შორის გრამში, ტერაჩინი და მაფი. 37 ბრალდებულიდან 9 კაცი ვერ იპოვეს. მაფი სასამართლოში არ მოიყვანეს, რადგან მილანის საავადმყოფოში წევს. სასამართლომ უარ ჰყო დამცველთა მოთხოვნილება, რომ პროცესი გადადებულიყო მაფის განკურნებამდე. (ადს).

26 პოლონელ კომუნისტის

გადასახლება გერმანიიდან

ვენა, 29 მაისი. 26 პოლონელ კომუნისტს, რომელთაც ბრალდებოდა საზღვარზე უკანონოთ გადასვლა და ყალბი დოკუმენტებით სარგებლობა. სასამართლომ მიუსაჯა 7 წლით დაპატიმრება და გერმანიიდან გადასახლება. (ადს).

გაფიცვა ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 29 მაისი. ოსლოდან იუწყებიან: დაწყებული მშენებელი მუშების გაფიცვა გრძელდება. გაიფიცნენ აგრეთვე ზოგიერთი სტამბის მუშები. ტრონდჰეიმში ბურჟუაზიული გაზეთები შეჩერებულია. ოსლოში გაზეთები გამოდის, რადგან სტამბების პატრონებმა წინდაწინვე გაადიდეს ხელფასი. ამჟამად ნორვეგიაში გაფიცულია დაახლოვებით 4.000 მშენებელი მუშა.

იუსტიციის მინისტრმა გადასწყვიტა გამოიყენოს კანონი იძულებითი საარბიტრაჟო დადგენილებათა შესახებ (ადს).

ფეიქართა ლოკაუტი

ლონდონი, 29 მაისი. ნელსონში (ლანკაშირი) მეპატრონეებმა ლოკაუტი გამოუცხადეს 16.000 ფეიქარ-მუშას. ლოკაუტის საბაბად შემდეგი გადაიქცა: ერთი ფეიქარი, რომელიც წარმოებაში 30 წელიწადს მუშაობდა, ადგილიდან დაითხოვეს ადმინისტრაციასთან კონფლიქტის გამო. 300 ფეიქარმა მოითხოვა დათხოვნილი მუშის უკანვე მიღება. მუშების მოთხოვნილება უარჰყვეს და მათ 19 მაისს გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცვის პასუხად საფეიქრო საწარმოოთა პატრონების რაიონულმა გაერთიანებამ ლოკაუტი გამოაცხადა. (ადს)

10 წელი საგარეო საქმეთა კომისრის პოსტზე

მოსკოვი, 30 მაისი. 30 მაისს შესრულდა 10 წელი მას შემდეგ, რაც ამხ. ჩიჩერინი გარეშე საქმეთა სახ. კომისრად დაინიშნა. (ადს).

მისალმება ამხ. გ. ჩიჩერინს

მოსკოვი, 31 მაისი. (ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდ.) მოსკოვის გაზეთები აღნიშნავენ ამხ. ჩიჩერინის ათი წლის დაუღალავ მოღვაწეობას საგარეო საქმეთა კომისრის პოსტზე.

„პრავდა"-მ რედაქციის სახელით მოათავსა დიდი წერილი—მისალმება გ. ჩიჩერინის სახელზე. წერილში დაწვრილებით აღნიშნულია ჩვენი საგარეო პოლიტიკის ცალკე დამახასიათებელი ეტაპები და ამხ. ჩიჩერინის როლი საბჭოთა დიპლომატიის განვითარებაში.

მოსკოვის დანარჩენ გაზეთებში მოყვანილია ამხ. ჩიჩერინის დაწვრილებითი ბიოგრაფია, მოგონებები ჩიჩერინის წარსული მუშაობიდან, უცხოეთის გამოჩენილ დიპლომატების აზრი ჩიჩერინის შესახებ და სხვა.

ამხ. ჩიჩერინი ზოგიერთი გაზეთების სიტყვით ერთად-ერთი სახელმწიფო მოღვაწეა მთელ მსოფლიოში, რომელიც ათი წლის განმავლობაში შეუცვლელად ხელმძღვანელობს ერთ-ერთ უდიდესი სახელმწიფოს საგარეო საქმეებს.

ამხ. გიორგი ვასილის-ძე ჩიჩერინი

(მოკლე ბიოგრაფია)



გიორგი ჩიჩერინი დაიბადა ტამბოვის გუბერნიის სოფელ კარაულში. მამა მისი სიბერემდი მსახურობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. უმაღლეს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩიჩერინმა დაიწყო სამსახური საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა საგარეო პოლიტიკის საკითხები. ამავე ხანებში იგი მიემხრო რევოლიუციონურ მოძრაობას. 1904 წელს თავი მიანება სამსახურს და გაემგზავრა ბერლინში. აქ იგი დაუახლოვდა გერმანელ მუშა-რევოლიუციონერებს. ბერლინში იგი განაგრძობდა რევოლიუციონურ მუშაობას, ვიდრე რუსეთში არ დაიწყო მასიური რევოლიუციონური მოძრაობა. 1905 წ. მან გადასწყვიტა ფარულად ჩამოსვლა რუსეთში, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა და დარჩა ბერლინში, სადაც იგი არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალურ ბიუროს წევრად. ამის შემდეგ მან 14 წელი დაჰყო ემიგრაციაში. ამ ხნის განმავლობაში ჩიჩერინმა მოიარა ლონდონი, პარიზი, ბერლინი და ყველგან იგი ეწეოდა რევოლიუციონურ მუშაობას. 1908 წელს სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მუშაობისათვის იგი ადმინისტრატიულ წესით გადაასახლეს პრუსიიდან ლონდონში. 1908 წლიდან ვიდრე 1917 წლამდე ჩიჩერინი სცხოვრობდა ინგლისში და მონაწილეობდა ინგლისის მუშათა მოძრაობაში. მსოფლიო ომმა ამხ. ჩიჩერინს ლონდონში მოუსწრო. 1917 წელს ინგლისის მთავრობამ იგი დააპატიმრა და ჩასვა ბრისტონის ციხეში, სადაც მან ერთ წელიწადზე მეტი დაჰყო. მხოლოდ 1917 წლის დამლევს საბჭოთა მთავრობამ იხსნა იგი პატიმრობიდან: ამხ. ჩიჩერინში გაცვლილ იქნა ინგლისის ელჩი ბიუკენენი. რუსეთში ჩამოსვლისთანავე, 1918 წლის მარტიდან გ. ვ. ჩიჩერინი დაინიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრად. ამ დარგში მან გამოიჩინა დიდი ნიჭი. იგი თავგამოდებულ ბრძოლას აწარმოებს მშვიდობიანობისათვის, საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის ნორმალური კავშირის დამყარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების უსასტიკესი მტრებიც კი ამხ. ჩიჩერინს სთვლიან ერთ-ერთ საუკეთესო დიპლომატად მსოფლიოში. ამხ. ჩიჩერინი მეთაურობდა საბჭოთა კავშირის დელეგაციას გენუის და ლოზანის კონფერენციებზე.

„მშვიდობიანობა მრეწველობაში"

ლონდონი, 29 მაისი. ინგლისის პროფკავშირების ზოგიერთ ხელმძღვანელ წრეებში თანდათან უფრო კრიტიკულად უყურებენ მოლაპარაკებას ალფრედ მონდთან „მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების" შესახებ.

ავტორიტეტულ წყაროდან მიღებული ცნობების მიხედვით ფიქრობენ, რომ მოლაპარაკებით უკმაყოფილოთა მხარეზე გადავიდა ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე ჯორჯ ხიკსი. როგორც ჩანს მონდის მიერ ფაშიზმისა და მუსოლინის შექებამ ითამაშა როლი პოზიციის შეცვლაში.

ავტორიტეტულ წრეებში ამტკიცებენ, რომ ხიკსმა გენსაბჭოს მიმართა წერილით, რომელშიაც კატეგორიულად ილაშქრებს მონდთან მოლაპარაკების წინააღმდეგ. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ხიკსი ამ საკითხს აღძრავს გენსაბჭოს ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე. იუწყებიან აგრეთვე, რომ მას განზრახული აქვს საჯაროდ განაცხადოს ამის შესახებ. (ადს).

„უორკერს პარტი"-ს საარჩევნო პროგრამა

ნიუ-იორკი, 29 მაისი უორკერს პარტის (კომპარტია) კონფერენციამ დაადგინა საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტის კანდიდატად დაასახელოს ფოსტერი, ხოლო ვიცე პრეზიდენტის კანდიდატად—გიტლოუ. კონფერენციამ მიიღო საარჩევნო პროგრამა, რომელიც, სხვათაშორის, შეიცავს შემდეგ დებულებებს: პროფმოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ კანონების გაუქმება, მშრომელთა გადასახადების გაუქმება, ბავშთა შრომის აკრძალვა, ჩინეთიდან და ნიკარაგუადან ჯარების გაყვანა, ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების ყველა კოლონიებისა და ნახევარკოლონიების დამოუკიდებლობის გამოცხადება, სამხედრო ვალების გაუქმება, საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობა, ზანგების წინააღმდეგ მიმართულ შემზღუდავ კანონების გაუქმება და პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა პროლეტარიატის მიერ. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სავაჭრო ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან

მოსკოვი, 31 მაისი. საბირჟო ვაჭრობის წარმომადგენელთა ყრილობის საბჭოს სხდომაზე, რომელიც შესდგა ამ დღეებში მოსკოვში, დიდი მოხსენებით გამოვიდა რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ჩარლზ სმიტი.

თავის მოხსენებაში ჩარლზ სმიტი შეეხო ამერიკის საქმიან წრეების განწყობილებას საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცების საკითხში. ჩარლზ სმიტი ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც ის მთელ რიგ დიდ მნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრებში გამოდიოდა მოხსენებით საბჭოთა კავშირისა და ამერიკის სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ.

ამერიკის საქმიანი წრეები ჩარლზ სმიტის გამოსვლებს ყველგან თანაგრძნობით ხვდებოდნენ.

რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატა ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ამერიკაში იმისათვის, რომ ყოველნაირად ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირისა და შეერთებულ შტატების ეკონომიურ ურთიერთობის გაფართოებას.

საპასუხო მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ნიჟეგოროდის ბაზრობის თავმჯდომარე ამხ. მალიშევი, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის ღონისძიებები მალე გამოიღებენ ნაყოფს.

60.000 მანეთი სომხეთის ბუნებრივ სიმდიდრეების გამოსაკვლევად

მოსკოვი, 31 მაისი. საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გადასდო 60.000 მანეთი სომხეთის მიწის ბუნების გამოკვლევის საქმეზე.

მაქსიმ გორკის ნახვის მსურველები

მოსკოვი, 31 მაისი. მოსკოვის ცნობის გამცემ ბიუროებში უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა შეკითხვები იმის შესახებ, თუ სად გაჩერდა მაქსიმ გორკი, როდის შეიძლება მისი ნახვა, აქვს თუ არა დრო ამა თუ იმ წარმოების ან დაწესებულების დასათვალიერებლად და სხვა. შეკითხველების რიცხვი იმდენად დიდია, რომ ცნობათა ბიუროები ვერ აუდიან პასუხის თავის დროზე გაცემას.

ფიზკულტურის საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვი, 31 მაისი. მოსკოვში გაცხოველებული სამზადისი სწარმოებს ფიზკულტურის სრულიად საკავშირო სპარტაკიადას მოსაწყობად, რომელიც დაიწყება მიმდინარე წლის 11 აგვისტოდან. საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო საბჭოთა ორგანიზაციები, არამედ ფიზკულტურის ევროპის რაზმებიც.

მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ სპარტაკიადაზე მოემგზავრებიან ამერიკელი ფიზკულტურელები. მათ შორის პირველად ჩამოდის საბჭოთა კავშირში ურუგვაის რესპუბლიკ. ფიზკულტურელები, რომლებიც უკვე ივნისში საბჭოთა კავშირში იქნებიან და დაივლიან მთელ რიგ დიდ ცენტრებს.

სხვათა შორის ურუგვაის ფიზკულტურელების რაზმი თბილისსაც ეწვევა, სადაც გამართავს რამდენიმე მატჩს ადგილობრივ ფიზკულტურელებთან.

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა კავშირის ნოტა ლატვიისადმი

რიგა, 29 მაისი. საბჭოთა კავშირის დროებითმა რწმუნებულმა ლატვიაში ამხ. კულიაბკომ დღეს ლატვიის მთავრობას მიმართა ნოტით სამხედრო ატაშეს ამხ. ლანგეს შესახებ, რომელიც დააპატიმრა ლატვიის პოლიციამ. ნოტაში აღნიშნულია, რომ ამხ. ლანგე დააპატიმრეს 11 მაისს, ხოლო სრულუფლებიან წარმომადგენლობას კი ამის შესახებ არაფერი აცნობეს და მან ეს ამბავი მხოლოდ გაზეთებიდან გაიგო. მხოლოდ 15 მაისს გარეშე საქმეთა სამინისტრომ სრულუფლებიან წარმომადგენლობას გამოუგზავნა ნოტა და ატყობინებდა ამხ. ლანგეს დაპატიმრების ამბავს, რომელსაც ჯაშუშობას აბრალებდნენ, ამასთანავე სრულუფლებიან წარმომადგენლობას არ აცნობეს ის საბუთები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი შეიქმნა ასეთი მძიმე ბრალდების წაყენება და დაპატიმრება. შემდეგ ამხ. კულიაბკო ლანგეს უფროსის—საბჭოთა კავშირის სამხედრო ატაშეს ამხ. ხუდაკოვის და საბჭოთა კავშირის სათანადო ორგანოების ცნობების თანახმად აცხადებს, რომ ამ საქმის გამო ლატვიის პრესაში მოთავსებული ცნობები სრულიად უსაბუთოა და ყალბი. დასასრულ ამხ. კულიაბკო საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით სასტიკ პროტესტს აცხადებს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომლის უსაბუთოდ დაპატიმრების წინააღმდეგ და მოითხოვს ამხ. ლანგეს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას; იგი მოითხოვს აგრეთვე, რომ წარმომადგენლობას აცნობონ ის საბუთები, რომელთა მიხედვითაც ამხ. ლანგე დააპატიმრეს. (ადს).

საფრანგეთის „სოციალისტური" პარტიის ურილობის რეზოლუცია

პარიჟი, 30 მაისი. საფრანგეთის „სოციალისტური" პარტიის საერთო პოლიტიკის საკითხების ირგვლივ შეტანილია მუხლი პარტიის დამოკიდებულების შესახებ „ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან". აცხადებს რა, რომ „ბოლშევიკური პარტია ხრწნის მუშათა კლასს", რეზოლუცია წინადადებას აძლევს სოციალისტური პარტიის ყველა ფედერაციებს და სექციებს „არ დათანხმდნენ ბოლშევიკურ ორგანიზაციების წინადადებების ერთიანი ფრონტის ორგანიზაციის შესახებ, რა სახითაც არ უნდა იქნენ წარდგენილი ეს წინადადებები".

ახალი კონსტიტუცია

კოვნო, 30 მაისი. ლიტვის ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი ირჩევა ხუთი წლის ვადით.

ინტერვიუ ვოლდემარასთან

კოვნო, 30 მაისი. უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ვოლდემარასმა განაცხადა, რომ მის წასვლას ლონდონში გარდა კონკრეტულ დავალებათა, მიზნად ჰქონდა კავშირის განმტკიცება ლიტვასა და ინგლისს შორის. გარდა ოფიციალური საუბრისა ვოლდემარასი რამდენჯერმე შეხვდა პოლიტიკური, სამრეწველო და სავაჭრო წრეების წარმომადგენლებს.

პოლონეთთან მოლაპარაკების გამო, ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ბერლინში მიღწეულია შეთანხმება იმ ადგილობრივი გლეხების მიმოსვლის შესახებ, რომელთა მიწებს სადემარკაციო ხაზი ჰყოფს. შეთანხმებას ხელს მოაწერენ ბერლინსა და ჟენევაში.

ვოლდემარასი შეეხო ლიტვის კონსტიტუციის შეცვლის საკითხს და განაცხადა, რომ პრეზიდენტის არჩევის წესი გათვალისწინებული იქნება საგანგებო კანონით. ხალხის მიერ პრეზიდენტის არჩევის პრინციპი ხელუხლებელი რჩება.

„მთავრობას,—სთქვა ვოლდემარასმა,—სურს, რომ სახელმწიფო საბჭო შეიკრიბოს სეიმის არჩევნებამდე და მან მოამზადოს კანონი პრეზიდენტის არჩევის შესახებ. სეიმში იქნება დაახლოებით 40 დეპუტატი წინანდელი 85 მაგიერ".

იმ შეკითხვაზე, თუ რანაირია ჩემბერლენის დამოკიდებულება ლიტვის სატახტო ქალაქად ვილნოს აღიარებისადმი, ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ჩემბერლენმა აღნიშნა ინგლისის სურვილი, რომ აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობა არ დაირღვეს. დასასრულ ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ვილნოს საკითხის გადაწყვეტამდე პოლონეთ-ლიტვის შეთანხმება მოუხერხებელია. შეიძლება მხოლოდ დამყარდეს ურთიერთობის დროებითი წესი. (ადს).

პარიტეტული კონფერენცია

ლონდონი, 30 მაისი. ბომბეის საფეიქრო წარმოებების მეპატრონეებმა წინადადება მისცეს ფეიქართა პროფკავშირებს გამოყონ წარმომადგენლები პარიტეტულ კონფერენციისათვის წარმოებების პატრონებთან ერთად, იმ საკითხების განსახილველად, თუ რა პირობებში შეიძლება გაფიცვის შეწყვეტა.

იაპონიის გარნიზონის გაძლიერება კორეაში

ტოკიო, 29 მაისი. კორეისა და მანჯურიის საზღვარზე იაპონელი ლეიტენანტისა და მისი ცოლის გატაცების გამო იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა კორეაში ორი ბატალიონით გააძლიერეს გარნიზონი კორეის საზღვარზე (ადს).

ლიტვას საფრთხე მოელის პოლონეთის მხრივ

ვოლდემარასი ლონდონში მგზავრობის შესახებ

კოვნო, 29 მაისი. ვოლდემარასს, რომელიც ლონდონიდან დაბრუნდა, ადგილობრივი და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან ჰქონდა საუბარი თავისი მგზავრობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა ვოლდემარასს მისცა შეკითხვა: „როგორც გაზეთები იუწყებოდა, თქვენ „დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტთან საუბარში სთქვით, რომ ლიტვასა და პოლონეთს შორის კავშირის შესაძლებლობა დამოკიდებულია პოლონეთზე. როგორია ის პირობები, რომლებშიაც შეიძლება ამ კავშირის განხორციელება და შეიძლება თუ არა თქვენი განცხადებიდან გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კავშირი შეიძლება დამყარდეს იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთი ერთგვარ დათმობაზე წავა ლიტვის მიმართ?".

ვოლდემარასმა ამ შეკითხვაზე უპასუხა: „საუბარი „დეილი ტელეგრაფი"-ს კორესპონდენტთან საერთოდ სისწორით არ არის გადმოცემული. მე აღვნიშნე, რომ არანორმალურია ჩვენი მდგომარეობა პოლონეთთან და ამასთანავე განვაცხადე, რომ შესაძლებლად ვსთვლი ამ ურთიერთობის გასწორებას. მე ვსთქვი, რომ მას შემდეგ, რაც წარმოიშვა პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, იგი გახდა ცენტრალური სახელმწიფო, მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთის მოსახლეობის 50 პროც. ეროვნული უმცირესობაა. პოლონეთმა არ მოისურვა ფედერატიულ სახელმწიფოდ გადაქცევა. ფედერაცია მოითხოვს ერთგვარ წინასწარ პირობებს, სახელდობრ ურთიერთ შეთანხმებას. პოლონეთმა თავიდანვე დაიჭირა შეურიგებელი პოზიცია და მტრული განწყობილება შექმნა ბელორუსებთან, უკრაინელებთან, გერმანელებთან და ლიტველებთან.

რაც შეეხება იმას, შევინარჩუნებთ თუ არა ჩვენ დამოუკიდებლობას, და მოგველის თუ არა საფრთხე საბჭოთა რუსეთის მხრივ, როგორც გველოდა მეფის რუსეთის მხრივ, ეს არის თეორეტიული საკითხი და მას წმინდა აკადემიური მნიშვნელობა აქვს. მე აღვნიშნე, რომ ჩვენ მოგველის საფრთხე პოლონეთის და არა რუსეთის მხრივ".

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი შემდეგ შეეკითხა ვოლდემარასს: „შეიძლება თუ არა თქვენი ნათქვამიდან გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ თქვენ შესაძლებლად სცნობთ აღნიშნული ტენდენციების არსებობას რუსეთის პოლიტიკაში?".

ვოლდემარასმა ამაზე უპასუხა: „მე არ მაქვს განზრახვა მივმართო მეტაფიზიკას და მკითხაობა დავიწყო იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგება საბჭოთა რუსეთი 50 წლის შემდეგ. მე ვფიქრობ, რომ ლიტვა ამ შემთხვევაში რეალურად სთვლის საფრთხეს არა რუსეთის, არამედ პოლონეთის მხრივ". (ადს).

პოლონეთის სასამართლო

ათავისუფლებს თეთრგვარდიელებს

ვარშავა, 29 მაისი. დამატებითი ცნობების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, დამცველთა შუამდგომლობის თანახმად, განთავისუფლოს საქმის გარჩევამდე 9 თეთრგვარდიელი ემიგრანტი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელზე, ლიზარევზე თავდასხმასთან დაკავშირებით. შუამდგომლობაში ნათქვამი იყო, რომ ციხეში ჯდომამ „შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს დაპატიმრებულთა სწავლაზე, ვინაიდან ამჟამად დანიშნულია მათი გამოცდები".

„აბც"-ის ცნობით, დაპატიმრებულთა განთავისუფლებას საჭიროდ სთვლის თვით პროკურორი.

„სად არის იტალია"

დირიჟაბლ „იტალიას" ძებნა

ოსლო, 29 მაისი. ნორვეგიის მფრინავი ხოლმი ჩავიდა ტრომსოში, საიდანაც ის თავისი აეროპლანით გაფრინდება კინგსბეიში (შპიცბერგენზე). კინგსბეიდან ის გაფრინდება დირიჟაბლ „იტალია"-ს საძებრად. (ადს).

სადაა დირიჟაბლი „იტალია"

ლონდონი, 29 მაისი. გემ „ჩიტა დი მილანო"-მ მიიღო რადიოცნობა, რომ „იტალია" დაეშვა ამსტერდამის კუნძულზე, შპიცბერგენიდან ჩრდილო-დასავლეთით.

„ჩიტა დი მილანო"-ს ყინულების გამო არ შეუძლია წინ წაწევა. გემის მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ მაშველი რაზმი მარხილებით. (ადს).

ნორვეგიის ექსპედიცია

სტოკჰოლმი, 29 მაისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„შვეციის ანტროპოლოგიურმა და გეოგრაფიულმა საზოგადოებამ და შვეციის საჰაერო ძალების უფროსმა გენერალმა ამუნდსენმა დაადგინეს, სთხოვონ მთავრობას დამხმარე ექსპედიციის მოწყობა დირიჟაბლი „იტალიის" მოსაძებნად. ექსპედიციას თან გაჰყვება შვეციისა და საზღვაო ავიაციის ორი აეროპლანი.

ოსლო, 29 მაისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ იტალიის ელჩის თხოვნით ნორვეგიის მთავრობამ განიხილა დიდი ექსპედიციის მოწყობის საკითხი დირიჟაბლი „იტალიის" დასახმარებლად; ამ საქმის სამზადისი ნაწილობრივ უკვე შესრულებულია. კვირა საღამოს იტალიის მთავრობამ აცნობა ნორვეგიის მთავრობას, რომ ის მეტის-მეტად მადლობელია, მაგრამ ითხოვს დამხმარე ექსპედიციის მოწყობის გადადებას, ვინაიდან იგი თვითონ არკვევს ამ საკითხს.

მ. გორკი რკინისგზელებთან

მოსკოვი, 30 მაისი. 29 მაისს გორკი მივიდა რკინისგზელთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე. გორკის გამოჩენამ ტრიბუნაზე აღფრთოვანება გამოიწვია მრავალრიცხოვან აუდიტორიაში. უცებ წაიშალა საზღვარი პარტერსა და ტრიბუნას შორის. დელეგატები შემოეხვივნენ გორკის და რამოდენიმე წუთის განმავლობაში მხურვალე ტაშით და ძახილით ესალმებოდნენ მას. დაბოლოს, როცა შესწყდა ტაშის ცემა, გორკიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

მაქსიმ გორკის სიტყვა

„გულითადათ გესალმებით თქვენ ძვირფასო ამხანაგებო, სოციალიზმის რკინის გზების მშენებლებო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ იმ სიხარულს, რომლითაც შემოგყურებთ თქვენ, უმშვენიერეს ქვეყნის ბატონ-პატრონ მუშებს, რომლებმაც ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში უმძიმეს პირობებში გააკეთა ძალიან ბევრი რამ. მე ვფიქრობ, რომ წარსულში, ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი მომენტი, როგორსაც ჩვენ განვიცდით ამჟამად. მეც ერთხანს მუშა ვიყავი, ვცხოვრობდი ფიზიკური შრომით, ვმსახურობდი რკინის გზაზეც. მე ზოგი რამ ვიცი, ბევრი რამ მაგონდება. ძალიან კარგად მახსოვს ერთი შემთხვევა ბორისოგლებსკში: მოძრაობის უფროსი ნადეჟინი მოვიდა რკინის გზის სახელოსნოებში და როცა დაინახა კაცი, რომელიც გაეჭყლიტა მანქანას, სთქვა: „აი, არამზადა, არ შეუძლიათ თავის თავს გაუფრთხილდნენ". ამ სიტყვების შემდეგ იგი გაბრუნდა და წავიდა. ეს იყო გამოსასალმებელი სიტყვა იმ მშვენიერი მოხუცის გვამის წინაშე, რომელმაც ბევრი რამ განიცადა თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

ის, რაც ჩვენში ხდება ამჟამად, სავსებით სცვლის ადამიანს, რომელიც ელოდა რაღაც ნათელ მომენტებს, და ამისათვის მუშაობდა თავისი ძალ-ღონის მიხედვით. მაგრამ მე, რასაკვირველია, არ შემეძლო წარმომედგინა, რომ ოდესმე დადგებოდა ისეთი დღე, რომ დავინახავდი ისეთ მშვენიერ ხალხს, როგორიც ხართ თქვენ. მე ვიცი, რომ ყოველ თქვენთაგანს აქვს ნაკლულოვანებანი, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის. მე ვიცი უპირველეს ყოვლისა, რომ ყოველი თქვენთაგანი არის ახალი სახელმწიფოს, ახალი კულტურის შემომქმედი, ყოველი თქვენთაგანი არის ის ადამიანი, რომელიც არავითარ დაბრკოლებას არ შეუშინდება იმ გზაზე, რომელზედაც იგი დადგა,—თქვენი შრომით ეხლა თქვენ ხელს უწყობთ უდიდესი იდეების განხორციელებას, რომელსაც ელტვოდნენ მთელი მსოფლიოს საუკეთესო ადამიანები.

გუშინ მე ვიყავი თქვენს გასაოცარ სვერდლოვკაში, დაწესებულებაში, რომელიც თქვენი წრიდან ამზადებს მასწავლებლებს და მომავალ ინტელიგენციას, თქვენს ინტელიგენციას, თქვენს სისხლსა და ხორცს, რომელიც დაიჭერს თქვენი ძველი, გარდაცვალებული ბელადების ადგილს. თუ მე კიდევ ვიხილავ ისეთ დღეს, როგორიც ვიხილე გუშინ, ისეთს, როგორსაც ვხედავ დღეს, ისეთ დღეებს, რომლებსაც კიდევ ვიხილავ ხვალ და ზეგ, და თუ მე სიხარულისაგან გული არ გამისკდება და არ მოვკვდები, ეს საუცხოვო რამ იქნება! (ტაში. ხმები: „კიდევ ბევრ ხანს იცოცხლე!". მე საზოგადოთ მინდა სიცოცხლე, კარგი იქნებოდა კიდევ მეცოცხლა 60 წელი, იმიტომ, რომ თქვენთან ცხოვრება, ამხანაგებო, ძალიან საინტერესოა. მე საუცხოვო ადგილას ვცხოვრობ: იქ ხარობს ფორთოხალი, ლიმონი, პალმები. ძალიან კარგი ადგილია, სიწყნარეა და ძალიან მეხერხება წერა. მე ყოველდღე ვიღებ აქედან 20—30 წერილს. ამ წერილებში ყოველთვის არის ათამდე წერილი რომელიმე გლეხკორისა და მუშკორისაგან, რომელიმე ახალი მწერლებისაგან. გარწმუნებთ, რომ ეს დიდად სასიხარულოა, ეს დიდი ბედნიერებაა ადამიანისათვის, რომელიც საკმაოდ ძნელი გზით მიდიოდა, რომელმაც მძიმე შრომით შეისწავლა წერა-კითხვა.

თქვენ წრეში ადვილია ცხოვრება. ადვილია ცხოვრება იმ ატმოსფერაში, რომელსაც თქვენ ქმნით. გადახედეთ, რამდენი ნიჭიერი ადამიანი დააწინაურა პროლეტარიატმა ყოველ დარგში, ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში. მხოლოდ 10 წელი გავიდა. ეს ხომ დროის უმნიშვნელო მანძილია და თქვენ კი ასე ბევრი მიღწევები გაქვთ ამ ხნის განმავლობაში.

მე შეიძლება უკეთესად დამეწერა, ვიდრე ვლაპარაკობ,, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მე მინდა გითხრათ ისეთი რამ, რათა თქვენ დაიჯეროთ, რომ თქვენ ხართ ყველაზე უფრო დიდი, მშვენიერი, მნიშვნელოვანი მოვლენა დედა-მიწაზე, როგორიც კი ოდესმე ყოფილა საზოგადოთ ამ მსოფლიოში.

სალამი თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო! (მხურვალე ტაში).

გორკი—საპატიო რკინის გზელი

გორკიმ დაამთავრა თავისი სიტყვა და ადგილი დაიჭირა ყრილობის პრეზიდიუმში. ყრილობის თავმჯდომარემ ამხ. ამოსოვმა განაცხადა:

„წინადადებას ვიძლევი, რომ გორკი—ძველი რკინისგზელი, საუკეთესო პროლეტარული მწერალი არჩეულ იქნას ყრილობის პრეზიდიუმის საპატიო წევრად და საპატიო რკინისგზელად".

ყრილობა ოვაციით შეხვდა ამ წინადადებას.

ამის შემდეგ გორკი ძლივს მიდის გასავალი კარებისაკენ, რადგან მას მიაცილებს მთელი აუდიტორია.

შახტის კონტრ-რევოლიუციონერების გასამართლება

29 მაისის დილის სხდომა

ინჟენერ ნაშივოჩნიკოვის დაკითხვა

მოსკოვი, 30 მაისი. 29 მაისს უზენაეს სასამართლოს სხდომა იხსნება დილის 10 საათზე. გრძელდება ბრალდებულ ნაშივოჩნიკოვის დაკითხვა.

უპასუხებს რა ბრალდებაზე ანტისაბჭოთა განწყობილების შესახებ, ნაშივოჩნიკოვი აცხადებს, რომ ის არასოდეს არ გაჰყოლია თეთრებს. ერთხელ ბლაგოვეშჩენსკის მაღაროს, სადაც ის მუშაობდა, თავს დაესხა პოლკოვნიკ ლაზარევის ბანდა. ნაშივოჩნიკოვის ბინა დაარბიეს და თვით ნაშივოჩნიკოვს თეთრები დაეძებდნენ მოსაკლავად, მაგრამ ის დამალეს მუშებმა.

28 მაისის სხდომაზე ნაშივოჩნიკოვი გადაჭრით უარყოფდა მის მიერ ფულის მიღებას დამზაინებელთა ორგანიზაციიდან. ფულის საკითხს კვლავ აყენებს მისი დამცველი, რომელიც კითხვას აძლევს სამოილოვს. **სამოილოვი** აცხადებს, რომ ნაშივოჩნიკოვს ფული ეძლეოდა.

სასამართლოს წევრი **ვასილევ-იუჟინი** ეკითხება ბრალდებულს:

„როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ცოტად თუ ბევრად კეთილსინდისიერ ტეხნიკოსს რამოდენიმე წლის განმავლობაში არ შენიშნოს აღმაშფოთებელი საზიანო მოვლენები, რომელთა შესახებ თქვენ აქ ლაპარაკობდით?"

„შეიძლებოდა არ შეენიშნა,—უპასუხებს ნაშივოჩნიკოვი,—ყველაფერი ისე მოხერხებულათ კეთდებოდა".

მონტიორ პონომარიოვის ჩვენება

ნაშივოჩნიკოვის დაკითხვის დამთავრების შემდეგ სასამართლომ გამოიწვია მოწმე პონომარიოვი, მაღარო № 2-ის მონტიორი, რომელიც იცნობს ნაშივოჩნიკოვის მუშაობას. პონომარიოვი მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ ეპყრობოდა ნაშივოჩნიკოვი დაწინაურებულ კომუნისტებს, რომლებსაც ის, მოწმის სიტყვით, ვერ იტანდა და ცდილობდა მოეშორებია მაღაროდან. **ლივშიცი**, კარგი ტეხნიკოსი, მან მართლაც დაითხოვა სამსახურიდან. ლივშიცი გადავიდა მეორე მაღაროში, სადაც მან მალე დაიკავა უფრო დიდი თანამდებობა. ნაშივოჩნიკოვს არ ჰქონდა ადგილი აგრეთვე ჩერედნიჩენკოსა და დომბენკოსათვის. ნაშივოჩნიკოვი მუშებს უხეშად ეპყრობოდა.

მოწმე პონომარიოვის ჩვენება ეხება აგრეთვე სასამართლოს სხდომაზე უკვე გაშუქებულ საკითხს კრომატორჩიკის ქარხნის საბურღი მანქანის შესახებ. ნაშივოჩნიკოვი ყოველმხრივ უშლიდა ხელს ამ მანქანის გამოცდას. მოწმეს დიდი ბრძოლა მოუხდა იმისათვის, რომ მანქანა გამოეცადა. მანქანის გამოცდის პირობები მეტად მძიმე იყო. მიუხედავათ ამისა, მანქანა სავსებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

ელექტრო-მონტიორ კუზინის ჩვენება

მოწმე (მაღარო № 2-ის ელექტრო-მონტიორი) კუზინი სასამართლოს წინაშე აშუქებს ნაშივოჩნიკოვის დამოკიდებულებას, ინჟენერ **ლივშიცისადმი** და საერთოდ კომუნისტებისადმი, კუზინი პარტიის წევრია. ის მაღაროში მსახურობდა ნაშივოჩნიკოვის მისვლამდე, როცა გამგეთ იყო ბაბენკო. მოწმის დაწინაურებას უფროს ელექტრო-მონტიორის თანამდებობაზე ბაბენკო ჯერ უარყოფითად უყურებდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი მოწესრიგდა. ხოლო როცა მაღაროში მოვიდა ნაშივოჩნიკოვი, მოწმემ შეამჩნია, რომ ნაშივოჩნიკოვი უკმაყოფილოა მით, რომ კუზინს უკავია უფროსი მონტიორის თანამდებობა. დაბოლოს ნაშივოჩნიკოვმა მიაღწია იმას, რომ კუზინი გახდა უბრალო მონტიორი.

ერთხელ,—ამბობს კუზინი,—როცა მე მოვდიოდი ელექტრო-სადგურიდან, ჩემს წინ მიდიოდნენ ნაშივოჩნიკოვი და კოსტენკო. მე გავიგონე ნაშივოჩნიკოვის სიტყვები: „აი ჩვენთან კიდევ ერთი ურია დანიშნეს".

— რომელი ურია?—შეეკითხა **კრილენკო**.

„ეს იყო ნათქვამი სპეციალისტ ლივშიცის შესახებ",—უპასუხებს მოწმე.

დომბენკოს ჩვენება

სასამართლო გადადის ბრალდებულ ნაშივოჩნიკოვის უახლოეს თანაშემწის მოწმე დომბენკოს დაკითხვაზე.

1923-24 წელს მოწმე განაგებდა სნეჟნიანსკის მაღაროს სამრეწველოს. შახტის ოლქში ის დაახლოებით მუშაობდა შვიდ თვეს მაღარო „პროლეტარსკაია დიქტატურა"-ს გამგის მოადგილედ, ე. ი. ნაშივოჩნიკოვის უფროს თანაშემწედ.

თავის ჩვენებაში დომბენკო აცხადებს:

„როცა მე მივედი მაღარო „პროლეტარსკაია დიქტატურა"-ში იქ შეიქნა ასეთი მდგომარეობა: მაღაროს სამრეწველოში მომუშავე კომუნისტებს და პროფესიონალურ ორგანიზაციას უნდოდათ ჩემი დანიშვნა მაღაროს გამგედ. მაგრამ ამის წინააღმდეგი იყო უფროსი ტეხნიკური პერსონალი. ბოლოს შეთანხმდენ და დამნიშნეს მოადგილედ. ნაშივოჩნიკოვი დიდ ხანს ცდილობდა, რომ მე უშუალოდ მაღაროში არ მემუშავნა და უმთავრესად ვყოფილიყავი სამრეწველოში".

დაბოლოს დომბენკომ, როგორც იქნა, მიაღწია იმას, რომ ის გამოეყენებიათ სამთო-მადნო სამუშაოებზე. საქმეებთან გაცნობის პროცესში მოწმემ შენიშნა, რომ წარმოებული მუშაობა არ შეეფერება არსებულ წესებს.

„ამ დროს,—ამბობს მოწმე,—ჩვენთან იყო ახალგაზრდა ინჟენერი **ლივშიცი**. ერთხელ მე მას უთხარი: „სიმონ მარკოვიჩ, იმუშავე ისე, როგორც საჭიროა. თუ ეჭვი გეპარება, თუ შენ არა გაქვს დიდი პრაქტიკა, მე, როგორც გამგის მოადგილე, გიბრძანებ გააკეთო ასე და ამგვარად". მან მიპასუხა: „მე მესმის თქვენი აზრი". როცა ლივშიცმა დაიწყო სწორი სისტემის გატარება, ის ორი კვირის შემდეგ თავიდან მოიშორეს".

დომბენკომ მოითხოვა რომელიმე მცოდნე და გამოცდილი მუშის დანიშვნა. გაუგზავნა ჩერედნიჩენკო.

ამ მუშას დომბენკო ახასიათებს ასე: „ჩერედნიჩენკო საუკეთესო ადამიანია, მან მშვენიერად იცის სამთო-მადნო საქმე და ამავე დროს არის პარტიის წევრი".

ჩერედნიჩენკომ, მოწმის სიტყვით, ყველაფერი დაინახა და როცა 6 საათის მუშაობის შემდეგ ამოვიდა მაღაროდან, ტირილით ამბობდა, რომ იქ ვერ იმუშავებს". დაბოლოს ჩერედნიჩენკო გადააყენეს.

ამ უბანში მუშაობის შესახებ დომბენკო ამბობს:

„მთელს მეორე უბანში მუშაობას განზრახ აფერხებდენ, მაშინ, როცა ეს უბანი იძლეოდა მთელს მაღაროში ამოღებული ნახშირის 60-80 პროცენტს".

შემდეგ მოწმე აღნიშნავს, როგორ მიზანშეუწონლად იყენებდენ საბურღავ მანქანას.

„სადაც საჭირო იყო სულივანის მძიმე მანქანის დადგმა, იქ ადგამენ კნაპის მანქანას, ხოლო საცა, პირიქით, საჭირო იყო მსუბუქი მანქანა, იქ დგამდენ სულივანის მანქანას. მე ეხლა მესმის, რომ ეს იყო მავნებლობა, მაგრამ მაშინ ძნელი იყო ამის მიხვედრა. ბევრს ვუყუროდი და ვჩიოდი, მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა".

მოწმე აღაშფოთა ერთმა ბოროტმოქმედებამ, რომელსაც ის მხოლოდ და მხოლოდ ნაშივოჩნიკოვს მიაწერს. ეს ბოროტმოქმედება მდგომარეობდა იმაში, რომ მაღაროში ჰაერის გაუწმენდაობის გამო, დაიღუპა (გაიგუდა) მუშა ზაიცევი. მიუხედავათ იმისა, რომ გაცემული იყო ბრძანება მაღაროში ჰაერის გაწმენდის შესახებ, ეს ბრძანება არ იქნა მოყვანილი სისრულეში. ამას შედეგათ მოჰყვა ერთი კაცის სიკვდილი და 50-ის მოწამვლა.

ლივშიცის ჩვენება

სასამართლო გადადის მოწმე ლივშიცის დაკითხვაზე. **კრილენკო** წინადადებას აძლევს ლივშიცს მოუთხროს სასამართლოს ნაშივოჩნიკოვთან ერთად მუშაობის ისტორია.

„1926 წლის მარტიდან,—ამბობს მოწმე,—როცა მე დამნიშნეს მაღარო № 2-ის საუბნო ტეხნიკოსის თანამდებობაზე, ნაშივოჩნიკოვი მეტად ცივად შემხვდა. ჩემს მისვლისთანავე მაღარომ მიიღო ჯეფრის მანქანები. აშკარა იყო, რომ მანქანები ჩვენს მაღაროში არ გამოდგებოდა. მე ეს განვაცხადე, მაგრამ ანგარიშს არავინ მიწევდა. იმავე ხანებში წამოიჭრა საკითხი გვირაბების გათხრის სისტემის შესახებ. მაღაროში შემოღებული სისტემა ადიდებდა მანქანების რაოდენობას და ამცირებდა შრომის ნაყოფიერებას. როცა მე სექტემბერში წავედი შვებულებაში, ამით ისარგებლეს მუშაობის შესაჩერებლად პირველ გვირაბში, რომელიც უნდა გათხრილიყო, რომ მიგვეცა მაღაროსათვის. 1926 წლის აგვისტოში და სექტემბერში იყო შემთხვევები, როცა მუშები სტოვებდენ მაღაროს ჰაერის უქონლობის გამო.

ტეხნიკურ თათბირზე, რომელსაც დაესწრენ კალგანოვი, ბაბენკო, ნაშივოჩნიკოვი და კოსტენკო, აღნიშნავდენ, რომ ყველაფერში დამნაშავეა ლივშიცი და რომ მის უბანში ძლიერ ცუდი მდგომარეობაა და ნახშირის ამოღება მცირდება.

„მართლაც,—ამბობს მოწმე,—ნახშირის ამოღება შემცირდა 4.000 ფუთამდე, მაგრამ ეს მოხდა მანქანების გადაჯგუფებისა და ვენტილიაციის მოუწესრიგებლობის გამო, რაზედაც მე მუდამ მითითებდი".

იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებული ნაშივოჩნიკოვი და უბნის გამგე ვასილიევი უარყოფენ მუშა ზაიცევის გაგუდვას და სხვა მუშების მოწამვლის შემთხვევას, სახელმწიფო ბრალმდებლობამ აღძრა შუამდგომლობა, რათა ადგილზე დამატებით იქნეს გამოძიებული დომბენკოს ჩვენებაში აღნიშნული ფაქტი. შუამდგომლობა დამატებითი გამოძიების შესახებ სასამართლომ დააკმაყოფილა.

ამით დამთავრდა 29 მაისის დილის სხდომა.

29 მაისის საღამოს სხდომა

მოწმე პეტრაკოვის ჩვენება

29 მაისის საღამოს სხდომა იწყება მოწმე პეტრაკოვის ჩვენებით, 1928 წელს შემოდგომაზე პეტრაკოვი მოსკოვის პირველ კომუნისტურ პოლკის სხვა წითელარმიელებთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა თეთრებს. ტყვების ნაწილი გაგზავნეს პეტროპავლოვსკის მაღაროში, სადაც ამ ხანებში გამგეთ იყო ნაშივოჩნიკოვი. პეტრაკოვი ამბობს რომ ტყვეებს საშინელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ისინი შიშველ-ტიტველნი იყვნენ და თითქმის სრულებით არ ღებულობდენ საჭმელს. ხალხი პირდაპირ ჭკუას შეარყევდა. ასეთსავე პირობებში მუშაობდენ მემაღაროები. ასეთ მდგომარეობის მიზეზად მოწმე სთვლის ნაშივოჩნიკოვს. მცველი ჯარისკაცები თანაუგრძნობდენ ტყვეებს და უყიდდენ მათ თავიანთ ულუფას.

„ამხანაგებო, ეუბნებოდენ ტყვეები ჯარისკაცებს, თვითეული ვაგონი ნახშირით თქვენ ყუმბარებს ყიდულობთ უცხოელებისაგან".

ეს ლაპარაკი გაიგონა ნაშივოჩნიკოვმა და მეორე დღეს ორი ტყვე მოკლული იპოვეს.

ერთხელ ტყვეებმა გაიგეს, რომ მაღაროს ახლოს გდია მკვდარი ლორი. წავიდნენ ლორისათვის. როცა ისინი აპირებდენ ლორის წაღებას, მახლობლად ეტლით მიდიოდა მაღაროს ადმინისტრაცია, მათ შორის ნაშივოჩნიკოვი და კონტრდაზვერვის ოფიცრები. შენიშნეს რა ტყვეები, ისინი შეჩერდენ და სროლა აუტეხეს მათ.

ნაშივოჩნიკოვი ყველაფერს უარყოფს. მართალია, ტყვეები მაღაროში იყვნენ. მართალია, მათი მუშაობის პირობები უაღრესად მძიმე იყო, ბარაკი საშინელი იყო, ტყვეებს ცუდათ კვებავდენ, მაგრამ ეს ხომ მისგან, ნაშივოჩნიკოვისაგან, არ იყო დამოკიდებული.

ბრალდებულ ვასილიევის დაკითხვა

სასამართლოს წინაშე სდგას ბრალდებული **თედორე ტიმოთესძე ვასილიევი**, სამთამადნო ტეხნიკოსი. ის არა ერთხელ იყო მოხსენებული ჩვენებაში. ის ეკუთვნის ბერეზოვსკების და კოლოდუბების „სახელოვან წრეს" სწორედ მასზე ლაპარაკობდა ბერეზოვსკი, რომ უხეში მოპყრობისათვის მუშებს უნდოდათ მისი მოკვლა, მაგრამ მხოლოდ გააძევეს მაღაროდან.

1920 წელში, თეთრგვარდიელების უკან დახევის მომენტში, როცა წითლები შემოდიოდნენ რაიონში, ვასილიევი თავის მაღაროში იმყოფებოდა. შუა ზაფხულში ეკატერინინსკის სტანიციდან ვიღაცამ სროლა აუტეხა მაღაროებს ამ მიმართულებით გაგზავნილი იყო 45 კაცისაგან შემდგარი სასურსათო რაზმი. იმ მხარეზე კი, როგორც შემდეგ გამოირკვა, იყო „კურუშის არმია", რომელიც 5 კაცისაგან შესდგებოდა. და აი, თითქოს, სასურსათო რაზმის მეთაურის თხოვნით ვასილიევი გაემგზავრა მდინარის გაღმა ნაპირზე იმ მიზნით, რომ გაეგო, რა ხდებოდა იმ მხარეზე. კურუშის არმიამ დაატყვევა ვასილიევი და კურუშმა წინადადება მისცა მას დარჩენილიყო სტანიცაში.

ვასილიევი ამბობს, რომ ის თანახმა იყო ემუშავა მხოლოდ მაღაროში და ადმინისტრატიული ფუნქციების შესრულებაზე უარს ამბობდა, რადგან ამ საქმეში ის არ იყო გამოცდილი, მაგრამ მას მაინც არ დაუჯერეს და დანიშნეს „ატამანად".

სახელმწიფო ბრალმდებელის თხოვნით გამოქვეყნებული ჩვენება მოწმეებისა ამ ისტორიას უფრო მარტივად გვიხატავს. ტეხნიკ ვასილიევს კავშირი ჰქონდა ბანდიტ კურუშთან. როცა კურუშმა სტანიცა ეკატერინინსკაია დაიკავა, მან ვასილიევი სტანიცის „ატამანად" დანიშნა. როცა ის ატამანად იყო, დადიოდა ხუტორებში და აგიტაციას ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. შემდეგ წითლებმა კურუში განდევნეს, ვასილიევი გაიქცა და რამდენიმე წლის შემდეგ მაღაროებში ამოყო თავი.

„ბრალდებულო ვასილიევ, ეკითხება **კრილენკო**,—რა მდგომარეობაში ჩაიბარეთ თქვენ მაღაროს ერთი ნაწილი ლივშიცის წასვლის შემდეგ?"

— ცუდ მდგომარეობაში. შემდეგში მე შევძელი მუშაობის მნიშვნელოვნად მოწესრიგება.

ვინაიდან ეს ჩვენება ეწინააღმდეგება საქმეში დართულ ცნობებს, ამიტომ სასამართლო აქვეყნებს მოწმე **ჩერედნიჩენკოს** ჩვენებას, რომელიც ახასიათებს ვასილიევს, როგორც შეგნებულ დამზაინებელს. ვასილიევი უარყოფს ასეთი დახასიათების სისწორეს.

მოწმე გოლოლობოვის ჩვენება

ვასილიევის საზიანო მუშაობის ნათელ სურათს იძლევა მოწმე **გოლოლობოვი**:

„ეს—ცბიერი მელაა. როცა მე მას გავეცანი, კარგად მეპყრობოდა. მაგრამ როცა გამოვარკვიე საზიანო მუშაობა, ვასილიევი მეუბნებოდა: „გოლოლობოვო, თქვენ ნუ ერევით იმ საქმეში, რომელიც თქვენ არ გეხებათ,—მე თქვენზე მეტი ვიცი". მაშინ მე მივმართე ჩერედნიჩენკოს, ჩემ პარტიულ ამხანაგს და მისგან გავიგე, რომ ჩემ მიერ შესრულებული სწორი მუშაობა გააფუჭეს. ჩვენს მაღაროში მუდამ ხდებოდა ჩამონგრევა. ადგილი ჰქონდა სხვა ნაკლსაც. მთელ ამ საზიანო მუშაობას აწარმოებდენ ვასილიევი და ნაშივოჩნიკოვი".

ვასილიევი მოწმეს აძლევს რამდენიმე კითხვას იმ მიზნით, რათა მოწმემ დაუდასტუროს, რომ ვასილიევის ცდით გაუმჯობესდა მუშაობა მაღაროში.

მოწმე ამაზე უპასუხებს:

„ასეთ მუშაობას მე არ ვიცნობ, მე ვიცი, რომ ვასილიევის მუშაობის მეოხებით მაღაროში ხდებოდა ჩამონგრევა".

თათბირი საბჭოთა ძირითად ორგანოების მუშაობის შესახებ

მეორე დღე

მეორე დღის დილის სხდომაზე გაგრძელდა მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებები გააკეთა ჩაქვის, სახხერის, შინდისის და ძირულის თემ-საბჭოების თავმჯდომარეებმა.

მოხსენებები ადგილებიდან

ჩაქვის თემ-საბჭო

(მომხსენებელი ამხ. გოლქვაძე)

ჩაქვის თემი აჭარისტანში ჩაის კულტურას ცენტრს წარმოადგენს. თემში შედის 13 სოფელი. მეკომურთა რიცხვი უდრის 4896-ს. თემ-საბჭო შესდგება 117 წევრისაგან. აქედან 44 ღარიბი გლეხია და 25 მუშა; საბჭოსთან არსებობს მიწის კომისია, რომელიც ანაწილებს მიწებს გლეხებს შორის და თვალყურს ადევნებს თესვის კამპანიის მიმდინარეობას. მიწის კომისიის დახმარებით ჩაქვის თემში დასახლებულ იქნა 60 გლეხი. თემში მოწყობილია 3 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი: 2 მებაღეთა არტელი და ერთი ლუდის გამშებელი ამხანაგობა, ეხლა ეწყობა მეოთხე—ჩაის მეურნეობათა არტელი. გლეხობას ემჩნევა დიდი მისწრაფება კოლექტივების მოწყობისადმი. არის შემთხვევები, როცა გლეხები კოლექტივში შედიან თავისი მიწის ნაჭრებით.

ჩაქვში მუშკოოპს აქვს ორი დუქანი და ერთი კოოპერატიული სასადილო. მუშკოოპს ყავს 554 წევრი. წევრებს შორის 298 მუშაა, და 228 გლეხი. საპაიო თანხა უდრის 5.805 მანეთს, ხოლო წლიური ბრუნვა—178.000 მანეთს. გამოზაფხულზე კოოპერატივმა გლეხობას მიაწოდა 12 ვაგონი სიმინდი, სამ-ნახევარი ვაგონი პურის ფქვილი და 8 ვაგონი თივა.

ჩვენს თემშივე მუშაობს საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც 835 წევრი ყავს. ღარიბები 567-ს შეადგენენ. დანარჩენი არიან საშუალო შეძლების გლეხები. ამხანაგობამ დახმარება გაუწია წყალდიდობისაგან დაზარალებულთ, რომელთაც სესხად დაურიგდა 4.200 მანეთი. ამხანაგობის მიერ გაცემულია: გრძელვადიან სესხად 39.000 მანეთი და მოკლევადიან—41.951 მანეთი. კრედიტები უმთავრესად ხმარდება ჩაის პლანტაციების გაშენებას. 1926 წ. ჩაქვში დათესილი იყო 135 დესეტინა, 1927 წელს ამას მიემატა 90 დესეტინა, ხოლო წელს 135. სულ ჩაის კულტურას თემში ამჟამად უჭირავს 395 დესეტინა, რომელიც 700 ოჯახს ეკუთვნის. 80 პროცენტი სესხისა გაცემულია ღარიბ მოსახლეობაზე.

განათლების დარგში მიმდინარეობს შემდეგი მუშაობა: გახსნილია ხუთი წ.-კ. სალიკვიდაციო სკოლა, რომელიც დაამთავრა 120 მსმენელმა. მუშაობს აგრეთვე ქალთა ჭრა-კერვის სკოლა და სხ. თემში 9 შრომის სკოლაა, სადაც სწავლობს 554 მოწაფე. ნაყოფიერია ქოხ-სამკითხველოს საქმიანობაც. ჩაქვის სახალხო მამულში გახსნილია კლუბი, სადაც სისტემატიურად იმართება წარმოდგენები და ლექცია-მოხსენებები. თემს აქვს ერთი საექიმო პუნქტი ექიმით, მისი თანაშემწით და ერთი მეანე ქალით. საექიმო პუნქტზე დახმარება მიუღია 13.000 კაცს, სავადმყოფოში 450-ს.

სხვა დაწესებულებებს შორის აღსანიშნავია გლეხკომი, რომელსაც აქვს საკუთარი სამჭედლო, გლეხთა სახლი; ყავს 350 წევრი. ყველა ამ ორგანიზაციების მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თემ-საბჭოსა და აღმასკომის საქმიანობასთან. საბჭო ისმენს მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ და იმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად. კოოპერატიული მუშაობისთვის საბჭოს გამოყოფილი აქვს კომისია, რომელიც მუშაობს ღარიბი გლეხების კოოპერაციაში შესაკავშირებლად. დროგამოშვებით საბჭო მართავს საანგარიშო კამპანიას და ხანდახან სოფლებში იმართება აღმასკომის პლენუმი.

სახხერის თემ-საბჭო

(მომხსენებელი ამხ. დურმიშიძე)

სახხერის თემ-საბჭოში შედის 121 წევრი. უმრავლესობას შეადგენს ღარიბი გლეხობა. საბჭოს გამოყოფილი აქვს 7 სექცია: სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, კოოპერატიული, საფინანსო-საგადასახადო, საგზაო, საგანმანათლებლო და სანიტარული. სექციებს შორის ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს სამშენებლო სექცია. მის მიერ შეკეთებულია სასკოლო და საბჭოთა შენობები, აგებულია ელსადგური, რომლისათვის მანქანები უფასოდ დაგვითმო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა.

არა ნაკლები საქმიანი მუშაობაა ჩატარებული საგზაო სექციის მიერ. თითქმის ყველა სოფლებში შეკეთებულია გზები და ზოგან გაყვანილია ახალი, აგებულია აგრეთვე რამოდენიმე დაკიდული ბოგირის ხიდი და ბოგირები. სუსტია სასოფლო-სამეურნეო სექციის მუშაობა. თუ რამე კეთდება სასოფლო მეურნეობის დარგში, კეთდება ამ სექციის მონაწილეობის გარეშე, თემში არსებობს ერთი მევენახეთა არტელი, რომელიც მთლიანად ღარიბებისაგან შესდგება. კოლექტიურ მეურნეობის სხვა ფორმა თემში არ არის. რამოდენიმე წელიწადია, რაც მუშაობს აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობა, რომლის საბრუნავი თანხა მეტად განსაზღვრულია—შედარებით თემში არსებულ საჭიროებასთან.

უფრო ნაყოფიერია თემ-საბჭოს მუშაობა კულტურულ საგანმანათლებლო დარგში. 26 წლიდან გახსნილია 6 ოთხწლედი, ერთი შვიდწლედი, ერთი სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და საბავშო სახლი წერეთლისეულ სასახლეში. სკოლები გახსნილია უმთავრესად მიყრუებულ სოფლებში, რომლებიც წერა-კითხვის ცოდნის მხრივ ძალიან ჩამორჩენილნი იყვნენ. საბავშო სახლში მოთავსებულნი არიან ობლები და ულარიბესი გლეხების შვილები. სასწავლებლების რიცხვი საკმაო არ არის. ჯერ კიდევ ბევრი ბავში რჩება სკოლის გარეშე. თემს აქვს აგრეთვე სამკითხველო, რომლისათვის ჩვენ ავაგეთ ახალი შენობა. სამკითხველოში მოწყობილია სხვადასხვა წრეები და კუთხეები. საბჭოს მიერ ბევრია გაკეთებული თვით დაბა სახხერის კეთილმოწყობის დარგში: შეკეთებულია ქუჩები და გაყვანილია წყალსადენი, მოწყობილია მეხანძრეთა რაზმი. სახხერის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. სოფლებში გაყვანილია ტელეფონები.

შინდისის თემ-საბჭო

(მომხსენებელი ამხ. მონიაძე)

შინდისის თემი მდებარეობს გორის მაზრის იმ ნაწილში, სადაც მოსახლეობა მეხილეობას მისდევენ. ამ თემის მთავარ საქმიანობასაც მეხილეობა წარმოადგენს. თემის საბჭო შესდგება 76 წევრისაგან. მისი შემადგენლობა სავსებით გლეხურია. უკანასკნელი საანგარიშო კამპანიის დროს, ხელახლა გადარჩეული იქნა 23 დეპუტატი; წინად არჩეულ დეპუტატების გამოწვევის მიზეზი იყო მათი სრული უმოქმედობა ან რამიე ბოროტმოქმედება. საბჭოს პლენუმის მოწვევა სწარმოებს თვეში ერთხელ. სხდომებს ესწრებიან არა წევრი გლეხებიც. საბჭოს გამომუშავებული აქვს თავისი მუშაობის წლიური გეგმა იმ განაწესის მიხედვით, რომელიც ამრჩევლებისაგან აქვს მიღებული. დღემდე საბჭოს მიერ შესრულებულია დავალებათა 85 პროცენტი. საბჭომ ვერ შესძლო მხოლოდ იმ დავალებათა შესრულება, რომელთაც წინ გადაეღობა რამიე ობიექტიური მიზეზები. მაგ. საბჭომ ვერ მოახერხა სამანქანო ამხანაგობის მოწყობა, რადგან ტრაქტორების ნაკლებობის გამო, საბჭომ ვერ მიიღო ტრაქტორი ცენტრიდან. საბჭოს (სექციების ნაცვლად)გამოყოფილი აქვს სამი კომისია: სასოფლო-სამეურნეო, საამშენებლო და კულტურულ-საგანმანათლებლო. კომისიებში საბჭოს წევრებს გარდა შედიან აგრეთვე აქტიური გლეხები. კომისიებში ირჩევა და სწყდება სოფლის მეურნეობის, კეთილმოწყობის, და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხები. კომისიები ამუშავებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს და თვითონვე ატარებენ მათ ცხოვრებაში. საანგარიშო კამპანიას საბჭო ატარებს სისტემატიურად სამ თვეში ერთხელ. საბჭოსა და აღმასკომის საქმიანობის შესამოწმებლად გამოყოფილია სარევიზიო კომისია, რომელმაც საანგარიშო წლის განმავლობაში 7-ჯერ მოახდინა რევიზია.

შემდეგ მომხსენებელი მიმოიხილავს უკეთეს საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობას. სასოფლო-სამეურნეო დარგში შესრულებულია შემდეგი მუშაობა: თემში მუშაობს ერთი აგრონომი, რომელიც დადის სოფელ-სოფელ და რჩევა-დარიგებას აძლევს მეურნეებს. ბაღების წამლობა დღემდე სწარმოებდა უფასოდ. თემში მოწყობილია ერთი სამანქანო ამხანაგობა, რომელიც 80 წევრს აერთიანებს. მეხილეობის გარდა, მოსახლეობა მისდევს მემინდვრეობას. საბჭოს მიერ წელს მიღებული იყო ღონისძიებები, რომ არც ერთი ნაკვეთი მიწა არ დარჩენილიყო დაუთესავი. ეს ასეც მოხდა. დიდ დახმარებას უწევს მეხილეობის განვითარებას ჩვენში საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს 421 წევრს. ამხანაგობის საპაიო თანხა 1.500 მანეთს აღწევს. დღემდე გაცემულია 3.000 მ. გრძელვადიანი კრედიტი და 4.685 მანეთი მოკლევადიანი. საკრედიტო ამხანაგობა აწარმოებს აგრეთვე ხილის დამზადებას. გასულ წელს მის მიერ დამზადებულ იქნა 125.000 მანეთის ხილი.

შედარებით უფრო სუსტია სამომხმარებლო კოოპერატივის მუშაობა. კოოპერატივს ყავს 340 წევრი; მისი ძირითადი თანხა 840 მანეთს არ აღემატება. აქედან საპაიო თანხა შეადგენს 571 მანეთს. ასეთი უსახსრობა მას საშუალებას არ აძლევს გააფართოოს თავისი საქმიანობა. წარსულ წელთან შედარებით თემს კულტურულ საგანმანათლებლო დარგში ემჩნევა დაწინაურება, მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა მაინც დამაკმაყოფილებელი არ არის. თემში არსებობს შვიდი სკოლა. მიუხედავად ამისა ბავშთა დიდი პროცენტი სკოლის გარეშე რჩება. ჩვენი თემისათვის უმჯობესია გაიხსნას სოფლის ახალგაზრდობის სკოლა მეხილეობის განხრით. შემდეგ მომხსენებელი ეხება საბჭოს მუშაობას მოჯამაგირეების ინტერესების დაცვის დარგში და ამბობს, რომ ამ მხრით საჭიროა საბჭოს გაუფართოვდეს უფლებები.

ძირულის თემ-საბჭო

(მომხსენებელი ამხ. ხატიაშვილი)

ძირულის თემი 16 სოფელს აერთიანებს. საბჭო შესდგება 84 წევრისაგან. თემის მოსახლეობა მისდევს მევენახეობას და მეპურეობას. თემ-საბჭოსთან მოწყობილია 6 სექცია. სექციების მუშაობას აფერხებს ის გარემოება, რომ სექციის წევრები ცხოვრობენ ძალიან შორს და ვერ ახერხებენ მისვლა-მოსვლას სექციების სხდომებზე დასასწრებლად. მიუხედავად ამ დამაბრკოლებელი მიზეზებისა, საბჭოსა და სექციების მუშაობა, წასულ წელთან შედარებით, გამოცოცხლებულია, რასაც ამტკიცებს ის, რომ ამრჩევლების მიერ მიცემული „ნაკაზი" 90 პროცენტით არის შესრულებული.

სექციებიდან თავისი ნაყოფიერი მუშაობით განირჩევა სასოფლო-სამეურნეო სექცია, რომელმაც კონკურსის დროს მიიღო პირველი ჯილდო. საანგარიშო პერიოდში საბჭოსა და მის სექციების მიერ ჩატარებულია შემდეგი მუშაობა: შეკეთებულია სამაზრო მნიშვნელობის გზები ათი ვერსის მანძილზე და სასოფლო გზები 31 ვერსის სიგრძეზე. საბჭოს ერთი მიღწევათაგანია აგრეთვე ის, რომ მან ძირულის ცეცხლის გამძლე აგურის ქარხნის ძველი სადგურიდან გაიყვანა ელექტრო ხაზი, რომელიც სინათლეს აწვდის გლეხობას—და სოფლად არსებულ კულტურულ დაწესებულებებს. ეს საბჭოს დაუჯდა ორი ათასი მანეთი. გლეხებს სინათლე ეძლევა 3 კაპ. კ. საათში.

თემის კულტურული მდგომარეობა ასეთია: არსებობს სამი ოთხწლედი, ერთი სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, ერთი შვიდწლედი, პროფსკოლა და ჭრა-კერვის სასწავლებელი. ეხლა შენდება საშუალო საკერამიკო სასწავლებელი, რისთვისაც გაღებულია 75.000 მანეთი. თემს აქვს სამკითხველო, სადაც მოდის ქართული გაზეთები და პერიოდული გამოცემები. თვით გლეხებიც იწერენ ჟურნალ-გაზეთებს. გასულ წელს წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა დაამთავრა 300 კაცმა.

ჯანმრთელობის დარგში თემსაბჭოს შემდეგი მუშაობა აქვს ჩატარებული: მოწყობილი აქვს ერთი საექიმო და ერთი საფერშლო პუნქტი ამბულატორიით, რომელიც ყოველთვიურად დახმარებას უწევს 350 სულს. აღმშენებლობის დარგში თემსაბჭოს მიერ შეკეთებულია შვიდწლედის, საექიმო პუნქტის შენობები და ერთი შენობა ეხლა შენდება.

ცენტრის დავალებას თემ-აღმასკომი თავის დროზე ასრულებს. წელს ჩვენ თემს უნდა აეკრიფა 6.500 მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, აკრეფა წარმატებით ჩატარდა. აუკრეფელი დარჩა მხოლოდ ათი პროცენტი. თვით წესი აღრიცხვისა, მომხსენებელის აზრით, საჭიროა შეცვლილი იქნეს, რადგან მიწის სივრცე ყოველთვის არ გამოდგება გლეხის ქონებრივი მდგომარეობის საზომად.

მეორე დღის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა როკის (სამხრეთ-ოსეთი) და ლაილაშის (ლეჩხუმი) თემსაბჭოს თავმჯდომარეთა მოხსენებები.

როკის თემ-საბჭო

(მომხსენებელი ამხ. გაგაევი)

როკის თემი,—ამბობს მომხსენებელი,—დიდ სივრცეზე არის გაშლილი, რადგან მთიან მდებარეობის გამო, მოსახლეობა მთის ხეობებშია გაფანტული. თემი აერთიანებს 33 აულს, სადაც 3.400-მდე კომლი ცხოვრობს. ცხოვრებთა მთავარ მოსაქმობას წარმოადგენს მესაქონლეობა და შემდეგ მემინდვრეობა. იმ რაიონში, სადაც როკის თემის სოფლები მდებარეობენ, ზამთარი საერთოდ ხანგრძლივი იცის, რაც ხშირად დიდ ზარალს აყენებს სასოფლო მეურნეობას. თემის ტოპოგრაფიული პირობები და უგზოობა გავლენას ახდენს აგრეთვე საბჭოს საქმიანობაზე. სოფლების ერთიმეორისაგან დაშორების გამო, საბჭოს სხდომები სისტემატიურად არ ხდება, იშვიათად იმართება აგრეთვე პრეზიდიუმის სხდომები. საბჭოსთან მოწყობილია ოთხი სექცია. საგზაო სექციის თაოსნობით შეკეთდა გზები 4 ნახ. ვერსის სიგრძეზე და აგებულ იქნა 3 ხიდი. კოოპერაციის მუშაობა სუსტია, რადგან უგზოობის გამო, იგი ვერ ღებულობს საკმაო საქონელს. თემში არსებობს 7 სკოლა, რომელიც უკანასკნელ წლებშია გახსნილი. ზოგიერთ სკოლას შენობა არა აქვს და არც სათანადოთ არის მოწყობილი. ხვნა-თესვა თემში დღემდე მამაპაპური სახნის-საკვეთით სწარმოებდა, მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში მიღებულ იქნა რკინის გუთნები. გლეხკომი თემში არსებობს, მაგრამ მისი მუშაობა უნაყოფოა, როგორც საბჭოს, ისე კოოპერატიულ-საზოგადოებრივ ორგანოების სუსტი მუშაობის მიზეზი არის უგზოობა. გზები არ ვარგა და თუ ეს საკითხი არ მოგვარდა ისე მეურნეობა როკის თემში წინ ვერ წაიწევს. ერთად-ერთი სახსარი ამა თუ იმ სახალხო საქმის გასაკეთებლად, არის თვითდაბეგვრა, რომელსაც ადგილობრივი საბჭო უფრო მეტად მიმართავს, ვიდრე ამის ნებას კანონი იძლევა.

ლაილაშის თემ-საბჭო

(მომხსენებელი ამხ. ხეცურიანი)

ლაილაშის თემის (ლეჩხუმი) სოფლებში 648 კომლია. ლაილაშის თემსაბჭო მაზრაში ერთ-ერთ აქტიურ საბჭოდ ითვლება. საბჭომ თითქმის მთლიანად შეასრულა ამრჩეველთა მიერ მიცემული „ნაკაზი": შეაკეთა სავადმყოფო, სკოლები, გზები; ააგო ახალი სასკოლო შენობები. საბჭოს წევრების დიდი ნაწილი აქტივობას იჩენს და სისტემატიურად ესწრება საბჭოს სხდომებს. საბჭოს დადგენილებები ცხოვრებაში ტარდება 100 პროცენტით. აღსანიშნავია ის, რომ სოფლის მშრომელი ინტელიგენცია აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის აღმშენებლობის საქმეში. საბჭოს ნაკლად ჩაეთვლება ის, რომ მან ვერ მოახერხა აამოქმედება სექციები. სამაგიეროდ სისტემატიურად იკრიბება სათემო და სასოფლო ყრილობები. კრებებს ესწრება ღარიბი და საშუალო გლეხობა. საბჭო ხშირად მიმართავს თვითდაბეგვრას, რადგან სხვა საშუალება საამშენებლო მუშაობის საწარმოებლად მას არ მოეპოება. ხშირად თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხა უფრო მეტია სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე. თვითდაბეგვრა ტარდება გლეხობის ერთსულოვანი თანხმობით, ხშირად თვით გლეხობის თაოსნობითაც. გლეხკომის მუშაობა სუსტია, მას არავითარი შემოსავალი არა აქვს.

მეტ უნარს იჩენს კოოპერაცია, რომელშიაც მოსახლეობის 80 პროცენტი არის შეკავშირებული. საპაიო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. ნაყოფიერია აგრეთვე საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა. გასულ წელს ამხანაგობამ გასცა 1,350 მანეთი გრძელვადიანი სესხი და 26,602 მანეთი მოკლევადიანი. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაცემულია 1.620 მანეთი, გრძელვადიანი და 3.372 მან. მოკლევადიანი სესხი. მიმდინარე წლის თემის ბიუჯეტი უდრის 13.696 მანეთს, რაც უმნიშვნელოა თემის მოთხოვნილებასთან შედარებით.

ამხ. ხეცურიანის მოხსენებით დამთავრდა თათბირის მეორე დღის საღამოს სხდომა.

პარტიული ცხოვრება

ქალთა განყოფილების გამგეების თათბირი

12 ივნის საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებასთან მოწვეულია რესპუბლიკების ცენტრ. კომიტეტების, დედა-ქალაქის და საოლქო კომიტეტების მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებების გამგეების თათბირი. თათბირის დღის წესრიგში სდგას მოხსენებანი: 1) სადელეგატო კრებების მუშაობა; 2) აღმასკომების წევრ-ქალთა პრაქტიკული მუშაობა და საბჭოების გადარჩევასთან დაკავშირებული საკითხები; 3) 8 მარტის დღის ჩატარების შედეგები ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში; 4) საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის მოხსენება ქალიშვილთა შორის მუშაობის შესახებ; 5) ნორჩ პიონერთა ამ.-კავკ. ბიუროს მოხსენება პიონერთა კოლექტივებს შორის მუშაობის შესახებ; 6) მოხსენებანი ადგილებიდან—იმის შესახებ, თუ [illegible] ღონისძიებანი იქნა მიღებული: ა) [illegible] აღმოფხვრისათვის, ბ) ქალების მონაწილეობის მისაღებად ხუთწლიანი გეგმის შედგენაში, გ) ქალების ჩასაბმელად ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში, დ) მუშაობის გასაცხოველებლად მომთაბარე მოსახლეობის ქალთა შორის, ე) მუშაობის გასაძლიერებლად სეზონურით მომუშავე ქალებს შორის, ვ) სადელეგატო კრებების მუშაობის გასაფართოვებლად ზაფხულში, ზ) გამომცემლობის საქმის მოსაგვარებლად.

მიმდინარე საკითხებში დასმულია ქალთა განათლების საკითხი ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში და აგრეთვე ქალთა შორის და საბჭოებში მომუშავე ქალთა გადასამზადებელი კურსების მოწყობის საკითხი.

თბილისის კომიტეტის პლენუმი

ამხ. სვანიძის მოხსენება

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირმა ფეხი შესდგა სოციალისტური მშენებლობის პერიოდში—დაიწყო ამხ. სვანიძემ,—მუშათა მასების ჩაბმა სახელმწიფო აპარატის მუშაობისა და წარმოებაში ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად გადაიქცა. მასიური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა, კიდევ უფრო ნათელი გახადა შახტის სმოლენსკის და სხვა ამბებმა, რომლებმაც გამოამჟღავნეს, რომ ზოგიერთ ადგილებში ჩვენი ორგანიზაცია მოწყვეტილია მასებიდან.

ეხლა, გადავიდეთ იმაზე, თუ როგორი მდგომარეობაშია მასიური მუშაობა ჩვენს ორგანიზაციაში. თბილისის კომიტეტმა უკანასკნელ ხანებში ჩაატარა რამდენიმე მსხვილი და საშუალო წარმოების გამოკვლევა (მთ. სახელოსნოები, დეპო, ტრამვაი, „26 კომუნარის" ქარხანა, არსენალი და სხვ.) გამოკვლევის მასალა იძლევა ასეთ სურათს:

საერთო და სადელეგატო კრებები ჩვენს წარმოებებში ხშირად იწყობა, მაგალითად თვის დავასახელებთ მთავარ სახელოსნოს, სადაც 13 თვის განმავლობაში შემდგარა 9 საერთო და 4 სადელეგატო კრება, ამას უნდა დაუმატოთ კიდევ ის, რომ თვითეულ საამქროებში მოწვეული ყოფილა 2—4 საამქრო კრება, ადგილკომების წევრთა საერთო კრება შემდგარა 12-ჯერ და სხვ. ეს ციფრები მოწმობენ, რომ კრებების რიცხვი სახელოსნოებში ზედმეტიც ყოფილა, მაგრამ თუ დავაკვირდებით ამ კრებებზედ გარჩეულ საკითხებს ჩვენ დავინახავთ დიდ ნაკლულოვანებებს.

საერთო კრებებზე დასმულა 6 პოლიტიკური, 1 საბჭოთა ხასიათის და ერთიც პროფესიონალური საკითხი, საწარმოო საკითხი კი ამ კრებების დღის წესრიგში ერთხელაც არ ყოფილა შეტანილი.

ასეთივე მდგომარეობაა სხვა წარმოებებშიაც.

მოყვანილი ცნობებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმოების საკითხთა განხილვას ძალიან მცირე ადგილი ეთმობა, საწარმოო თათბირები არ გამოდიან მუშების საერთო კრებებზე ინფორმაციით თავისი მუშაობის შესახებ, ამას გარდა საერთო კრებები დატვირთული არიან საერთო-პოლიტიკური ხასიათის კამპანიებით.

ცოტა რამ დღის წესრიგის სიდიდის შესახებ. მასიურ კრებებზე უმეტეს ნაწილად ძლიერ ბევრი საკითხი ისმება. ეს გარემოება იწვევს აჩქარებას და ხელს უშლის კრების საკითხების სათანადოთ დამუშავებაში.

მასიური მუშაობის მეორე მნიშვნელოვანი დარგია საწარმოო თათბირები. დავუბრუნდეთ ისევ გამოკვლევის მასალებს, ავიღოთ „26 კომუნარის" ქარხანა. ამ ქარხნის საწარმოო თათბირს წლის განმავლობაში ჰქონია სამი სხდომა, საამქრო თათბირების მოწვევა კი სულ ცოტა ხანია რაც დაიწყეს.

საერთოდ ყველა წარმოებებში საწარმოო თათბირების მუშაობას ახასიათებს ერთი ნაკლი: არ არის შექმნილი საამქრო საწარმოო თათბირები. ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ საამქრო ჩვენთვის ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა მასიური მუშაობის ცენტრად.

საკითხები, რომლებიც ისმება საწარმოო თათბირებზე ვერ აკმაყოფილებს ჩვენი წარმოების და მუშების მოთხოვნილებას, მაგალითად „ტყავტრესტის" ფაბრიკაში საწარმოო თათბირის გაურჩევია ბევრი წვრილმანი საკითხი, ისეთ აქტუალურ საკითხებს კი, როგორიცაა კალკულაცია, შრომის ნაყოფიერების აწევა, ტეხნიკური ცვლილებების შეტანა წარმოებაში,—თათბირი სრულიად არ შეხებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები გაურბიან საწარმოო თათბირებთან თანამშრომლობას. ეს მოვლენა უნდა აღმოიფხვრას და საწარმოო თათბირები სამეურნეო მუშაკებთან ერთად უნდა შეუდგენ თავისი წარმოების ძირითადი საკითხების სისტემატიურ განხილვას.

ამ საქმისათვის აუცილებელია გაფართოვებულ იქნას დროებითი საკონტროლო კომისიების ქსელი, რომლებიც ეხმარებიან მუშებს ციფრობრივი მასალის დამუშავებაში.

გადავდივარ დაწინაურების საკითხზე. მუშების დაწინაურება წარმოებებში კარგადაა დაყენებული, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებათ ყველგან მუშები გვყავს, მაგრამ ეს არ ითქმის სახელმწიფო აპარატში დაწინაურებაზე.

20 პროც. შემცირება, რომელიც იქნა ჩატარებული გასულ წელში ყველაზედ უფრო შეეხო დაწინაურებულ მუშებს. ეხლა 1927 წელთან შედარებით მუშების პროც. სახ აპარატში რამდენიმეთ შემცირებულია.

პარტუჯრედების მასიური მუშაობის ნაკლულოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დღემდე დახურული კრებები სჭარბობენ ღია კრებების რიცხვს, უპარტიოების დასწრების პროცენტი ღია სხდომებზე ძლიერ დაბალია (10—12).

არის შემთხვევა, როცა უჯრედი ცდილობს პროფორგანის მაგივრობის გაწევას, (მაგ. ტრამვაი) და სხვა.

დასასრულ ამხ. სვანიძე ეხება მასიური მუშაობის სისუსტის მიზეზებს და აღნიშნავს, რომ ამ სისუსტის ძირითადი მიზეზია პროფორგანიზაციის ნაწილობრივი მოწყვეტა მუშური მასებიდან.

* * *

პლენუმის მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. სვანიძის მოხსენების გარშემო. ილაპარაკეს ამხ. **ნაკაშიძემ, დავითაშვილმა, თხილავამ, მამულიამ, ტერვართანოვმა, მაჩაძემ, ზედგინიძემ, გ. სტურუამ, ვ. ბოლქვაძემ, ივანოვ - კავკასიელმა** და სხვ.

ამხ. სვანიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლუცია მასიური მუშაობის შესახებ.

სხდომის ანგარიში მოთავსდება ჩვენი გაზეთის ხვალის ნომერში.

პარტმუშაობა ახალწვეულთა შორის

(ქუთაისი)

მეორე ქართ. მსრ. დივიზიის მეხუთე ლეგიონის ცვალებად ახალწვეულთა შეკრება მოხდა ა. წ. 16 მაისს. ლეგიონი უმთავრესად შევსო დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობით.

ახალწვეულთა შეკრების გამო ლეგიონის პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე წამოიჭრა, უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა: უჯრედების მოწყობა ასეულებში. ეს აუცილებელი იყო წითელ არმიელთა მასის პარტიული გავლენის ქვეშ დაყენებისათვის, მაგრამ პარტუჯრედების მოწყობა ასეულების მიხედვით არ მოხერხდა, რადგან 1905 წელმა არ მოგვცა კომუნისტების საკმაო რიცხვი. რაც შეეხება კომკავშირელებს, მათი რიცხვი საგრძნობლად დიდია, და კომკავშირის უჯრედებიც დაარსდა ყველა ასეულებში.

ეს გარემოება აყენებდა პარტ-ორგანიზაციის წინაშე კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხს: შეკრების მეორე დღესვე კომუჯრედები და კომკავშირის ჯგუფები ლეგ-პარტ-ბიუროს გეგმისა და კალენდარული ცხრილის თანახმად შეუდგენ მუშაობას. ლეგიონში შემოღებულ იქნა კრებების, სხდომების და თათბირების მტკიცე რეგლამენტი, რაც ხელს უწყობს წმინდა პარტიული მუშაობის გარდა სხვა საერთო საზოგადოებრივ მუშაობის წარმოებასაც.

მიმდინარე შეკრების პერიოდში პარტორგანიზაციის შინა-პარტიულ მუშაობის ძირითად საკითხებს შეადგენს ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმის, დივ. პარ. კონფერენციის შედეგებისა და საქართველოს მე-9 და საკავშირო ა. ლ. კ. კ. მე-8 ყრილობის საკითხების დამუშავება.

თეთრი შვანელი.

თბილისის კომიტეტში

სუსტი თემკომი

თბილისის კომიტეტის სამდივნომ მოისმინა მანგლისის თემკომის მოხსენება და გამომკვლევი კომისიის თანამოხსენება. სამდივნომ აღნიშნა, რომ თემკომი არ აწარმოებდა მუშაობას ღარიბთა შორის, სუსტად ხელმძღვანელობდა კომკავშირის ორგანიზაციას, არ იდგა სათანადო დონეზე უპარტიო აქტივთან მუშაობა და სხვა.

სამდივნომ მიღებულ დადგენილებაში წინადადება მისცა თემკომს გააძლიეროს მუშაობა ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის, მთავარი ყურადღება მიაქციოს ორგანიზაციის ზრდის სწორ მოწესრიგებას, მიიღოს ზომები საბჭოს სექციების გამოსაცოცხლებლად, ავადმყოფური მოვლენების აღმოფხვრის მიზნით კომკავშირის უჯრედებზე მიამაგროს ავტორიტეტის მქონე კომუნისტები და პერიოდულად მოისმინოს მათი მოხსენებები.

მომთაბარეთა შორის მუშაობა

ალგეთისა და ყარაიაზის მოსახლეობის დიდი ნაწილი მთელ ზაფხულს ატარებს მთებში—საზაფხულო საძოვრებზე.

ამასთან დაკავშირებით თბილისის კომიტეტმა წინადადება მისცა ყარაიაზის თემკომს მოაწყოს პარტიული და კომკავშირის უჯრედები მომთაბარეთა თვითეულ ჯგუფში და უმთავრესი ყურადღება მიაქციოს პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას. ქალთა განყოფილებას დაევალა გაგზავნოს ქალ-ორგანიზატორი მომთაბარე ქალთა შორის სამუშაოდ.

მუშაობა ქალიშვილთა შორის

თბილისის კომიტეტის სამდივნომ მიზანშეწონილად სცნო ქალიშვილთა ორგანიზატ. ინსტიტუტის გაუქმება. „კომკავშირის კომიტეტებმა—ნათქვამია სამდივნოს დადგენილებაში,—დაწვრილებით უნდა შეისწავლონ ქალიშვილთა შორის მუშაობის ცალკე მომენტები (ქალიშვილების მონაწილეობა კოოპერაციაში, საბჭოს და პროფკავშირების მუშაობაში) და მისცენ ადგილებს კონკრეტიული ღონისძიებანი შემჩნეული ნაკლულევანებების აღმოსაფხვრელად.

უპარტიო ქალიშვილთა შორის მუშაობის ძირითად ფორმას უნდა წარმოადგენდეს ქალიშვილთა საერთო კრებებისა და კონფერენციების პერიოდული მოწვევა, დამახასიათებელ ყოფა-ცხოვრებით საკითხების განსახილველად.

ყურადღება უნდა მიექცეს ქალიშვილების პროცენტის გადიდებას კომკავშირში, აგრეთვე მათს წამოყენებას, როგორც ა. ლ. კ. კ. ხელმძღვანელ ორგანოებში, ისე საზოგადოებრივ სამეურნეო და პროფესიონალურ სამუშაოზე".

ავღანისტანის ფადიშაჰის შესახვედრად

სპარსეთის კონსულის გამგზავრება

გუშინ საღამოს ავღანისტანის ფადიშახის შესახვედრათ ბათომში, გაემგზავრა სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში **მირ-ალი-ხან ზახირი**, რომელიც ფადიშახს მიაცილებს სპარსეთის საზღვრებამდე.

მირ-ალი-ხან ზახირის გადმოცემით, ფადიშახთან დაახლოებული პირებისაგან მიღებული ცნობით, ფადიშახი თბილისში გაჩერდება 3 — 4 საათით და მიიღებს ამიერ - კავკასიის და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლებს და უცხო სახელმწიფოთა კონსულებს.

ამხ. პოზდეევისა და გუსეინოვის გამგზავრება

ბათომში სასწრაფო მატარებლით გაემგზავრა ა.-კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პოზდეევი და ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარი ამხ. გუსეინოვი.

* * *

ბათომი, 30 მაისი. 30 მაისს დილით ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულა-ხანის შესახვედრად თბილისიდან მოვიდნენ ავღანისტანის მოსკოველი ელჩი **მირზა მუჰამედ-ხანი** და საელჩოს პირველი მდივანი, აგრეთვე ამ.-კავკასიის და საქართველოს მთავრობის წევრები ამხ. **შავერდოვი, მათიკაშვილი, ჯულელი, კარკლინი** და სხვ.

ამანულა-ხანის მოსვლას ბათომში მოელიან ამ დღეებში. ქალაქი ემზადება ფადიშაჰის საზეიმო შეხვედრისათვის. ფიქრობენ, რომ ფადიშაჰი დაათვალიერებს ბათომის მიდამოებს, შემდეგ კი საგანგებო მატარებლით წავა ბაქოში და იქიდან სპარსეთში. (ადს).

ბაქო-ბათომის ნავთსადენი

თბილისში ჩამოვიდა „აზნეფტსტროის" უფროსი ინჟ. **ბულგაკოვი**, რომელმაც ბაქო-ბათომის ნავთსადენის სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

— ბათომ - სუფსა - რიონის უბნებზე, ამჟამად გაცხარებული მუშაობა სწარმოებს ნავთსადენის მილების დასაგებათ. სულ ამ უბნებზე მუშაობს 1.500 მუშა. მილების დაგება და მათი ერთმანეთთან შეკავშირება სწარმოებს სრულიად ახალი სისტემით.

მიუხედავათ ჩვენი სპეციალისტების შედარებითი გამოუცდელობისა ამ დარგში, მუშაობა მაინც სწრაფი ტემპით და წარმატებით მიმდინარეობს.

მუშაობას შესამჩნევად აფერხებს საზღვარგარეთიდან ფოთში მიღებული მილების გადმოზიდვის დაგვიანება. განსაკუთრებით გაძნელდა მუშაობის სწრაფად ჩატარება აზერბეიჯანის საზღვრებში, თუ მილები წინდაწინვე არ იქნა მიზიდული მომავალ სამუშაოთა ადგილებზე.

ამჟამად ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ჩრდილო - კავკასიის რკ. გზის სამმართველოსთან, რომ მილების ნაწილი გადაზიდულ იქნეს ტუაფსიდან ბალაჯარაში. ბათომიდან ხაშურამდე ნავთსადენის გასაყვანი სამუშაოების დასრულება გადაწყვეტილია შემოდგომისათვის.

ამგვარად შემოდგომაზე სანახევროდ დასრულებული იქნება ბაქო - ბათომის ნავთსადენის გაყვანა.

სამუშაოების უზრუნველსაყოფად საჭირო მუშა-ხელით დადებულია ხელშეკრულება საქართველოს აღმშენებელ მუშათა პროფკავშირთან, რომელიც კისრულობს გამოიყვანოს სამუშაოებისათვის საჭირო რაოდენობის მუშახელი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

დახმარების მაგივრად ხელს გვიშლის

წყნეთის თემი, თბილისის მაზრა

წყნეთის თემი კულტურულად ჩამორჩენილია. ასეთ ჩამორჩენილ თემში ქალთა შორის მუშაობის წარმოება ფრიად საძნელო საქმეს წარმოადგენს. ქალები იმდენად უფრთხიან მამაკაცებთან ერთად შეკრებას, რომ შეუძლებელი ხდება საერთო თავყრილობაში მათი თავის მოყრა და მუშაობის წარმოება. ამიტომ ერთად-ერთი ადგილად მიჩნეულია სკოლა, სადაც შეიძლება ქალთა კრების მოწვევა და საუბრების ჩატარება ქალთა შორის მუშაობაზე.

კვირას, 13 მაისს, საღამოს სკოლის ეზოში მოწვეულ იქნა ქალების კრება და სთხოვეს სკოლის გამგეს კაპიტონ ქორიძეს ერთ-ერთი ოთახის დათმობა. ქორიძემ უარი განუცხადა ქალთა წრის ხელმძღვანელს ოთახის დათმობაზე და მოითხოვა ოფიციალური მიმართვა, რაც შესრულებულ იქნა. მაგრამ რას ვხედავთ? ქორიძემ წააწერა მიმართვას: „უარი ეთქვას". ამის შემდეგ რამოდენიმეჯერ განუმეორეს ქორიძეს თხოვნა ოთახის დათმობის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ერთ-ერთმა მასწავლებელმა მონახა გასაღები და დააპირა ოთახის გაღება, მაგრამ ქორიძემ მკაცრი წინადადებით მიმართა მას, რომ ოთახი არ გაეღო. უკანასკნელად მოიწვიეს აღმასკომის თავმჯდომარე, რომელმაც სთხოვა გამგეს დაეთმო ოთახი კრებისათვის ოფიციალური მიმართვით. როგორც იქნა გაიღო ოთახის კარები; შესდგა კრება 44 ქალის თანდასწრებით და ჩატარდა ექიმის მიერ საუბარი. მაგრამ ისმის საკითხი: ნუ თუ სკოლის გამგე არ იყო მოვალე დაეთმო ოთახი ქალთა წრეში საუბრის ჩასატარებლად. მასწავლებელი ხელს უნდა უწყობდეს სოფლად კულტურულ მუშაობის გაცხოველებას, ხოლო ქორიძე კი წინააღმდეგ მოქმედობს. საჭიროა ასეთ ხელის შემშლელს მოეთხოვოს სათანადო პასუხი.

„კოცხი"

ნაყოფიერი სექციები

(წერილი ლეჩხუმიდან)

საანგარიშო კამპანიამ ჩვენს მაზრაში გამოამჟღავნა საბჭოების მუშაობის მრავალი ნაკლი, ყველგან გლეხობის ულარიბესი და საშუალო ფენა საქმიან კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა საბჭოს მუშაობას და აძლევდა სათანადო დირექტივებს მომავალ მუშაობისათვის; მრავალი უსაქმო და უუნარო ელემენტი იქნა გაძევებული საბჭოს შემადგენლობიდან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველგან მაზრის მასშტაბით გლეხობის კულაკური ნაწილი ხმა გაკმენდილი იყო. მან ვერსად ვერ შესძლო აშკარად გამოეჩინა თავის კონტრ-რევოლიუციონური ბუნება, რაც აუცილებლად მიეწერება ულარიბეს და საშუალო შეძლების გლეხობის დარაზმვას კულაკების წინააღმდეგ.

საანგარიშო კამპანიამ დაგვანახვა, რომ საბჭოების სექციებს ზოგ ადგილას არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ, სამაგიეროდ ზოგიერთი სექციის მუშაობამ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა.

ასე მაგალითად, მექვენის თემსაბჭოს სააღმშენებლო სექციას შედგენილი ჰქონდა როგორც წლიური, ისე კვარტალური გეგმები, აღმშენებლობის ყოველგვარი საკითხები წინასწარ მუშავდებოდა სექციაში და შემდეგ გადაეცემოდათ თემსაბჭოში. სექციას გამოუყენებია თემის ყველა ცოცხალი ძალები: ინტელიგენცია—მასწავლებლობა, სპეციალისტები და გლეხობის აქტივი. საანგარიშო პერიოდში სექციის თაოსნობით აგებულ იქნა სათემო მშენებლობის სახლი, რომელიც დაჯდა 8.770 მან. ამ სახლში მოთავსებულია სამომხმარებლო კოოპერატივი, რაიმილიციის სამმართველო, სასოფლო—სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა და კლუბი; შეკეთებულ იქნა დერჩის 7 წლედის შენობა, რაზედაც დაიხარჯა 1.900 მან. მექვენაში აიგო შრომის სკოლისთვის 1.200 მან. ღირებული შენობა. შეკეთებულ იქნა სასოფლო გზები და ჩატარდა ბევრი სხვა სამუშაოები.

ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ლაშხეთის საბჭოს სააღმშენებლო სექცია და ალპანის—სასოფლო—სამეურნეო სექცია.

ეს სექციები (მექვენის, ლაშხეთის, ალპანის) დასაჯილდოებლად არიან წარდგენილი ცენტრალურ საკონკურსო კომისიაში.

ი. გულბანი.

არა ჯარიმებით, არამედ პროპაგანდა აგიტაციით

ძლიერ სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მშრომელმა გლეხობამ უკვე შეიგნო ცრუმორწმუნეობის მავნებლობა და ამ ნიადაგზე სოფლად დღეს ადგილი აქვს ფართო ამოძრავებას რელიგიის უარყოფის შესახებ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტირელიგიური კამპანიის ჩატარების დროს არის შემთხვევები მმართველი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ საკითხში აღებული ხაზის გადამახინჯების, მისი სწორად შეუთვისებლობის ადგილობრივ მომუშავე ზოგიერთი ორგანიზაციების მიერ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია ჩამოაცილა სახელმწიფოს და სარწმუნოება კერძო საქმედ იქნა აღიარებული. აქედან თავის თავად ცხადია, რომ თვითეული პიროვნება რელიგიის საკითხში თავისუფალია ყოველგვარი ზეგავლენისაგან და მას სრული უფლება აქვს იმოქმედოს ისე, როგორც მისი საკუთარი შეგნება უკარნახებს.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საჭირო არ იყოს კულტგანმანათლებელი ორგანოების მიერ კულტურული ხასიათის ზეგავლენის მოხდენა მშრომელ მასსებზე, მათში პროპაგანდა-აგიტაციის წარმოება რელიგიის და ცრუმორწმუნეობის მავნებლობის შესახებ. პროპაგანდა-აგიტაცია, მასების კულტურული დონის ამაღლება—აი ის საუკეთესო საშუალება, რითაც ჩვენ ადვილად შევსძლებთ ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრას, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია ანტირელიგიური კამპანიის დროს მივმართოთ ადმინისტრატიულ ღონისძიებებს. ადმინისტრატიული ზომებით არა თუ ვერ მივაღწევთ დასახულ მიზანს, პირიქით უფრო მეტ ზიანს მივაყენებთ მას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ თემის, ან სოფლის საზოგადო კრებას გამოაქვს დადგენილება საეკლესიო დღესასწაულის უარყოფის შესახებ. ამ დადგენილებას აკრავენ თემის თვალსაჩინო ადგილებზე და ამასთან ერთად უგზავნიან რედაქციებს პრესაში გამოსაქვეყნებლად. ეს უსათუოდ მიზანშეწონილია, მაგრამ, როდესაც ამავე დადგენილებაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ ვინც არ დაემორჩილება ხსენებულ დადგენილებას და გადაიხდის საეკლესიო დღესასწაულს, ის დაჯარიმებული იქნება 50 მანეთით, ეს კი დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს არის ძალდატანება იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს რელიგიის და ცრუმორწმუნეობის მავნებლობა.

უფრო სამწუხარო ის არის, რომ ასეთ დადგენილებებს ხშირად ხელს აწერს თემაღმასკომის თავმჯდომარეები.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლად მომუშავე ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგებს ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებიათ პარტიის და ხელისუფლების ხაზი რელიგიასთან დამოკიდებულების საკითხში.

საჭიროა ასეთ გადახრებს სასტიკად ვებრძოლოთ. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა, მაგრამ არა ადმინისტრატიული ღონისძიებებით, არამედ მშრომელ მასსებზე აგიტაცია-პროპაგანდით და მათი კულტურული დონის ამაღლებით.

ს. მ.

გლეხკორთა წერილებიდან

ნაყოფიერი მუშაობა

ს. ბოსლევი, სენაკის მაზრა

სოფ. კისხის კოოპერატივის გამგეობის ინიციატივით აქ არსდება კოოპერატიული წრე, რომელიც მიზნად ისახავს შეასწავლოს წრის წევრებს კოოპერატიული მოძრაობა, მისი მნიშვნელობა და სხვ. მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ერთხელ. წრეს უხელმძღვანელებს ამხ. ამბროსი პეტმურიძე.

რე.

ჩვენც უარვყავით

მარან-ქოლობნის თემი, სენ. მაზრა

ხსენებულ თემის მცხოვრებთა საზოგადო კრებამ ერთხმად გამოიტანა დადგენილება საეკლესიო დღესასწაულების — როგორიცაა: „მთავარანგელოზობა", „სულიწმინდის მოფენა", „ფერისცვალება", „მარიამობა" და „გიორგობის" უარყოფის შესახებ. ამიერიდან ჩვენს თემში არავინ არ იდღესასწაულებს ხსენებულ დღეობებს.

მარან-ქოლობნის თემაღმასკომი.

მუშათა ცხოვრება

როგორ გაიგეს თვითკრიტიკა

17 მაისს, პოლიგრაფსკოლის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება ადგილკომის მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ისინი სიამოვნებით აღნიშნავდნენ ადგილკომის მუშაობის მიღწევებს, მაგრამ ამავე დროს მიუთითებდნენ ზოგიერთ ნაკლზეც და მოითხოვდნენ მათ გამოსწორებას. მუშები თავიანთ სიტყვაში ეხებოდნენ ადგილკომთან არსებულ კომისიების მუშაობას და აღნიშნავდნენ მათ სისუსტეს.

როგორ გაიგო მუშების აქტივობა და მათი ნამდვილი საქმიანი კრიტიკა ადგილკომის თავმჯდომარემ და მდივანმა? მათ ეს კრიტიკა „დემაგოგიად" მიიღეს და ცეცხლითა და მახვილით და თვალების ბრიალით დაუწყეს მუქარა კამათში გამოსულ მუშებს. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში. შეიქნა ჩხუბი და აყალ-მაყალი. ბოლოს ადგილკომის თავმჯდომარემ, რომელიც თავმჯდომარეობდა საერთო კრებას, კიდევ მუქარითა და თვალების ბრიალით კრება დახურულად გამოაცხადა.

ასე დამთავრდა პოლიგრაფსკოლის ადგილკომის საანგარიშო კრება. ასე გაუგიათ აღნიშნულ ადგილკომის პასუხისმგებელ ამხანაგებს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ წამოყენებული ლოზუნგი მუშათა ფართო მასების კონტროლისა და თვითკრიტიკის შესახებ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა შეასწავლოს ამ ამხანაგებს თვითკრიტიკის მნიშვნელობა.

პატარა კალამი.

ბაღებში მუშაობის შესახებ

მალე დაიწყება თბილისში ჩვეული სიცხე-პაპანაქება. ქალაქის შეძლებული მოსახლეობა და ყველა ისინი, ვისაც ჯიბეზე ხელი მიუწვდება, ამ თავიდანვე შეუდგებიან კურორტების და დასასვენებელ ადგილების დაკავებას საზაფხულოდ.

მუშა-მოსამსახურეთა მცირედი პროცენტი გაიგზავნებიან დამხვდურ სანატორიებსა და დასასვენებელ სახლებში, მაგრამ მოსახლეობის 90 პროცენტს მაინც ქალაქში მოუწევს ცხელი ზაფხულის თვეების გატარება.

ამიტომ მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დასაცავად საჭიროა ფაბ-ქარხკომებმა ამ თავითვე მიიღონ ზომები მუშა-მოსამსახურეთა ასი პროცენტით ბაღების წევრებად ჩასაწერად.

ბაღი ერთად-ერთი ადგილია მოქანცულ მუშა-მოსამსახურეთა დასასვენებლად.

თითქმის ყველა კავშირებს აქვს თავისი საკუთარი ბაღი, სადაც ზაფხულობით შესვლა ფასიანი არის.

მუშა-მოსამსახურეებს რომ მძიმე ტვირთად არ დააწვეთ ბაღებში სიარულის ფასები და რომ ფასების სიძვირის გამო იძულებული არ შეიქნენ ჩაკეტილ ოთახებში გაატარონ გრილი საღამოები, საჭიროა ადრევე იქნას მიღებული ზომები ყველა კავშირებსა და ადგილკომების მიერ მუშა-მოსამსახურეთა ბაღის წევრად ჩასაწერად. საჭიროა აგრეთვე პროფკავშირის ბაღებში შესავალი ფასები მინიმუმამდე დაიყვანონ.

ამით დიდ დახმარებას გაუწევენ ქალაქში დარჩენილ მუშა-მოსამსახურეებს და მივცემთ საშუალებას თავისუფალი დრო გაატარონ სუფთა ჰაერზე.

ვ. ჩ—ძე.

ხაპაით გადასახადი გავადიდეთ

25 მაისს, ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, მუშკოოპის მუშაობის ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ერისთავი, რომელმაც გააცნო კრებას მუშკოოპის მუშაობა და მისი მნიშვნელობა და მოუწოდა ყველას, რათა ჩაებან მუშკოოპის მუშაობაში, გახდნენ მისი სრულუფლებიანი წევრად და ხელი შეუწყონ მის აღორძინება-გამაგრებას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 16 კაცმა. ორატორები აღნიშნავდნენ მუშკოოპის მუშაობის ზოგიერთ ნაკლს და მოითხოვდნენ მომავალში მის გამოსწორებას.

ამხ. ერისთავმა ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. კრებამ ერთხმად დაადგინა საპაიო გადასახადი გადიდებული იქნეს 5 მანეთით.

ხ. ხიზჯაევი.

ვაგონების ტეხვა დაიწყეს

17 მაისს, სად. ალისტაფიდან მომავალ 22 საბარგო მატარებლის მემუხრუჭეს ამხ. ვანიძეს, მუხრუჭზე შემოუხტა ორი შეიარაღებული კაცი და წინადადება მისცეს ვანიძეს, რომ მატარებელი არ გაეჩერებია, თორემ სიკვდილით ემუქრებოდნენ. ეს იყო ღამის 11 საათზე. ამხ. ვანიძე არ შეუშინდა მათ მუქარას და მატარებელი ნიშან სვეტთან მაინც გააჩერა. ბოროტმოქმედებმა თავიანთი განზრახვა ვერ შეასრულეს. ისინი სწრაფად გადახტნენ მატარებლიდან და მიიმალნენ. სად. ყარაიაზში მისვლისას ვანიძემ შენიშნა, რომ ორი საბარგო ვაგონის კარები ღია იყო. ეს აცნობა სადგურის მორიგეს, რომლის განკარგულებითაც ვაგონებს დაადეს პლომბები, მაგრამ თბილისში აღმოჩნდა, რომ № 969601 ვაგონს აკლდა ერთი ყუთი ფეხსაცმელი და მეორე, № 240186 ვაგონს კი ერთი ტომარა ფქვილი. აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები ყარაიაზსა და ბეჟანთს შორის ძალიან ხშირია. ყარაიაზის და ფოილოს მცხოვრები მუსულმანები ხშირად ახდენენ მომავალ საბარგო მატარებლებზე თავდასხმას; ართმევენ რკ. გზის მოსამსახურეებს, რაც მოეწონებათ და სხ. ამას წინად ერთ მემუხრუჭეს ქურქი კი გააძვრეს ტანიდან.

საჭიროა რკინის გზის გამგეობამ მიიღოს ზომები ქურდ-ბაცაცების ასალაგმავად აღნიშნულ ადგილებში.

წყალტუბელი.

რაღად დაკეტეს?

მიმდინარე წლის 8 მარტს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დიდი ამბით და დიდი ზეიმით გაიხსნა დედათა და ბავშვთა კუთხე. კლუბის გამგეობის განმარტებით მუშა-მოსამსახურეების წვრილშვილიან ცოლებს, რომლებსაც ბავშვების გამო არა აქვთ საშუალება თავი დააღწიონ ოჯახურ კარჩაკეტილობას და ჩაებან რაიმე მუშაობაში, შეეძლოთ მიეყვანათ ბავშვები ამ კუთხეში, და დროებით თავი დაეღწიათ ოჯახურ აუტანელ პირობებისათვის.

კლუბის გამგეობა მოუწოდებდა ქალებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საერთოდ კლუბის საქმიანობაში და კერძოდ კი დედათა და ბავშვთა კუთხის მუშაობაში. მაგრამ რა მოხდა?

მოხდა ის, რომ კუთხის გახსნა კლუბის გამგეობას მხოლოდ ანგარიშისათვის მოუწყვია. ეს სჩანს იქიდან, რომ დღიდან კუთხის გახსნისა, იგი მიკეტილია, რადგან კლუბმა ვერ შესძლო გაეღო თვეში 30 მანეთი და დაექირავებინა ქალთა კუთხის ხელმძღვანელი.

დიასახლისმა ქალებმა რამოდენიმეჯერ მიმართეს კლუბის გამგეობას, რომ დაექირავებიათ ვინმე და გაეხსნათ კუთხე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. დედათა და ბავშვთა კუთხე დღესაც დაკეტილია.

საუბნო კომიტეტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ქალთა ორგანიზაციას და თვეში 30 მანეთს, ქალთა აქტივობა და მათი სხვადასხვა კომისიებში მუშაობა არჩიოს.

ფსორელი.

საწარმოო თათბირი

საქონლის სადგურის მტვირთველ მუშების საწარმოო თათბირმა განიხილა ტვირთის გადატან-გადმოტანის გაუმჯობესების საკითხი, რაზედაც მოკლე მოხსენებით გამოვიდა სადგურის უფროსი ლევანიძე. მან აღნიშნა საწარმოო თათბირების საქმიანობა ზემოხსენებულ დარგში და სთქვა, რომ თათბირის მითითებანი შეძლებისდაგვარად ხორციელდება. ამ დღეებში საქონლის სადგურში დაიდგმება მძიმე ტვირთის გადამზიდველი მანქანა, რომელიც საგრძნობლად გააუმჯობესებს ტვირთის გადატან-გადმოტანის საქმეს. გამოწერილია და ამ დღეებში მივიღებთ ელექტრონის მატორიან 6 ცალ ხელის ურემს. მივიღებთ აგრეთვე ახალ კურტებს და სხ. ყველა საწყობში დადგმულია წყლის ჭურჭლები და დაქირავებულია წყლის გასაცივებლად ყინულის მზიდავი. სადგურის ადმინისტრაცია ყოველ ღონეს ხმარობს საწარმოო თათბირის მითითებების ცხოვრებაში გასატარებლად.

თათბირმა წამოაყენა კიდევ ახალი წინადადებები და წინადადება მიეცა ადმინისტრაციას დაეჩქაროს საწარმოო თათბირის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება.

სადგურელი.

საგლეხო სესხის ტირაჟის წინ

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟის შესახებ ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო განყოფილების გამგემ ამხ. საფარიანმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

საგლეხო სესხის პირველი ტირაჟებით, რომელიც განჯაში დაიწყება 1 ივნისს ხოლო ქუთაისში 14 ივნისს, ჯამი უკეთდება ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო საკრედიტო საქმის პოპულიარიზაციის მიზნით დღემდე ჩატარებულ მუშაობას.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: რეალიზაციის გეგმა შესრულებულია ათი პროცენტის გადამეტებით.

უკანასკნელი სესხის ასეთი გამარჯვება აიხსნება არა მარტო იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ იპოვა სწორი გზა, რომლითაც სახელმწიფო სესხი უნდა გავრცელდეს სოფლად, არამედ იმითაც, რომ სესხის გავრცელებას ხელს უწყობდენ სოფლად მომქმედი აქტივი, ყველა პარტიული, პროფესიონალური, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგრამ, მიუხედავათ მიღწეულ მატერიალურ შედეგებისა, მიუხედავათ იმისა, რომ კამპანია ადგილებზე მეტათ აქტიურად გაიშალა და სესხის ობლიგაციები შეიძინა გლეხობის მრავალმა მილიონებმა, მიღწეული შედეგები არ უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ.

უნდა ითქვას, რომ ადგილებზე ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევქმენით სათანადო მომზადების მქონე მუშაკების კადრი, რომლებიც კარგათ უნდა იქნან გარკვეული ჩვენი სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკის ძირითად საკითხებში, რომლებიც მომავალი კამპანიების დროს შესძლებენ გლეხობისთვის სესხის შესახებ ამომწურავი განმარტების მიცემას.

ამ გლეხობის უმეტესობაც, რომელმაც ხალისით შეიძინა ობლიგაციები, ნათლად არა აქვს წარმოდგენილი საბჭოთა სესხების მიზნები, ამოცანები და ის სარგებლიანობა, რომელსაც სესხი შეიცავს გლეხობისათვის.

ამრიგად, ჯერ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი. გლეხობას უბრალო გზით უნდა აუხსნათ და ჩავაგონოთ, რომ სესხი მარტო სახელმწიფოს საჭიროებით კი არ არის გამოწვეული, არამედ იგი საჭიროა მისთვისაც, როგორც თავისუფალი თანხების შენახვის უფრო სასარგებლო და მიზანშეწონილი ხერხი.

ამ ამოცანას მნიშვნელოვნათ ადვილებს მოგებათა რაიონული ტირაჟები.

გლეხობას უნდა გაუადვილოთ მოგების და ყოველგვარ ცნობების მიღების საქმე. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ გლეხი დარწმუნდეს სესხის დიდ სარგებლიანობაში.

მოგება აგიტაციის ყველაზე უკეთესი საშუალება არის, მით უმეტეს თუ გლეხი ამ მოგებას ადვილათ მიიღებს და მოგებასთან ერთად საშუალება მიეცემა რიგს გარეშე შეიძინოს სას. სამეურნეო მანქანები.

ამ მხრივ ადგილებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური ინიციატივა, ენერგია და ყურადღება.

ტირაჟის მომენტისთვის ყველა გლეხებს უნდა ქონდეს ცნობები ამ ტირაჟების შესახებ, გლეხობას მაქსიმალურათ უნდა გავუადვილოთ მოგების მიღება და სას. სამ. მანქანების რიგს გარეშე შეძენა.

ამ გზით გლეხობა დარწმუნდება, რომ მთავრობის დაპირებები, რომელიც გლეხობას მიეცა სესხის რეალიზაციის დროს, მთლიანათ ხორციელდება. თუ ამას მივაღწევთ, სახელმწიფო სესხების პოპულიარობა ჩვენ გლეხობაში უზრუნველყოფილი იქნება.

ალაზნის არხი

რა არის გაკეთებული დღემდე.—მთავრობის კომისიის დასკვნა

25 მაისს ალაზნის არხის სამუშაოთა დასათვალიერებლად და არხის გაყვანასთან დაკავშირებულ საკითხების ადგილობრივ გამოსარკვევად თბილისიდან გაემგზავრა მთავრობის კომისია ამხ. მამია ორახელაშვილის, ამბარცუმიანის, ბაგიროვის, ვ. გოგიას და პ. მეგრელიშვილის შემადგენლობით:

თბილისში დაბრუნების შემდეგ ამხ. პ. მეგრელიშვილმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

ალაზნის არხის სათავე იწყება მდინარე კიხის ხევის და ალაზნის შესართავთან, გადასჭრის თელავის და სიღნაღის მაზრებს და გრძელდება შირაქის ზეგანამდე. არხის სიგრძე უდრის 97 კილომეტრს და უნდა მორწყოს 44.000 ჰექტარი მიწა. ამ სარწყავი მიწების დიდი უმეტესობა ეკუთვნის ქიზიყის ველს. ამჟამად მოურწყველობის გამო ამ მიწების დიდი უმეტესობა ხათიბებათ და საძოვრებათაა დატოვებული.

აღნიშნული სარწყავი ადგილები იყოფა ორ ნაწილად: ჩრდილო ნაწილი, სადაც გვალვა ხშირია და მოსახლეობას ეკარგება მთელი ნათესობა, და, სამხრეთ ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ხათიბ და საძოვარ ადგილს.

ატმოსფერული ნალექების სიმცირე შეუძლებლად ხდის ხვნა-თესვას ამ კუთხეში.

არხის გაყვანის შემდეგ ამ კუთხის მოსახლეობას საშუალება მიეცემა გააშენოს ბაღ-ბოსტანი და ხაზაფხულო კულტურები: ბამბა, მზესუმზირა, აბუსალათინი და სხ.

ამჟამად ამ მიდამოებში, ისიც ალაზნის ნაპირებზე, ბამბით ითესება 300—400 დესიატინა, ხოლო ამ რაოდენობიდანაც უწყლობის გამო ილუპება 50 პროცენტი. არხის გაყვანის შემდეგ ბამბის სათესათ გამოსადეგი იქნება 7.000 დესიატინა მიწა.

მორწყვის შემდეგ რაიონში საშუალოთ მოვა 850.000 ფუთი ბამბა. ამჟამად კი მოდის მხოლოდ 10.000 ფუთი.

მორწყვის შემდეგ რაიონის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროდუქციის ღირებულება ავა 12.000.000 მანეთამდე, აქამდე კი შეადგენდა 4.000.000 მანეთს.

არხის გაყვანის შემდეგ ზეგანზე შესაძლო იქნება მეტი მოსახლეობის მოწყობა, შირაქის ველის მორწყვა (80.000 დეს.) და კახეთის მარჯვენა მხარის ელექტროფიკაციის განხორციელება.

ბაკურციხეში განზრახულია 6.600 ცხენის ძალიან ჰიდრო-ელსადგურის აგება ამ სადგურის ენერგიის გამოყენება განზრახულია შემდეგ ნაირად: 1500 ცხენის ძალის ენერგია—მოხმარდება მოსახლეობის საჭიროებას თელავიდან კარა-აგაჩამდე, 4.000 ცხენის ძალის ენერგია გამოყენებული იქნება კარა-აგაჩის ზემოთ მდებარე მიწების მექანიკურათ მოსარწყავათ, ხოლო 1.000 ცხენის ძალის ენერგია—მდინარე ალაზნიდან შირაქის ველში სარწყავი წყლის გადასაქაჩავად. შირაქის ველზე განზრახულია 80.000 ჰექტარამდე მიწის მორწყვა.

ამჟამად შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: დაგეგმილია 56.000 ჰექტარი, შედგენილია ალაზნის ველის მორწყვის წინასწარი პროექტი; ჩატარებულია გამოკვლევები; გათხრილია 125.000 კუბიკური საჟენი არხი (სულ გასათხრელია 180.000 კუბ. საჟენი). შესრულებულია 1.000 კუბ. საჟენი ბეტონის სამუშაოები და დამზადებულია საამშენებლო მასალა.

1928 წლის 10 მაისამდე ამ სამუშაოებზე დახარჯულია სულ 2.375.000 მანეთი. მთელი ნაგებობის ღირებულება კი ნავარაუდევია 6.000.000 მანეთად.

კომისიამ დაათვალიერა არხის მთელი მაგისტრალი, სათავის ნაგებობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არხის სამუშაოები უსათუოდ უნდა დამთავრდეს ახლო ხანში. ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს ზომები ამ სამუშაოთა ფინანსებით უზრუნველსაყოფად, რომ უფულობის გამო მუშაობა არ შეფერხდეს.

ეკონომიურ საბჭოში

სამანქანო საქმის მცოდნე სპეციალისტების კადრის მომზადების შესახებ

ეკონომსაბჭოს დადგენილებით, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მანქანათა გამოსაცდელი სადგური შეტანილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სიაში 1928 წ. ოქტომბრის 1-დან.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს დაევალა სამანქანო საქმის მცოდნე სპეციალისტების მოსამზადებლად მოაწყოს სატრაქტორო კურსები.

ამასთანავე წინადადება მიეცა შრომის სახ. კომისარიატს კურსების შესანახად საჭირო სახსარი გაიღოს უმუშევართა გადასამზადებელი ფონდიდან.

ფინანსების მიწოდება ადგილობრივ მრეწველობისათვის

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისათვის ფინანსების მიმწოდებელი კომისიის დადგენილებანი შემდეგი საკითხების შესახებ:

ა) თელავისა და ახალქალაქის სამაზრო აღმასკომებისათვის ხე-ტყის ჩამოსაცურებლად პირველისათვის 15000 მან. და მეორისათვის—10000 მან. მიზნობრივი სესხის მიცემის შესახებ.

ბ) სამტრედიის აღმასკომის აგურის ქარხნისათვის ნედლეულის დასამზადებლად 10.000 მან. მიზნობრივი სესხის მიცემის შესახებ და

გ) სიღნაღის სამაზრო აღმასკომის თამბაქოს ფაბრიკისათვის („ალზონის") თამბაქოს დასამზადებლად 25.000 მან. მიზნობრივი სესხის მიცემის შესახებ.

კოოპერაციისათვის გადადებული კრედიტის განაწილება

საქართველოს კოოპერაციისათვის კრედიტის მისაწოდებლად 1927—28 წ. ბიუჯეტით გაღებული 227.735 მან. ეკონომსაბჭოს მიერ შემდეგნაირად იქნა განაწილებული: სამხრეთ ოსეთის სას.-სამ. კოოპერაციას—50.000 მან., თბილისის პურის ქარხნის აღმშენებლობისათვის—50.000 მან., საქართველოს კოოპერაციას—112.735 მან., აფხაზეთის კოოპერაციას—10000 მან., აჭარისტანის კოოპერაციას—5.000 მან.

საქართველოს კოოპერაციისათვის გამოყოფილი 112.735 მან. განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: „სოფლის კავშირს"—52.735 მ., სარეწაო კოოპერაციის კავშირს—40.000 მან. და საბინაო კოოპერაციის კავშირს—20.000 მან.

ვაშლის დამზადება სამხრეთ ოსეთში

ეკონომსაბჭომ დაადგინა 1928 წ. მოსავლის ვაშლის დამზადება სამხრეთ-ოსეთში დაეკისროს სამხრეთ-ოსეთის კოოპერატიულ კავშირს, გარდა ახალგორის რაიონისა, სადაც დამზადებას აწარმოებს სააქციო საზ.-ბა „საქართველოს ვაჭრობა" (სამხრეთ-ოსეთის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით).

ფურაჟის შემოზიდვის გეგმის დამტკიცება

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ფურაჟის შემოზიდვის 1928—29 წ. გეგმ. გეგმის მიხედვით შემოსაზიდ თივის რაოდენობა განსაზღვრულია 400.000 ფუთით.

გადასახადთა ნარჩენების ლიკვიდა. ციის კამპანია

ეკონომიურმა საბჭომ დააკმაყოფილა ფინანსთა სახ. კომისარიატის შუამდგომლობა გადასახადთა ნარჩენების ლიკვიდაციის კამპანიის გაგრძელების შესახებ 1928 წ. ივლისის 1-მდე.

საკურორტო აღმშენებლობისათვის გაღებული თანხის განაწილება

1927—28 წ. ბიუჯეტით საკურორტო აღმშენებლობისათვის გაღებული 497.170 მანეთი ეკონომსაბჭოს მიერ განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: საქართველოს საკურორტო სამმართველოს—377.170 მან., აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს—80.000 მან. და აჭარისტანის საკურორტო სამმართველოს—40.000 მან.

1928-29 წლის საკონტროლო ციფრები

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს არა უგვიანეს 1928 წლის ივლისის 25-სა საქართველოს სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრები. საკონტროლო ციფრების მოცულობა, პროგრამა და შედგენის წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს საბჭოთა კავშირის და ა. კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიების მოთხოვნებთან.

წინადადება მიეცა საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას შეადგინოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საკონტროლო ციფრები იმ პროგრამით და იმ ვადაზე, რასაც საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია შეიმუშავებს.

რომ მუშაობის წარმატებით განხორციელებისათვის უფლება მიეცა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას მოიწვიოს სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების საკონტროლო ციფრების შედგენაში მონაწილეობის მისაღებად ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებათა პასუხისმგებელი წარმომადგენელნი და აგრეთვე მოსთხოვოს აღნიშნულ დაწესებულებათ, მის მიერვე დადგენილი ფორმით და ვადაზე, საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭირო სტატისტიკური ცნობები და ყოველგვარი სხვა მასალა.

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალა წარუდგინოს ხოლმე ყოველთვიურად საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მოხსენება საკონტროლო ციფრების შედგენისათვის წარმოებული მუშაობის მდგომარეობისა და ამ მუშაობის წარმატებით მსვლელო-

საკონტროლო ციფრების შესადგენად საჭ-ბის შემაფერხებელ დაბრკოლებათა შესახებ.

1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა დასკვნა ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. 1927—28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. კოლეგიამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას 1927—28 წლის პირველ ნახევარში ახასიათებს საშემოსავლო ნაწილის პროცენტის გადიდება; მაგრამ ამასთან ერთად ადგილი აქვს საბალანსო წონასწორობის დარღვევას ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილს შორის, და საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევას რესპუბლიკების ფინსახკომების მხრივ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალურად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებლად სცნო შემდეგ ღონისძიებათა გატარება ცხოვრებაში: 1) წინადადება მიეცეს აზერბეიჯანის და სომხეთის ფინსახკომებს, რომ დაშვებულ არ იქნას საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევა; 2) წინადადება მიეცეს ფინსახკომს მესამე კვარტალის განმავლობაში აღადგინოს სომხეთის და აზერბეიჯანის ფინსახკომების მიერ გაწეული უკრედიტო ხარჯები; 3) წინადადება მიეცეს ამ.-კავკ. ფინსახკომს ა.-წ. 1 ივნისამდე წარმოადგინოს ანგარიში ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ.

ამასთან ერთად კოლეგიამ რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციების სახალხო კომისარიატებს დაავალა თვალყური ადევნონ საბჭოთა კავშირის და ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ორგანოების იმ დადგენილებათა და დირექტივების განხორციელებას, რომლებიც შეეხება 1927—28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას.

როგორ სრულდება

მთავრობის უმაღლეს ორგანოების დავალებები

(ა.-კ. მუშათა და გლ. ინსპ. მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაატარა იმის გამოკვლევა, თუ რა მიზეზების გამო აგვიანებენ სახალხო კომისარიატები მთავრობის უმაღლესი ორგანოების დავალებების შესრულებას. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ ამ გამოკვლევის შედეგად აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის სახალხო კომისარიატები და სხვა ორგანიზაციები აგვიანებენ ამიერ-კავკასიის მთავრობის დავალებათა შესრულებას, რაც წარმოადგენს იმის შედეგს, რომ დაწესებულებებში სათანადო მეთვალყურეობა არ არის დაწესებული დავალებათა შესრულებაზე და რესპუბლიკანური ორგანოები თავის დროზე არ აძლევენ მათგან მოთხოვნილ ცნობებს. საკითხის მოსაგვარებლად მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ საჭიროდ სცნო წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისარიატებს და სხვა ორგანიზაციებს—ა) ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დავალებათა შესასრულებლად გამოყოფილ იქნას განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დავალების გატარებისა და შესრულებისათვის; ბ) თვითეული დავალების შესახებ საქმეთა მმართველობას ეცნობოს ის ვადა, რომელიც საჭიროა მისი შესრულებისათვის და გ) საქმეთა მმართველობას ყველა შეკითხვებზე და გახსენებაზე დაუყოვნებლივ მიეცეს ამომწურავი პასუხი.

მიიღო რა ამასთანავე მხედველობაში, რომ ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს ბევრი დავალების შესრულება ამიერ-კავკასიის ორგანოების მიერ უშუალოდ არის დამოკიდებული დავალებათა შესრულებაზე რესპუბლიკების მხრივ, კოლეგიამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ მუშ. და გლ. ინსპექციებს მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რომ რესპუბლიკანურმა ორგანოებმა თავის დროზე შეასრულონ მათთვის მიცემული დავალებები. ამისათვის რესპუბლიკანურმა მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა უნდა შეიმუშაონ სათანადო ცირკულიარი და ინსტრუქცია დაწესებულებების მიერ მთავრობის უმაღლესი ორგანოების დავალებათა შესრულებისათვის კონტროლის გაწევისა და აღრიცხვის შესახებ (ადს).

თავდაცვის კვირეული

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, „თავდაცვის კვირეული"-ს ჩატარების შესახებ.

კვირეული მთელ საბჭოთა კავშირში ჩატარებულ იქნება 15-დან 22 ივნისამდე.

პრეზიდიუმის წერილში ნათქვამია, რომ საზოგადოების ყველა ორგანიზაციებმა და უჯრედებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები კვირეულის სათანადოთ ჩატარებისათვის.

კვირეულის მთავარი მიზანია: თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სააგიტაციო, საორგანიზაციო და აღმზრდელობითი მუშაობის განმტკიცება.

კვირეული ისახავს შემდეგ ამოცანებს: წითელი არმიისადმი ყურადღების გაძლიერება, მშრომელთა ფართო მასსების ჩაბმას თავდაცვა-ავიაქიმის პრაქტიკულ მუშაობაში, თავდაცვა-ავიაქიმის, სამხედრო მოღვაწეობის უზრუნველყოფას, თავდაცვა-ავიაქიმის მასიური მუშაობის ფონდის შექმნას და სხვა.

კვირეულის განმავლობაში იწარმოებს თანხების შეგროვება თავდაცვის ფონდისათვის, რისთვისაც გამოყენებულ იქნება გამოძახება პრესაში, ნიშნების გაყიდვა და სხვა.

კვირეულის დროს მოეწყობა მასიური დემონსტრაციები, აღლუმები, სეირნობა, საზოგადო გასართობები, (თეატრი, კინო) გამოყენებულ იქნება თავდაცვის საკითხების და წითელი არმიის ამოცანების პროპაგანდისათვის; მოეწყობა სამხედრო კუთხეები, ტირი; ჩატარებულ იქნება გასვლა ველად, ომის ინსცენირობა, სამხედრო ნაწილების, მუზეუმების, ჰაეროდრომების და ბანაკების დათვალიერება.

კვირეულის დროს მოხდება ავიაქიმ რაზმების დათვალიერება; კვირეული გამოყენებულ იქნება წითელი არმიის, ავიაქიმის და წითელი ჯვრის მიღწევების დემონსტრაციისათვის.

ხარჯების შემცირება ცეკავშირში

ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ დაასრულა მასალების დამუშავება მიმდინარე საანგარიშო წლის 1-ლ ნახევარში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების შედეგების შესახებ.

მთავრობის უზენაესი ორგანოების დირექტივებით, ცეკავშირის 1927—28 საანგარიშო წლის განმავლობაში უნდა შემცირებულიყო ადმინისტრატიული და სამეურნეო ხარჯები 12 პროცენტით.

დამუშავებული მასალებიდან ირკვევა, რომ გასულ წელს ცეკავშირის საერთო-სავაჭრო ბრუნვა გაზრდილა 200 პროცენტით, ხოლო გასავალი შემცირებულა 50 პროცენტით. ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების დაკლების დონე უდრის 2,6 პროც.

1-ლი მაისისათვის შეგროვილი ცნობებიდან ირკვევა, რომ ცეკავშირის საერთო სავაჭრო ბრუნვა გაზრდილა 42,5 პროცენტით, მაშინ, როდესაც წინასწარი გეგმით ვაჭრობის ზრდა ნავარაუდევი იყო მხოლოდ 25 პროცენტით, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება კი უდრის 5.5 პროცენტს, რაც გამოიხატება 9.799 მანეთში.

ამგვარად, თუ სავაჭრო ბრუნვის ზრდის ტენდენცია არ შეფერხდა, ცეკავშირი შესძლებს უმტკივნეულოდ გაატაროს ცხოვრებაში ადმინისტრატიულ სამეურნეო და სამმართველო ხარჯების შემცირება სრული 12 პროცენტით.

სას.-სამ. ბანკის ძირითადი კაპიტალის გაძლიერება

საკავშირო სახკომსაბჭოს ა.-წ. თებერვლის 2-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს მაზრების 1928—29 წ. ადგილობრივ ბიუჯეტში სას.-სამ. ბანკის ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად შეტანილი იქნება 200.000 მან. ხსენებული თანხა ეკონომიურ საბჭომ თავის ა.-წ. 28 მაისის სხდომაზე შემდეგნაირად განაწილა: ახალქალაქის მაზრას—4000 მან., ახალციხის მაზრას—10.000 მან., ბორჩალოს მაზრას—10.000 მან., გორის მაზრას—20000 მან., დუშეთის მაზრას—2000 მან., სიღნაღის მაზრას—35.000 მან., თელავის მაზრას—30000 მან., ქუთაისის მაზრას—15000 მან., შორაპნის მაზრას—10000 მან., რაჭის მაზრას—1000 მან., ლეჩხუმის მაზრას—1000 მან., ზუგდიდის მაზრას—10.000 მან., სენაკის მაზრას—10000 მან., ოზურგეთის მაზრას—5000 მან., თბილისის მაზრას—35000 მან., სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქს—2000 მან.

აფხაზეთისა და აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოებს დაევალა მოახდინონ განკარგულება, რათა აფხაზეთისა და აჭარისტანის მაზრების ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი იქნეს სათანადო სახსარი იმავე მიზნით.

გეოლოგიური სამუშაოები

გურიის ნავთიანი ადგილების რაიონში

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების ცნობით, გურიის ნავთიანი ადგილების რაიონში უკვე განახლდა გეოლოგიური საგამოკვლევო სამუშაოები, რომელიც შეწყვეტილი იყო შარშან ზაფხულის მიწურულში შემოდგომისა და ცუდი ამინდების მოახლოების გამო.

სამუშაოების საწარმოებლათ ლენინგრადიდან ჩამოვიდა გეოლოგიური კომიტეტის ექსპედიცია გეოლოგ ილინის ხელმძღვანელობით. გასული წლების განმავლობაში გეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა იგივე გეოლოგი ილინი, რომელმაც გასული წლის ზაფხულის განმავლობაში ჩაატარა ს. ომფარეთის და სუფსის ზოგიერთი უბნების გეოლოგიური შესწავლა.

წელს ექსპედიციების მუშაობის მიზანია დაწვრილებით გამოარკვიონ და შეისწავლონ ნავთიან ადგილების ტექტონიკა, ნიადაგის ფენათა წყობის ხასიათი და დაახლოებით გამოარკვიონ ის სიღრმე, საიდანაც იწყება ნავთის წყაროთა სათავეები. გარდა ამისა, ექსპედიცია შეუდგება მუშაობას ნავთიანი რაიონის ტოპოგრაფიულ-გეოლოგიური რუქის შესადგენათ.

ექსპედიცია თავის მუშაობას დაასრულებს ზაფხულის ბოლოს.

ექსპედიციის მიერ შეგროვილი მასალების დამუშავების შემდეგ გამომუშავებული იქნება პროექტი ახალი საცდელი, ჭა-ბურღილების გასაყვანად. იმის და მიუხედავად, თუ როგორი იქნება ექსპედიციის მუშაობის შედეგები, ომფარეთის პირველ საცდელ ჭაბურღილზე მუშაობა მაინც გაგრძელებული იქნება და ზაფხულზე დაიწყება საცდელი მუშაობა ჭაბურღილის არსებული სიღრმიდან ნავთის ამოსაღებად.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს!

დახმარება ქუთაისს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა: ამხ. ნ. მეგრელიშვილისაგან—10 მან., შ. ხალუქვაძისაგან—2 მან., არჩილ გურგენიძისაგან—3 მან., თბილისის მე-8-ე შრომის სკოლასთან არსებულ მშობელთა დამხმარე კომიტეტისაგან—30 მან.

ქუთაისში ხანძრისაგან აწიოკებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ელგუჯა და ცოტნე ფანცულაიებს, რუსუდან ჯავახიშვილს, ოთარ და თინიკო გამცემლიძეებს, მიტუშა ასათიანს, ოთარ ზაალიშვილს, ზურიკო კარგარეთელს, სპარტაკ და მირცა თაქთაქიშვილებს, ნენე და ვალოდია კიკნაძეებს, კუმუნია ქეონიას, უხახილო გთორგიბიძე სტურუას.

სპარტაკ ჯაჯელავა.

ლეილა ცერცვაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ, და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნუნუ ცაგარელს, რეზო მინდაძეს, ზუზიკო ბალამვილს, ილუშა თუხარელს ოთარ ნადარეიშვილს და ოთიკო დავითულიანს.

რეზიკო ფრუიძე.

ციხია კახიანის გამოწვევით ცეცხლისაგან დაზარალებულ ქუთაისის სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ. ამხ. ნელი და ლეილა ჩიქოვანებს მუშნი და ბუტუნა ნანეიშვილებს, ოთარ ანჯაფარიძეს, პაპუნა შენგელაიას, ვახტანგ ხუბულავას, თენგიზ გორდელაძეს, ჯიმშერ ქავჯაიას.

იათამზე ნანეიშვილი.

ს. კ. პ. (ბ) სენაკის სამკომის თანამშრომლებს ქუთაისის აღსადგენ ფონდის გასადიდებლად შემოაქვთ ერთი დღის ხელფასი—42 მან. 55 კაპ.

ჩაკვეტაძე ვანია—4—90 კ., ჯანჯღავა კაპიტონ—4—90 კ., ცაავა კოწია—4—80 კ., ბეჟვაია იასონი—3—15 კ., ჩიჩუა ოლია—4—20 კ., ცაავა კოსტა —3—15 კ., ბარამია მიხეილ—3—15 კ., ხახუბია აპოლონ—1—80 კ., თოსავა შურა—1—30 კ., ჩიქობავა შალვა—1—30 კ., ნინუა ფარნა—3—60 კ., დამენია ლიუბა—1—60 კ., ფ. ფიჩხაიშვილი—1—60 კ., შენგელია მარიკ—1—60 კ., გაბელია პაშა—1—60 კ., დგებუაძე გიორგი —90 კ.

პროფრწმუნებული: შურა იოსავა.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ლია მიქელაძეს, მერაბი მიქელაძეს, და თინიკო და ტარიელ მდივანიშვილებს.

ვალერიან მიქელაძე.

შემომაქვს ათი მანეთი ინჟინერ ჰიჭინაძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ინჟ. ქ. ძნელაძე.

ამხ. თინიკო დევიძის გამოწვევით ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულ ბავშვების სასარგებლოდ შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ ჩემს ტოლ-ამხანაგებს: ქიათურიდან—დუხუნა დვალაძეს, ლამარა ბაქრაძეს, ლეილა ჯაფარიძეს, სამტრედიიდან:—ია ნაცრიშვილს, ნუცა და კოკილო ბალანჩივაძეებს და პეტია სოხოკიას.

დოდოშკა ბალანჩივაძე.

ქ. ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოგვაქვს 18 მან. და ვიწვევთ ასურეთის, კოჯორის, დიღომის და აწყალის თემის მასწავლებლობას.

თელეთის თემის მასწავლებლობა.

თანახმად საქართველოს ტექნიკური საზოგადოების გამგეობის გამოწვევისა, შემომაქვს 10 მანეთი ქ. ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ინჟ. პავლე საყვარელიძე.

შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 50 კაპ. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი ელენტს, ანიკო ქარქაშაძეს და მიხეილ ქუმუშვილს.

ალექსი ნონიკაშვილი.

ჯუჯური ფადაჭკორიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ვალია მელიავას, ზურაბ ხარბილაძეს და გოგი როინიშვილს.

კიკა ხინთიბიძე.

გოგი კილურაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: რუსუდანა ასათიანს, გაიოზ კალანდაძეს, გური კიკნაძეს, ვახტანგ მუსხელიშვილს, გურამ ახმეტელს, კიზირა და კუსიკა ორჯონიკიძეებს, ნათელა და თემურიკო ჩოჩუას, და თამარა გოგუაძეს.

რეზიკო ასათიანი.

ვახუშტი ხომერიკის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლოლიკო ერემაძეს, თემურ კვერნაძეს, ნუნუკო ასათიანს, კოტიკო კვერნაძეს, კოტიკო ლოლობერიძეს, თინა მეძმარიაშვილს, ეენია არომიძეს და დავით კვერნაძეს.

ხუტუ კვერნაძე.

ოთარ გიგინეიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

მოწ. რობერტი სტურუა.

ამხ. პოლია ხეცურიანის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ბესო კობალიანს, ალიოშა ალიხაშვილს, ვახტანგ რაფავას, კატუშა გაბიჩვაძეს, თამარ ქავთარაძეს, თამარა ვარდანიძეს, ოულია ლეკიშვილს, შაკო შარაშიძეს, გრიგოლ ალავიძეს და დათიკო ღოღელიანს.

ელენე ალავიძე.

ამხ. კუკური გიორგაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის დაზარალებულთა დასახმარებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლეონიდ ქავთარაძეს, კარლო და მარლენ ნიკოლაიშვილებს, ვახტანგი და დათიკო კიკალიშვილებს, ირაკლი ხანაძეს, ჟორჟიკა სტეფანიანცს, ავთანდილ აფრიდონიძეს, ტარიელ კახაძეს, ხულიკო კალოიანს.

სოსო ქემურია.

ნანული პირაქაძის გამოწვევით ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ბავშვებს. კლარა ცუცქირიძეს, ლევი ცუცქირიძეს, ნოდარ გაჩეჩილაძეს, ჩიორა მაღლაკელიძეს, კიმ კიკვაძეს, ლამარა გაჩეჩილაძეს, ეთერა ივანოვს და გიგი მახათაძეს.

ბიბი ახობაძე.

საქ. სახელგამის სამმართველოს თანამშ. გამოწვევით, შემომაქვს თითო დღის ხელფასი ხუთი მანეთი ქ. ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად და ვიწვევთ ქ. სენაკის „ეპო"-ს წიგნის მაღაზიის თანამშრომელთ.

სახელგამის სენაკის განყოფილების თანამშრომლები.

შემომაქვს ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კუკური მასვილაძეს, ოთარ ნოზაძეს, ოთარ მაჭავარიანს, მამია ჩხეიძეს, ნონა აბდუშელიშვილს, მარო და თინა გაჩეჩილაძეებს, სიო ბარქაიას, ზენონი ახრახაძეს, თამარა კაკულიას და მაგუნა ცქიტიშვილს.

კოლია ინოზემცოვი.

შორაპნის უბნის განათლების მუშაკთა საერთო კრებას ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა დასახმარებლად შემოაქვს 80 მანეთი და იწვევს შემდეგ ადგილკომებს: ზესტაფონის, ჩხაარის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩხერის, ძირულის, ხარაგოულის და მოლითის.

შორაპნის უბნ. განათ. მუშ. ადგკომის თავმჯდომარე: ვლად. თუთბერიძე.

მე-8 მთლიან შრომის სკოლის მოწაფეებს შემოაქვთ 70 მან. ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად და ვიწვევთ შემდეგ სკოლებს: 1 საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლას, 8 საცდელ საჩვენებელ შრომის სკოლას, მე-14 შრომის სკოლას და ინდუსტრიალურ ტექნიკუმს.

სკოლის მოწაფეთა თვითმართველობა.

ბაღდათის 7 წლედის მოსწავლეებს შემოგვაქვს 16 მანეთი 83 კაპიკი ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ და ვიწვევთ, ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმის, ტყიბულის, ქუთაისის, 1—2—3—4 შვიდწლედებს, წითელი ხევის, თბილის, წყალტუბოს, საწირის და ხრესილის შვიდწლედებს.

ბაღდათის მოსწავლეთა სასკოლო საბჭო.

შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ სამტრედიის ძაფსალებ ქარხნის თანამშრომლებს: ამხ. ა. ნუცუბიძეს, ე. სიხარულიძეს, პ. გაბუნიას, ა. გელეიშვილს, გ. არველაძეს, პ. სულთანოვს, ბ. ალავერდოვს, ს. ტორონჯაძეს, ა. კოკაჩეიშვილს.

ნ. არეშიძე.

თანახმად ნინელა ცაგარელის გამოწვევისა შემომაქვს ქუთაისელების დასახმარებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ პატარა ამხანაგებს: მედეა მჭედლიშვილს, ეთერა თოდრიას, ნათელა შუბლაძეს, ლილი ირემაშვილს, მერი გოდერძიშვილს, თინა გრიგოლიას, ხონია ეგანოვს და ნოდარი კუბუხიძეს.

ერმა გუნია.

დათუნა ყიფიანის გამოწვევით ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემოგვაქვს სამ-სამი მან. და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: გულიკო და მარო გველესიანებს, ბიბი იოსელიანს, ნოდარი მდივანს, კუკური იოსელიანს, ნაზიკო პაპავას, ჭაბუკი იოსელიანს, სონია და ლიალია ამირაგოვებს.

გუჩუტო და რეზიკო იოსელიანები.

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 20 მანეთი.

ქ. ფოთის 9-წლიან შრომის სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ს. მუსერიძე.

თენგიზ ლოლობერიძის გამოწვევით შემოგვაქვს თითო მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევთ ყველა ჩვენს ამხანაგებს.

მერაბ და ბოგი გეგეჭკორები.

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თამარ თეთრაძეს, ქეთო მამნიაშვილს, მერი ჯაფარიძეს, ცაური ფარნიევს, კოკა თუხარელს, ჯუანშერ შუაქრიშვილს, კოწო ლებანიძეს, უშანგი თაყაიშვილს და ნიკოლოზ ავნატამოვს.

მოწაფე ეთერი ავნატამოვი.

ბუჭუნა ელიავას გამოძახებით ქუთაისის ცეცხლისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დოდოკ ბაქრაძეს, ბაბულია მჭედლიშვილს, ნინო თელიას, კატუშა და დარეჯან შენგელიებს, ვახტანგი და კვახიათელებს და კუკუა ბაბუნაშვილს.

კიკია გრიშას ძე თელია.

გუშინ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 255—88, სულ წინათ შემოსულთან ერთად 13.809—85.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

43.000 მან; ყოფილ წითელ პარტიზანთა და წითელ-გვარდიელთა დასახმარებლად

ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ყოფილ წითელ პარტიზანთა და წითელ გვარდიელთათვის დახმარების აღმოსაჩენად გადადებულია 43.000 მანეთი.

ამ თანხის მიზანშეწონილად განაწილების მიზნით ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაავალა კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წინადადება მისცეს წითელდროშოვან არმიის ტერიტორიალურ სამმართველოებს შეაგროვონ ცნობები ყოფილ წითელ პარტიზანთა და წითელ გვარდიელთა შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ მენშევიკურ, დაშნაკურ და მუსავატელების მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცა კავკასიის წითელდროშოვან არმიის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოსთან და ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატთან ერთად შეიმუშაოს ინსტრუქციები ნამდვილ ყოფილ წითელ პარტიზანების და წითელ გვარდიელების გამოსარკვევად.

საბჭოთა მეურნეობების აღწერა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს ამიერ-კავკ. სტატსამმართველოსთან შეთანხმებით დაავალონ რესპუბლიკანურ სტატსამმართველოებს, რათა უკანასკნელი შეუდგენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საბჭოთა მეურნეობების აღრიცხვას.

ახალი ქარხნები

აგურ-კრამიტის ქარხანა

საქართველოში აღმშენებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილია საამშენებლო მასალის დამამზადებელ ახალი ქარხნების აგება. მიმდინარე წელს დაიწყება რამდენიმე ასეთი ქარხნის აგება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში. უკვე დაწყებულია აგურ-კრამიტის ქარხნების აგება ახალ-სენაკის მაზრაში და ზესტაფონში. პირველი ქარხანა წლიურად დაამზადებს 3.000.000 ცალ აგურს და 2.000.000 კრამიტს, მეორე ქარხანა კი (ზესტაფონის) წლიურად დაამზადებს 2 მილიონ ცალ აგურს.

ახალ-სენაკის მაზრაში აგურ-კრამიტის ქარხნის აგება დაჯდება 350.000 მანეთი, ზესტაფონის ქარხნის ასაგებათ გადადებულია—250.000 მ.; ორივე ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობის დამზადება შეკვეთილი აქვს უკრაინის ლითონ-ტრესტს. ქარხნები ამუშავებული იქნება მიმდინარე წლის ბოლო რიცხვებში. ქარხნების ასაგები ხარჯები გაღებულია საკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტით.

ხილის სახმობი ქარხანა

გორისა და ახალციხის რაიონებში მეხილეობის გაუმჯობესების მიზნით გასულ წელს დაიწყო ხილის სახმობი 3 ქარხნის აგება. ორი ქარხანა შენდება გორის მაზრაში—სოფ. მეჯვრისხევსა და შინდისში, ხოლო ერთი ახალციხეში. თვითეული ქარხანა წლიურად გადაამუშავებს 100.000 ფ. ხილს.

ქარხნისათვის საჭირო მანქანები შეძენილია გერმანიაში. თვითეულ ქარხნის მოსაწყობათ გადადებულია 140.000 მანეთი. მათი ამუშავება განზრახულია შემოდგომისათვის.

ყველისა და ერბოს სახდელი ქარხნები

ამჟამად საქართველოში სწარმოებს ყველისა და ერბოს სახდელი 2 ქარხნის აგება. ერთი მათგანის მოწყობა დაწყებულია გასულ წელს ახალ-ქალაქის მაზრაში სოფ. ბეჟანოსთან, მეორე ქარხნის აგება დაიწყო წელს ყაზბეგის რაიონში—სოფ. სიონში. თვითეული ქარხანა წლიურათ გადაამუშავებს 50.000 ფ. რძეს. ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობა გამოწერილია საზღვარგარეთიდან. მანქანები უკვე მიღებულია ადგილობრივ. ქარხნები ამუშავებული იქნება ამ წლის ბოლო რიცხვებში.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

მესამე სხდომა

საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის საბჭოს პლენუმის მესამე სხდომამ, რომელიც შესდგა გუშინ დილით, მთლიანად მოუნდა სექციების მუშაობას.

მუშაობდენ შემდეგი სექციები: საფინანსო, მასიური მუშაობის, სასროლეთო და სამხედრო-ქიმიური თავდაცვის.

სექციებმა დაამუშავეს რეზოლიუციები, წარდგენილი თავდაცვა - ავიაქიმის პრეზიდიუმის მიერ.

მეოთხე სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პრეზიდიუმის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ბვირიტაძემ (გორის მაზრა), რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება ადგილობრივ ორგანიზაციების მიმართ. მაზრაში შემჩნეულია სექციების მუშაობის სისუსტე. ამის გამოსასწორებლად საჭიროა ცენტრიდან იგზავნებოდეს სათანადო მითითებები.

ამხ. ბვირიტაძის სიტყვის შემდეგ დარბაზში შემოვიდა აღმასკომის თავდაცვა - ავიაქიმის უჯრედის ქიმიური რაზმი და წითელი ჯვრის საზოგადოების პირველი დახმარების რაზმი.

პლენუმი მათ შემოსვლას ტაშით შეხვდა. მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს".

აღმასკომის თავდაცვა - ავიაქიმის უჯრედის სახელით პლენუმს მიესალმა ამავე უჯრედის პოლიტ - ხელმძღვანელი ამხ. თოფურია, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ქიმიური რაზმების დიდი მნიშვნელობა გასამხედროების საქმეში.

შემდეგ პლენუმს მიესალმა ამავე რაზმის მეთაური ამხ. ხაინდრავა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს რაზმი დიდი ხანი არ არის, რაც შესდგა, მაგრამ იგი ჩქარა გაიზრდება და გააძლიერებს თავის მუშაობას.

წითელი ჯვრის რაზმის სახელით პლენუმს ესალმება რაზმელი ზინოვიევის ქალი.

შემდეგ აღმასკომის ქიმიური რაზმიდან პლენუმს ესალმება კახელაძის ქალი.

საპასუხო მისალმებით გამოვიდა პლენუმის პრეზიდიუმის წევრი ამხ. საკიანი, რომელმაც უსურვა რაზმელებს მუშაობის კიდევ უფრო გაფართოება, რომ მომავალ პლენუმისათვის საქართველოში გაზრდილიყონ ასეთი რაზმების რაცხვი.

მისალმებათა დასრულების შემდეგ პლენუმის მთელი შემადგენლობა გავიდა ბაღში, სადაც ნაჩვენები იქნა ქიმიური და პირველ დახმარების რაზმების პრაქტიკული მუშაობა.

კურორტების მომარაგება სამომხმ. საქონლით

საკურორტო ადგილებში არსებულ კოოპერატივთა გამგეობებმა მიმართეს ცეკავშირს, რათა მას ეშუამდგომლა საქართვ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღნიშნულ კოოპერატივებისათვის დამატებითი კრედიტების გამოძებნის შესახებ.

ცეკავშირის გამგეობამ სათანადო შუამდგომლობა წარუდგინა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს. უკანასკნელმა ცეკავშირის შუამდგომლობა სათანადო დასკვნით გადაუგზავნა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს. მოსალოდნელია, რომ დამატებითი კრედიტების საკითხი დადებითად იქნება გადაწყვეტილი.

ცეკავშირს სულ 17 კოოპერატივისათვის უკვე მოთხოვილი აქვს 212.000 მანეთი. ეს თანხა ასე ნაწილდება: მანგლისს—15.000 მანეთი, ალბულაღს—10.000 მანეთი, ახალციხეს—10.000 მანეთი, გურჯაანს—10.000 მანეთი, სურამს—15.000 მანეთი, წავკისს—4.000 მანეთი, ბორჯომს—15.000 მანეთი, წაღვერს—10.000 მანეთი, ცხის ჯვარს—10.000 მანეთი, მცხეთას—5.000 მანეთი, წყალტუბოს—15.000 მანეთი, ბახმაროს—40.000 მანეთი, ქობულეთს—10.000 მანეთი, ონს—10.000 მან., მარტვილს—15.000 მანეთი და კურსებს—8.000 მანეთი.

თბ. საბჭოს დელეგაცია მოძმე რესპუბლიკებში

ამ ორი თვის წინეთ ჩატარებული იქნა კონკურსი თბილისის საბჭოს სექციებზე. საუკეთესოდ მომუშავე და დაჯილდოებულ სექციებს ნება მიეცა თავის წევრები გაეგზავნა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში იქაურ საბჭოების მუშაობის გასაცნობათ.

დაჯილდოებულმა სექციებმა 25 აპრილს ერთ თვის ვადით საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ქალაქებში მიავლინა: კომუნალურმა სექციამ—**სოლომონ დოლიძე** (სექციის ბიუროს თავმჯდომარე), **მელიტონ მგელაძე** (თბ. საყუდის მუშა) და **არტემ დონდუაშვილი** (თბ. ტრამვაის მუშა); განათლების სექციამ: **მირონ ჯინორიძე** (მე-4 შრ. სკოლის გამგე) და **მირზა მირზოიანი** (26 კომისარის სახ. ქარხნის მუშა); თბ. აღმასკომის დადგენილებით მათთან ერთად დამატებით გაიგზავნა: კომუნალურ სექციიდან **ალექსანდრე გრიქუროვი** (რკ. გზის სტამბის მუშა), განათ. სექციიდან—**ბარბალე ლომიძე** („საქ. ღვინო"-ს სარდაფში მომუშავე ქალი) და საფინანსო-სამრეწველო სექციიდან **ილიკო თაქთაქიშვილი** (მთ. სახელოსნოს მუშა).

მივლინებული ამხანაგები, რომლებმაც მოიარეს ბაქო, როსტოვი, ხარკოვი, მოსკოვი და ლენინგრადი, უკვე დაბრუნდენ თბილისში. თავიანთ მოგზაურობისა და მიღებულ შთაბეჭდილების შესახებ ამხ. ს. დოლიძემ განაცხადა შემდეგი:

ყველა ქალაქებში, რომლებიც ჩვენ დავათვალიერეთ, ადგილობრივი ამხანაგები დიდის აღტაცებით გვხვდებოდენ და გვაცნობდენ თავიანთ მუშაობას.

ყველგან ჩვენ გვაკვირვებდა საბჭოების და მათი სექციების მასიური მუშაობა და მიღწევები ადგილობრივ აღმშენებლობის დარგში. განსაკუთრებით ამ მხრივ აღსანიშნავია მოსკოვის და ლენინგრადის საბჭოები, რომელთა მუშაობაში აქტიურად ჩაბმულია ყველა წევრები და ამომრჩევლებიც კი.

მოსკოვის საბჭო სექციებთან ერთად სისტემატიურად ახდენს მთელს ქალაქში მასიურ გამოკვლევას, იმის გასაცნობათ, თუ რა მდგომარეობაშია სახლები, ქუჩები, სანიტარული პირობები, აღმშენებლობა და სხ.

გარდა ამისა, როგორც მოსკოვის, ისე ლენინგრადის საბჭოების სექციები ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მიზნით იკვლევენ სხვადასხვა დაწესებულებების მუშაობასაც. მაგალითად ერთ დღეს მუშაობის დაწყებისთანავე სათანადო სექცია გამოიკვლევს რომელიმე დაწესებულებას და კონტროლს გაუკეთებს მის დღიურ მუშაობას: თანამშრომლები თავის დროზე გამოცხადდენ თუ არა, როგორ ღებულობენ მთხოვნელებს, აგვიანებენ თუ არა ქაღალდების მსვლელობას და სხ., ერთი სიტყვით არ არის დარჩენილი ქალაქის ცხოვრების არც ერთი კუნჭული, რომელშიაც შეჭრილი არ იყოს ქალაქის საბჭო.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აღნიშნულ ქალაქის საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობიან მუშათა მოთხოვნა-შეკითხვებს და უპასუხოთ არ სტოვებენ არც ერთი მუშის შეკითხვას.

ყველა ქალაქის საბჭოებთან არსებობს 10—13 სექცია, მათი თავმჯდომარე, თუ მდივანი განთავისუფლებულია სამსახურიდან და მთლიანად ჩაბმულია სექციის მუშაობაში.

ჩვენ გარდა იმისა, რომ ვეცნობოდით ქალაქის საბჭოების და მათი სექციების მუშაობას, ვათვალიერებდით ქარხნებს და კულტურულ დაწესებულებებს.

ქარხნების ნაყოფიერება გაცილებით მეტია ომის წინა დროსთან შედარებით. ყველგან გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ქალაქის გასამშვენიერებლად და გასამდიდრებლად.

სხვათა შორის განაცხადა ამხ. დოლიძემ—ლენინის რაიონის მუშებისაგან მე დავალებული მქონდა მეშუამდგომლა საკავშირო მთავრობის წინაშე ლენინის რაიონში სკოლის შენობის ასაგებათ საჭირო თანხის გაღების შესახებ.

ამ საქმის მოსაგვარებლად ვინახულეთ ამხ. ს. ორჯონიკიძე და ა. ენუქიძე, რომლებმაც აღგვითქვეს საჭირო დახმარების გაწევა.

ლენინის რაიონში სკოლა ამჟამად მოთავსებულია პატარა ცუდს შენობაში და განიცდის დიდ სივიწროვეს. სკოლის ასაგებათ თბ. აღმასკომის მიერ ადგილი უკვე გამოყოფილია, მაგრამ უსახსრობის გამო სკოლის აგება დღემდე ვერ მოხერხდა. სკოლის ახალი შენობის აგება შედგენილი პროექტით დაჯდება ნახევარ მილიონზე მეტი.

დაბრუნებული ამხანაგები ამჟამად ამზადებენ მოხსენებებს თავიანთ მოგზაურობის შესახებ და იმუშავებენ პრაქტიკულ წინადადებებს თბილისის საბჭოს სექციების მუშაობის გასაცხოველებლად.

ქრონიკა

მასწავლებელთა თათბირი

განათლების სახალხო კომისარიატი 8 ივნისს თბილისში იწვევს საცდელ-საჩვენებელ 4 წლედების მასწავლებელთა თათბირს. თათბირის მიზანია შეაფასოს და ჯამი გაუკეთოს სასწავლო წელში ჩატარებულ მუშაობას და ამავე დროს დამუშაოს საკითხები კომპლექსურ პროგრამებში შეტანილ ცვლილებების შესახებ.

განათლების კომისარიატმა საცდელ-საჩვენებელ სკოლებს დაუგზავნა თათბირის დღის წესრიგი და პროგრამა, რომლის მიხედვით თათბირზე გამოსაგზავნმა მასწავლებლებმა უნდა შეადგინონ თავიანთი მოხსენებები.

მოხსენებებში უმთავრესად გაშუქებული უნდა იქნეს: როგორ სარგებლობდა მასწავლებელი შესწორებული კომპლექსური მეთოდებით; როგორია წლიური მუშაობის შედეგები; რა ცვლილებები შეიტანა ჯგუფის მუშაობაში შესწორებული პროგრამებით ხელმძღვანელობამ; რა არის საჭირო სკოლის აზრით მეცადინეობის უფრო სასურველ დონეზე დასაყენებლად, დასკვნები და სხ.

საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს მეოთხე რაიონის კონფერენცია

29 მაისს განათლების მუშაკთა სახლში შედგა საზოგადოება „წერა კითხვა“-ს მეოთხე რაიონის კონფერენცია. რაიონული (დროებითი) საბჭოს მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოს წარმომადგენელმა ამხ. ზ. ჩახვაძემ.

დროებითი რაიონული საბჭო არჩეული იქნა მიმდინარე წლის იანვრის დამდეგს.

საანგარიშო პერიოდში (ა. წ. იანვრიდან) დროებითმა რაისაბჭომ ჩამოაყალიბა 32 უჯრედი, რომელშიაც შეკავშირებულია 1400 წევრი; დროებითმა საბჭომ გახსნა აგრეთვე ერთი სკოლა, სადაც მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს.

ამ ხნის განმავლობაში საბჭოს შემოსავალი უდრიდა 430 მან., ეს თანხა დახარჯულია უმთავრესად სკოლის საქმეზე.

მოხსენების ირგვლივ გამართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა—ორატორები მოითხოვდენ მუშაობის გაფართოებას, უჯრედებისადმი ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერებას, და სკოლებთან ცოცხალი კავშირის გაბმას და სხ.

დროებითი საბჭოს მოქმედება ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

დასასრულ, არჩეულ იქნა რაიონული საბჭო 23 კაცის შემადგენლობით.

მედსანშრომის კავშირის დასასვენებელი სახლი

მედსანშრომის პროფკავშირის დასასვენებელი სახლი ახალდაბაში გაიხსნება ა. წ. 1 ივნისს და დაიხურება 1 სექტემბერს. მთელი სეზონის განმავლობაში დასასვენებელ სახლში გაივლის სულ 180 კაცი. თვითეული ჯგუფი 30 კაცის შემადგენლობით გაიგზავნება დასასვენებლად ორი კვირის ვადით.

დასასვენებელ სახლში გაგზავნილებს კავშირი თავის ხარჯზე მისცემს ბინას, მოწყობილ საწოლს და საკვებს.

ახალი დანიშვნები

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების უფროსის ინჟ. გ. წულუკიძის სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის მდივნად დანიშვნის გამო, სამთო განყოფილების უფროსად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაამტკიცა ინჟ. ა. ნ. კანდელაკი.

რესპუბლიკის სამთო სიმდიდრეთა ზედამხედველის თანამდებობაზე კი დამტკიცებულია ინჟ. ი. ყიფშიძე.

ამხ. ვ. კანდელაკის გამგზავრება

გუშინ ა. კ. კოოპ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. კანდელაკი გაემგზავრა ბაქოში მუშათა კოოპერაციის რწმუნებულთა ყრილობაზე დასასწრებლათ. ამხ. კანდელაკი ყრილობაზე მოხსენებას გააკეთებს ა. კ. კოოპ. კავშირის მუშაობის შესახებ.

წყალსადენი ბათომში

ბათომის აღმასრულებელ კომიტეტის კომუნალური მეურნეობა შეუდგა ახალ წყალსადენის გაყვანას ქალაქში. წყალსადენის სამუშაოებზე მიმდინარე საანგარიშო წელში დაიხარჯება 120.000 მანეთი.

თბ. აღმასკომში

◆ **სასკოლო გამოფენა.** თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილება ივნისის შუა რიცხვებში აწყობს სასკოლო გამოფენას.

◆ **დახურული სასადილოები.** თბილისის აღმასკომის დადგენილებით; წელს ქალაქში გაიხსნება რამდენიმე დახურული სასადილო, საიდანაც სადილები გაიცემა მხოლოდ სახლში წასაღებად.

განათლების კომისარიატში

◆ **ექსკურსიების** ჩასატარებლად განცხადებების მიღება გაგრძელდება 5 ივნისამდე. განცხადებები მიიღება 1-ლ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლის კანცელარიაში.

◆ **არდადეგები.** თბილისში სწავლა შეწყდება: 7 წლედებში 5 ივნისს, 4 წლედებში—19 ივნისს, 9 წლედებში—20 ივნისს.

◆ **მასწავლებელთა გადამზადება.** რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში განსახკომი წელს გახსნის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებს.

◆ **სახალხო სახლი.** პოლიტგანათლების სამმართველო მარტყოფში აგებს ორ სართულიან შენობას სახალხო სახლისათვის.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **დოცენტის არჩევა**—აგრონომიულმა ფაკულტეტმა მევენახეობის კათედრის დოცენტათ აირჩია ლექტორი კ. მოდებაძე.

სხვადასხვა

◆ **კოოპერატიული კომისიები.** დღეს საღამოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან არსებულ კოოპერატიულ კომისიების საქალაქო კონფერენცია.

◆ **ახალი კურსები.** ჩაის მეურნეობის ტეხნიკოსთა მოსამზადებლად საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ აწყობს სპეციალურ კურსებს.

◆ **საქ. ხალხ. და ხალთნოგრ. საზ-ბაში** პარასკევს, 1 ივნისს საღამოს 7 ს. (საქ. მუზეუმში) მოხსენებას წაიკითხავს ალ. ბარამიძე. „როსტომიანის ქართული თარგმანისათვის“.

◆ **თბილის-კავკავს შორის** გაიხსნა საავტომობილო მიმოსვლა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** კიზლიარიდან —კატამინს, დნეპროპეტროვსკიდან —ლომსს, მოსკოვიდან—ჩოკვაშვილს, ელენოვკიდან —სიმონიანს, შილდიდან—ელბაქიძეს.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, ამხ. ფ. მახარაძის წერილში: „გ. ვ. პლეხანოვი“. გაიპარა შემდეგი კორექტურული შეცდომები, ვასწორებთ უმთავრესს მათგანს: **სწერია:** „რამდენიმე წლის განმავლობაში პლეხანოვი, როგორც მეტად ნიჭიერი და კარგად მომზადებული ახალ—უშუალო და აქტიურ მონაწილეობას“; **უნდა იყოს:** „რამდენიმე წლის განმავლობაში პლეხანოვი, როგორც მეტად ნიჭიერი და კარგად მომზადებული ახალგაზრდა რევოლიუციონერი იღებდა უშუალო და აქტიურ მონაწილეობას ნაროდნიკების იატაკ ქვეშ მებრძოლ მუშაობაში“ და სხვა...

სწერია: „პარტიის მეოთხე ყრილობამდე პლეხანოვი და ლენინი სოლიდარულად მუშაობდენ“... **უნდა იყოს:** „პარტიის მეორე ყრილობამდე პლეხანოვი და ლენინი სოლიდარულად მუშაობდნენ“.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **საღამო-სეირნობა.** საბჭოთა მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა.

◆ **მუშათა თეატრში.** დღეს 31 მაისს საბავშვო თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება უკანასკნელად 3 მოქ. კომედია „რობინ გუდ“, დადგმა ალ. თაყაიშვილის. დეკორაციები და კოსტიუმები მხატვარ მიხ. გოცირიძის, დასაწყისი საღამოს 6 ს.

◆ **მცირე თეატრის** მიერ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ფლავიტესინ“.

◆ **მუშათა ახალ კლუბში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ქეთო და კოტე“.

◆ **ახალი სურათი.** სახკინმრეწვის დირექციამ რეჟისორ კ. მარჯანიშვილს მიანდო „კომუნარის ჩიბუხი“-ს გადაღება.

შემთხვევები

მკვლელობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ სოფ. ახუსოვში (ბორჩალოს მაზრა) მოჰკლეს უფროსი მილიციელი, შარიფ დილაი-ოღლი. მიღებულია ზომები მკვლელის დასაპატიმრებლად.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს გაიანე კარსაველის ბინა (აგურის შესახვევი № 20); წაიღეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები.—გაქურდეს სახელგამის ცენტრალური მაღაზია (რუსთაველის პროსპექტი № 23), წაღებულ წიგნების და საკანცელარიო ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.—მოქ. ყარამან ნაბი-ოღლის (მცხ. კომუნალური ქუჩა № 11) მისმა ცოლის ძმამ—აბანოს ალი მამედ-ოღლიმ მოჰპარა 48 მანეთი. ქურდი დაპატიმრებულია,—გაქურდეს სატრანსპორტო საზოგადოების კანცელარია (პლეხანოვის პროსპექტი № 52). წაიღეს სხვადასხვა ნივთები.—გაქურდეს ალ. ნინოშვილის ბინა (გოგოლის ქუჩა № 1), წაიღეს 150 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ანტონ გონელის ბინა (კალინინის ქუჩა № 56), წაიღეს 100 მანეთის საოჯახო ნივთები.

ჯიბგირობა

გუშინ, დღისით მაქსიმე გაჩეჩილაძეს მუშ. კოოპში ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 67 მანეთი და მიიმალა.—მოქ. ილია გასა ალი ოღლის თათრის მოედანზე ჯიბიდან ამოაცალეს 78 მანეთი. მოქ. გიორგი პერზიევს ვიღაც ჯიბგირმა ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა 63 მანეთი და მიიმალა.

ქურდების პასუხისგებაში მიცემა

სისხლის სამართლის მილიციამ პასუხისგებაში მისცა: ვანო აკოფისძე საკოვი, არამ ალანისძე სუკიასოვი, ოსიპ მათეოზისძე ბაბნაზაროვი, გრიგოლ გელქონისძე პეტროსიანცი და არამ იაკობისძე ალიხანოვი.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ბინების და მაღაზიების გაქურდვა.

სასამართლო

ღირსეული სასჯელი ყაჩაღებს

— მე რას მიყიდი მამილო?

— ჭკვიანად თუ იქნები, კარგს ჩითის კაბას მოგიტან.

— მე რას მიყიდი?

— შენ რვეულებს და წიგნებს გიყიდი.

— შარვალს არა?

— შარვალსაც გიყიდი, ოღონდ კარგად უნდა ისწავლო სკოლაში!

— ძია მეც მიყიდე რამე!,—გაუბედავი ხმით უთხრა ილო სულხანიშვილს პატარა ძმისწულმა, რომელიც იქვე ყურს უგდებდა, როცა ილოს შვილები გარს შემორტყმოდენ და სხვადასხვა მოთხოვნილებებს უდგენდენ.

ბავშვებმა იცოდენ, რომ ილომ ერთი საპალნე ღვინო გაჰყიდა და ფული აიღო. მამას პირობა წინდაწინ ჰქონდა დადებული ბავშვებთან და უკანასკნელნიც ითხოვდენ დაპირების შესრულებას.

ღვინის გაყიდვა ბავშვებს უხაროდა, მაგრამ კიდევ უფრო გახარებული დარჩენ სოფელ შილდას ამწიოკებელი ყაჩაღები, რომელთაც ყურში ჩაცდათ ეს ამბავი.

შეიკრიბენ ყაჩაღები: **მაქრო დინვაშვილი, გიორგი მარინაშვილი, გიორგი ზუბიტაშვილი და სოლიკო კვლიშვილი.** ჯერ კარგა მაგრად შეზარხოშდენ სუფრაზე, შეიმუშავეს თავდასხმის გეგმა, თოფ-იარაღი აისხეს და გზას გაუდგენ შილდისაკენ.

ის იყო კიდეც ჩააქრო ლამპა ილომ და მუშაობით მოთენთილი მოწყვეტით ჩაგორდა ლოგინში დასაძინებლად, რომ მოისმა ძლიერი ბრახუნი კარებზე.

— კარი გააღეთ!

— ვინა ხარ?

— მეზობელი,—ვიღაცამ მეზობლის სახელი სთქვა.

ილომ გააღო კარი. ოთახში შევარდა სახე გამურული ოთხი ვაჟი. ხელში მომარჯვებული რევოლვერებით.

— აბა დააწყვე ეხლავე ფული?

შეშინდა ილო. რას გაბედავდა წინააღმდეგობას. თავისივე ხელით დაუთვალა 120 მანეთი, მაგრამ ეს ეცოტავათ ყაჩაღებს და არაფრის გულისთვის არ დაიჯერეს, რომ ილოს მეტი ფული არ აქვს.

დაუწყეს ძებნა. გადაატრიალეს ყველაფერი. ილოს ოჯახის წევრები წაქცეული ჰყავთ ყაჩაღებს იატაკზე და უმოწყალოდ სცემენ. არავინ ხმას არ იღებს შიშისაგან. თავის აწევაც ვერ გაუბედავთ.

— ილომ გვიცნო მგონი, ყურში ჩაუჩურჩულა ერთმა გამურულმა ყაჩაღმა მეორეს.

— მაშ უნდა მოკვდეს...

გავარდა რევოლვერი და ტყვიამ თავის ქალა გადააძრო პირქვე ჩამხობილ ილოს.

ოჯახში ატყდა ზრიალი, ქვითინებენ ჩუმად, მოკლულის დატირებასაც ვერ ბედავენ.

ყაჩაღებმა არ დაზოგეს ილოს ცოლი და სიკვდილის პირზე მიაყენეს ცემით, რადგან არ უჩვენა, სად იყო ფული შენახული, რას უჩვენებდა, როცა არსად იყო!

გაიქცენ ყაჩაღები იმ იმედით, რომ არავინ იცის მათი ვინაობა. მაგრამ ილოს პატარა ძმისწულს, რომელიც პირქვე ჩამხობილი იყო თავდასხმის დროს, ცალი თვალი გაუხილავს ქურდულად ერთი ყაჩაღის სახე გამოეცნო.

თავდამსხმელები დააპატიმრეს. მათ თავი სცნეს დამნაშავედ.

საქმე გაარჩია თელავის სამაზრო სასამართლოს სესიამ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით. ყაჩაღების გასამართლება მოხდა საჯაროთ სოფელ შილდაში.

ოთხივე ყაჩაღს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მათთან ერთად პასუხისგებაში იყო მიცემული **სიკო ასაბაშვილი,** რომელსაც არ დაუმტკიცდა ბრალდება და გამართლებულ იქნა.

მსჯავრდადებულებმა სასჯელი გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში.

სახლის პატრონი უსახლოდ დარჩა

„რაც მოგივა დავითაო ,ყველა შენი თავითაო“, ასე ეთქმის ვარდენ ლორთქიფანიძეს.

ვარდენ ლორთქიფანიძე,—ეს ის „ძველი ვარდენია“, რომელიც დიდი რიხით ლაპარაკობდა: „ხელისუფლებას ვინ ჰკითხავს! ვინც მე მინდა, იმას დავაყენებ ჩემს საკუთარ სახლში. კომუნისტები როდის მოიხმარენ სახლის ყიდვაში. ეხლა რომ ერევიან ჩემს საკუთარ საქმეშიო“.

ვარდენმა 1926 წელს შეიძინა სახლი პეტროვის ქუჩაზე № 29 და მას შემდეგ სულ მუდამ „მღელვარება“ სუფევდა მის ჭერ ქვეშ.

იმ თავითვე ვარდენი შეუდგა სახლის განწმენდას საბჭოთა ელემენტებისაგან. რასაკვირველია, ძალიან ძნელი ამოცანა დაისახა ვარდენმა. მაგრამ ბევრჯერ გაუტანია თავისი და ეხლაც იმედი ჰქონდა, რომ „ხელისუფლებას მას შინაურ საქმეში ჩარევის უფლებას არ მისცემდა“.

პირველი იერიში ვარდენ ლორთქიფანიძემ მიიტანა მდგმურ იაკუბოვზე. სიტყვა „იერიში“ აქ პირდაპირი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული: ჯერ დაიწყო ლანძღვა, ამას მოჰყვა მუშტი-კრივი და ბოლოს ვარდენის ხანჯლის ტრიალი.

საქმეში ჩაერია მილიცია და საბჭოთა ელემენტის მდგომარეობა განმტკიცდა, თუმცა იაკუბოვის მობეგვა შერჩა ვარდენს.

ვარდენმა ერთი მდგმური ჭკუიდან კინაღამ შეშალა. მდგმური რამდენიმე დღით სხვაგან იყო წასული. დაბრუნდა და ხედავს მისი ოთახის კედელი გამონგრეულია და ოთახი შეერთებულია ვარდენის სამზარეულოსთან.

— მე მგონი აქ ვცხოვრობდი „თუ მხარი მიქცა და სხვა ეზოში ვარ!—კითხულობს განცვიფრებული მდგმური.

ვარდენმა ფაქტის წინაშე დააყენა საბჭოთა ელემენტი, სამზარეულოთ აქცია მისი ოთახი. ამასაც მოჰყვა „არეულობა“ და თავ-პირის მტვრევა, მაგრამ ვარდენმა მაინც აიცილა თავიდან სასჯელი.

ვარდენს არ აუღია ხელი მდგმურების შევიწროვებაზე, შეუჩნდა მდგმურ ზაქარაიას.

რომ არ გავახარებ აღარ გადავა!—ფიქრობს ვარდენი.

არ გასჭრა არავითარმა ხერხმა. ვარდენმა მოიგონა უებარი საშუალება.დაასხა სახურავიდან წყალი. წყალი ჩავიდა ჭერში. ჭერი ჩამოინგრა.

ასეთი საშუალებებით ებრძოდა ვარდენ ლორთქიფანიძე საბჭოთა ელემენტებს.

მდგმურები გამოვიდენ მოთმინებიდან. შეიკრიბენ, ითათბირეს და საჩივარი აღძრეს სასამართლოს წინაშე.

სასამართლომ დაადგინა სახლის პატრონი ვარდენ ლორთქიფანიძე გასახლებულ იქნეს სახლიდან და რაც კი რამ წაართვა ვარდენმა მდგმურებს, ისევ მათ დაუბრუნდეს.

არ მოელოდა ვარდენი ამას. აფსუს ვარდენ! შენ სხვას ასახლებდი და ეხლა შენ გასახლებენ შენივე სახლიდან!—იძახის ეხლა ვარდენი.

ვარდენ ლორთქიფანიძის წინააღმდეგ მეორე საქმე კიდევაა აღძრული სასამართლოში ეს უკვე იმის შესახებ, თუ როგორ ითვისებდა ვარდენი მდგმურებს შორის შეკრებილ წყლის ფულს და როგორ გაურბოდა გადასახადს ყალბი ცნობების მიწოდებით.

ამის შემდეგ ჭკუას ისწავლიან ვარდენისებური სახლის პატრონები.

ბერ.

ფართლის ბაზრის მოწესრიგება

სპეკულიანტების მიცემა პასუხისგებაში

უმაღლეს ორგანოების დადგენილებით სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს აკრძალული აქვთ კერძო ვაჭრებზე ფართლეულის გაცემა.

მიუხედავად ამისა კერძო ვაჭრები დღემდე მაინც ახერხებენ ისეთი ფართლეულობის შოვნას, რომლებიც კოოპერატივებში განსაზღვრული რაოდენობით იყიდება.

შემჩნეულია, რომ ვაჭრები ფართლეულობას უმთავრესად იძენენ კერძო მოქალაქეებისაგან, რომლებსაც კოოპერატივებიდან სხვადასხვა მახინაციებით გამოაქვთ საქონელი. კოოპერატივის ზოგიერთი ულირსი წევრებიც თავიანთ საჭიროებისათვის მიღებულ ფართალს ყიდიან კერძო ვაჭრებზე და ამით ხელს უწყობენ ფართლის ბაზარზე არანორმალურ პირობების შექმნას.

ფართლის ბაზრის მოწესრიგების მიზნით შინავაჭრობის კომისარიატმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით კერძო ვაჭრები ვალდებული არიან იქონიონ ფართლის ნასყიდობის ბარათები და ხელწერილები იმ პირებისაგან, ან ორგანიზაციებისაგან,—რომლებიდანაც იძენენ ფართალს.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ასრულებენ ამ დადგენილებას კერძო ვაჭრები, თბილისის აღმასკომთან არსებულმა ვაჭრობის მომწესრიგებელმა კომისიამ მოახდინა კერძო სავაჭროების გამოკვლევა, რომლის დროს აღმოჩნდა შემდეგი: იმ ვაჭრებს, რომლებსაც შეეხო გამოკვლევა, არც ერთს არ აღმოაჩნდა ნასყიდობა და ხელწერილები.

ყველა მათგანს მაღაზიაში აღმოაჩნდათ კოოპერატივებიდან გამოტანილი საქონელი, რომელთა უმრავლესობა შესდგება სხვადასხვა ფართლეულობის ნაჭრებისაგან.

ვაჭრობის მომწესრიგებელმა კომისიამ ფართლით სპეკულიაციისათვის პასუხისგებაში მისცა შემდეგი ვაჭრები:

სერგო გრიგოლისძე ჯილავდაროვი, შამი ისაკ-ოღლი, იოსებ დანიელოვი, მიხეილ ანტონოვი, სარქის არუთინოვი, ამაზას ნადიროვი, ლევან მარქარისძე მატევოსიანცი, ბაგრატ სოლომონისძე პიპოვი და არამ პეტრესძე პოღოსოვი.

ჩამოთვლილ პირებს ფართლის სავაჭროები აქვთ ყოფ. მხითაროვის ქარვასლაში. მიღებულია ზომები აგრეთვე იმ პირების წინააღმდეგ, რომლებსაც კოოპერატივებიდან გამოაქვთ საქონელი და კერძო ვაჭრებზე ყიდიან.

ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება განაგრძობს კერძო სავაჭროების გამოკვლევას.

სახალხო ჯანმრთელობის დასაცავად

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მოსახლეობაში სანიტარული ცოდნის გავრცელების მიზნით შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით მთელ საქართველოში ჩატარებული იქნება სანიტარული აგიტაცია, რომლის დროსაც კლუბებში, სოფლის სამკითხველოებში, სახალხო სახლებში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მოეწყობა ლექცია-საუბრები და მოხსენებები სანიტ-განათლების საკითხებზე ამავე მიზნით გამოშვებული იქნება სანიტ-განათლების ხასიათის პლაკატები, ბროშიურები და ლოზუნგები, რომლებიც უფასოთ დაურიგდება წარმოება-დაწესებულებებსაც, და სოფლის კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

მაზრებში, მოძრავი კინოების საშუალებით, მოეწყობა სანიტ-შინაარსის სურათების ჩვენება. გარდა ამისა, მოეწყობა მოძრავი და მუდმივი სანიტარულ-ჰიგიენური გამოფენები და მუზეუმები. კლუბებსა და წითელ-კუთხეებში გაიხსნება სანიტ-განათლების განყოფილებები.

გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სანიტარული ცოდნის გავრცელებას სკოლებში, სადაც სანიტარულ-ჰიგიენურ წესების შესწავლასთან ერთად იწარმოებს ლექციების კითხვა და მეცადინეობა სანიტარულ განათლების დარგში.

სანიტგანათლების საგიტაციო კამპანიასთან ერთად საექიმო რაზმების საშუალებით იწარმოებს ბრძოლა სოციალურ სნეულებებთან და სხვა.

სანიტარულ ზომების განსახორციელებლად გადაწყვეტილია სანიტ. ექიმთა რიცხვის გადიდება მაზრებში. მათ დაევალებათ მხოლოდ სანიტარული პირობების დაცვა თავიანთ რაიონებში.

ზაფხულის განმავლობაში მაზრებში მოეწყობა სანიტ-განათლების ხასიათის წარმოდგენა საღამოები.

ტყავეული და ფეხსაცმელები

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში საქართველოში შემოზიდული იქნება 275.000 მანეთის ტყავეული და დამატებით 60.000 მანეთის მზა ფეხსაცმელი.

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა შემოსაზიდ ტყავეულის მთელი რაოდენობა ორგანიზაციათა შორის გაანაწილა შემდეგნაირათ: ცეკავშირს მიეცემა 65.000 მანეთის ტყავეული, „ზაკვოენპოს“—35.000 მან., აფხაზეთის კოოპ. კავშირს—10.000 მან., საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას—55.000 მანეთის, ტყავტრესტს—20.000 მან., გაერთიანებულ კოლექტივებს—20.000 მან. და სარეწკოოპ. კავშირს —50.000 მან. ტყავეული.

მზა ფეხსაცმელების მთელი დამატებითი პარტია გადაეცემა მუშკოოპს.

ვინაიდან ტყავეულის მარაგი საქართველოში შედარებით მცირეა, ვაჭრობის კომისარიატმა საჭიროთ სცნო, რომ ტყავეული შემოზიდული იქნეს საქართველოში გეგმის გარეშე, და ეს ტყავეული ორგანიზაციათა შორის განაწილდეს შემდეგნაირათ: ცეკავშირს მთელი რაოდენობის—25 პროცენტი, „ზაკვოენპოს“—10 პროც., სამრეწველო კოოპერაციას—20 პროც., გაერთიანებულ კოლექტივებს 20 პროც., თბილისის ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას—25 პროც.

დაფნის ფოთოლი

მიმდინარე სეზონის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ბაზრებზე საქართველოდან გატანილი და გასაღებული იქნა 95 ვაგონი დაფნის ფოთოლი. გასულ წელთან შედარებით ფასები დაფნის ფოთოლზე საგრძნობლად გაზრდილია. ამჟამად ერთი ცენტნერი დაფნის ფოთოლი იყიდება 29—30 მანეთად. ეს ფასი ომამდე არსებულ ფასებთან შედარებით მაინც მცირეთ უნდა ჩაითვალოს. ომამდე დაფნის გამხმარი ფოთოლი ცენტნერი (დაახლოვებით 6 ფუთია) იყიდებოდა 45 მანეთად.

თბილისის საქონლის ბირჟამ ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატიულ კავშირთან ერთად გამოიმუშავა დაფნის ფოთოლის დროებითი კონდიცია, რომელიც საფუძვლად დაედება დაფნის ფოთოლის გასაღების მოწესრიგების საქმეს. გადაწყვეტილია დაფნის ფოთოლის ხარისხის გაუმჯობესება და ფოთოლის დამზადების საქმის მოწესრიგება. ფოთოლის დამზადებას მიეცემა სისტემატიური და მტკიცე ორგანიზაციული ხასიათი. განზრახულია დაფნის ფოთლის გასაშრობ სპეციალურ ფარდულების აგება. უკვე მიღებულია ზომები დამზადების საორგანიზაციო ხარჯების შესამცირებლად და ფოთოლზე ფასების გასადიდებლად. წელს საქართველოში დამზადებული იქნება საუკეთესო ღირსების დაფნის გამხმარი ფოთოლი საზღვარგარეთ გასატანად.

გასულ წელს ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა ამერიკაში და ევროპაში გაიტანა 7 ვაგონი ფოთოლი.

დაფნის მეურნეობის გასაცხოველებლად დაფნის მეურნე გლეხებს მიეცემათ შესაფერი დახმარება და სხვადასხვა შეღავათები.

ინდუსტრიალიზაციის სესხის მესამე ტირაჟი

250 მანეთიანი მოგებანი

ხვდა შემდეგი ხერიების ყველა ობლიგაციებს:

000.213
010.712
011.294
012.282
012.746
016.344
016.447
018.021
020.201
021.306
022.412
022.754
023.235
025.323
026.047
026.831
029.258
029.841
034.269
037.847
038.650
040.923
045.332
051.304
054.144
054.247
057.030
057.038
058.769
058.777
061.662
061.775
066.342
075.008
076.581
082.082
085.311
086.457
088.429
088.880
090.001
090.162
096.636
100.784
101.552
104.021
106.171
108.689
109.416
109.650
111.591
112.729
122 641
125.593
127.703
129.088
131.419
132.384
133.239
140.448
146.576
152.939
158.996

მოგება 1000 მან.		მოგება 100 მან.
ხერიის №	ობლ. №	მოგებ. ობლ. №№
000.035	33	1—32, 34—50
000.721	19	1—18, 20—50
006.665	37	1—36, 38—50
012.224	44	1—43, 45—50
023.808	21	1—20, 22—50
025.285	47	1—46, 48—50
029.434	38	1—37, 39—50
034.759	20	1—19, 21—50
036.542	36	1—35, 37—50
040.004	2	1, 3—50
042.716	49	1—48, 50
059.964	26	1—25, 27—50
065.432	23	1—22, 24—50
067.106	11	1—10, 12—50
071.807	26	1—25, 27—50
071.913	27	1—26, 28—50
075.342	2	1, 3—50
075.825	32	1—31, 33—50
076.391	40	1—39, 41—50
078.221	34	1—33, 35—50
078.838	16	1—15, 17—50
081.140	10	1—9, 11—50
081.379	42	1—41, 43—50
083.183	9	1—8, 10—50
097.529	18	1—17, 19—50
108.818	43	1—42, 44—50
110.695	25	1—24, 26—50
121.289	1	2—50
123.385	16	1—15, 17—50
140.742	38	1—37, 39—50
144.042	6	1—5, 7—50
145.209	19	1—18, 20—50
155.763	4	1—3, 5—50

გლეხის სასახლეში

ექსკურსიების მოწყობა

გლეხის ცენტრალური სასახლის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა პირველ ივნისიდან მოაწყოს გლეხის სასახლეში სხვადასხვა მაზრებიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან ჩამოსული გლეხების მასიური ექსკურსიები. ექსკურსანტი გლეხები გლეხის სასახლეში მომუშავე პასუხისმგებელი ამხანაგების თანხლებით დაათვალიერებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებებს, მუზეუმებს, საბავშვო სახლებს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

გლეხის სასახლის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

გლეხის ცენტრალური სასახლის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა—გლეხის სახლების მუშაობა-საქმიანობის გასაცნობად გაგზავნოს გლეხის ცენტ. სასახლის გამგე ამხ. ი. მჭედლიშვილი ბათომში, ოზურგეთში, თელავში, სენაკში და ზუგდიდში.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 31 მაისი

რკ. გზელთა პროფკავშირის რადიო-გადაცემა მოხსენებებით და კონცერტებით.

პარასკევი, 1 ივნისი

პარასკევს, 1-ლ ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მოხსენება სიფილისზე—რუსულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.

ადამიანის წარმოშობა—მოხსენება რუსულ ენაზე.

პოლიტიკური მიმოხილვა—თურქულ ენაზე.

ბრძოლა ნაწლავების პარაზიტებთან—თურქულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

„ახლოს მასებთან,—მეტი თვითკრიტიკა“—მოხსენება თურქულ ენაზე.

პიონერების რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

მოხსენებებს შუა შესრულებული იქნება მუსიკალური ნომრები.

მეცნიერება და ტეხნიკა

თანამედროვე ელექტრო-ლამპების მეტოქე

თანამედროვე ელექტრონის (ფშრილი წოლ. საკარვარო) ლამპები 10—20 წლის შემდეგ არკავს ჩაბარდება,—ასეთია განათების ტეხნიკის გამოჩენილ სპეციალისტების აზრი ამერიკაში. ელექტრონის ლამპების ადგილს დაიჭერს განათება ნეონ-არგონით, რომლითაც უკვე ამჟამად წარმატებით სარგებლობენ შეერთებული შტატების მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში. ნეონი და არგონი—იშვიათი გაზებია, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც აღმოაჩინეს. ნეონის ლამპებს ამზადებენ შუშის მილებიდან, რომლებიდანაც ქაჩავენ ჰაერს და რომლებშიც შემდეგ უშვებენ ნეონის მცირე რაოდენობას. თუ შემდეგ ნეონით გავსებულ მილში გაუშვებენ მაღალი ჭინვის ცვალებად დენს, გაზი წითელ ფერად იწყებს ნათებას. წითელი სხივები, როგორც ვიცით, სქელ ნისლშიც კი მოჩანან. ამიტომ ნეონის ლამპებით ფართოდ სარგებლობენ შუქურებსა და სასიგნალო მოწყობილობებში. არგონის მცირე რაოდენობის შერევა ნეონში შესაძლებლად ხდის მიღებას სხვადასხვა ფერის სინათლისას, დაწყებული მუქ-მოწითალო ფერიდან და გათავებულ ყვითელ-მოთეთრო ფერით, რომელიც მზის სინათლეს ემსგავსება. ნეონის ლამპა ხარჯავს ერთ მეათედს იმ ენერგიისას, რომელიც თანამედროვე ელექტრონის ლამპაში იხარჯება. ნეონის ლამპების მეორე ღირსებას შეადგენს ის, რომ მათ აქვს „გაფანტული სინათლე“, რაც იცავს თვალს. ნეო-არგონით განათების შემოღებამ ამერიკის ფაბრიკა-ქარხნებში 20 პროცენტით გაადიდა ღამით მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება.

ულტრა-იისფერი სხივები და კბილები

ცნობილმა ამერიკელმა ოდონტოლოგმა (ოდონტოლოგია—სწავლა კბილების შესახებ) პროფ. ბენედიქტმა აღმოაჩინა წესი კბილების კარიოზის (ლპობის) დაწყებითი სტადიის გამოცნობისა ულტრა-იისფერი სხივების საშუალებით. პროფ. ბენედიქტმა გამოარკვია, რომ ჯანსაღი კბილები მკვეთრად ანათებენ ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით. ამ დროს შავად მოსჩანს კბილის მხოლოდ ის ადგილები, სადაც კარიოზი ვითარდება. ამრიგად, შესაძლებელი ხდება კბილების დაავადების შემჩნევა დიდი ხნით ადრე, ვიდრე ამის გამორკვევა მოხერხდება ზედმიწევნით გასინჯვის საშუალებით.

ინგლისის ავიაცია 1927 წ.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის სამგზავრო აეროპლანებმა 1927 წ. 3.570.000 კილომეტრი გზა. მთელს 1927 განმავლობაში ადგილი ჰქონდა აეროპლანებმა გადაიყვანეს 52.000 მგზავრი და გიარეს—ავარიის სამ შემთხვევას, რომლის დროს მოკვდა ერთი მფრინავი და დაიჭრა ორი მგზავრი. მოგზაურობის უშიშროების მხრივ ავიაციას პირველი ადგილი უჭირავს თანამედროვე ტრანსპორტში. გადაყვანილ მგზავრების მხრივ ავიაციას იგივე ადგილი უკავია, რაც რკინიგზებს ეჭირა 1830 წ. მაგრამ კატასტროფები თანამედროვე ავიაციაში რამოდენიმე ათეულჯერ უფრო იშვიათია, ვიდრე იმ დროის რკინიგზებზე იყო.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 31 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიკაციურ მუშათა პირველ სექციიდან: ბაგრატ არზუმანოვი, ნიკოლოზ [illegible], ნახიპეტ მაკირტიჩიანი, ისმაილ აბიდ-გაჯი და რუბენ გევორკოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ელენე დუმბაძე, ნადეჟდა რუდნიცკაია, ქსენია ნაკოლაევა, ნადეჟდა ყარალაშვილი, დავით პეტრიაშვილი, ანაიდა ყარაგოზიშვილი, მარიამ ზალდასტანიშვილი, მიხეილ სუქიასოვი და ივანე მალხაზოვი.

შავ-მუშათა მესამე სექციიდან: გიორგი მანველიანი, ნინო პინჩუკი და იაგორ ბიტიუკიანი.

რკინისგზელთა მეშვიდე სექციიდან: ნინო ზარიაშვილი და ელისაბედ დანელია.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: სამსონ გარდულოვი, ამაიაკ ზაიცევი, თამარ სიმონიანი, აირაპეტ ავეტისიანი, მარგარ ტულუმანოვი და აბრამ პურადოვი.

იურიდიული დახმარება

პახვალა გოგიას ს. ლეხაინდრავი (სენაკის მაზრა)

კითხვა

ჩემი უფროსი ძმა 22 წლის წინად გამოეყო ჩვენს ოჯახს და დასახლდა თავისთვის ცალკე. შუათანა ძმა, ინვალიდი (ორივე ფეხებით კოჭლი) და მე დედით დავრჩით ერთად. ჩემთან მყოფი ძმა (ინვალიდი) უცოლშვილოთ გარდაიცვალა. 22 წლის წინად გამოყოფილ ძმამ მოითხოვა სასამართლოში, გარდაცვალებული ძმის წილი ქონებისა, მესამე პირად შემოვიდა ადგილობრივი გლეხკომი და ის მოითხოვს ჩემი ოჯახში მყოფი გარდაცვალებული ძმის ქონების ბეელთამანი ქონებაში ჩარიცხვას. შეუძლია თუ არა გამოყოფილ ძმას ან და გლეხკომს გარდაცვალებულის წილი გამოყოს ჩემი ოჯახიდან?

პასუხი

თქვენი გარდაცვალებული ძმა და თქვენ შეადგენდით ერთ კომლს. კომლის სარგებლობაში მყოფი ქონება ეკუთვნის კომლს. თქვენი ძმის გარდაცვალების გამო შემცირდა თქვენი კომლის შემადგენლობა ერთი წევრით. ქონება მთლად ისევ კომლის განკარგულებაში უნდა დარჩეს. არც გამოყოფილ ძმას და არც გლეხკომს არავითარი უფლება ამ ქონების ნაწილზე არ აქვს.

ოლღა ბასილაძისას

კითხვა

ჩემი ქმრის გარდაცვალების შემდეგ დავრჩით მე, ჩემი ერთი შვილი და ქმრის ორი და, ერთი მათგანი გათხოვდა. გეკითხებით, შეუძლია თუ არა გათხოვილის ქმარს მოითხოვოს მიწის გაყოფა იმ დროს, როდესაც მას თვითონ ერთი ნორმა აქვს.

პასუხი

მიწის გაყოფის მოთხოვნა არ შეუძლია არა თუ თქვენი ქმრის დის ქმარს, არამედ მის ცოლსაც, რომელსაც მეორე კომლში შესვლით დაკარგული აქვს უფლება თქვენი კომლის მიწაზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 2 ივნისს, დღის 1 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნულია **წითელ პროფესურის მოსამზადებელ კურსზე გასაგზავნ კანდიდატურის შერჩევა.**

იმ ამხანაგებს, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება, ევალებათ გამოცხადდენ აღნიშნულ დროისთვის და წარმოადგინონ ყველა საჭირო საბუთები და აგრეთვე ადგილობრივ პარტორგანიზაციების შუამდგომლობა გაგზავნის შესახებ.

—:—

დღეს, 31 მაისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება **ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების ქალაქის რაიონულ საბჭოს გაფართოებული პლენუმი,** უჯრედების ბიუროს წევრებისა, სარევიზიო კომისიის და შეფაქტივის მონაწილეობით.

—:—

დღეს, 31 მაისს, საღამოს 6 საათზე საქართველოს ცაკში შესდგება **საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს ცენტრალური გამგეობის სხდომა.** ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს დაბეჯითებით სთხოვენ დაესწრონ აღნიშნულ სხდომას:

ფ. მახარაძე, ს. მამულია, კ. ხომერიკი, ოქრობირიძე (სტამბა), **გერ. მახარაძე,** (სტამბა), **მჭედლიძე** (თემქას ქარხანა), **ედინოხოვი** (ცეცხლის მქრობელი რაზმი), **ვ. იმედაძე** (საქართ. პოლიტგანათლების მთავარ მმართველობა), **ხუციევი, ვ. მესხი, ისრაელიანი** (მაკარონის ქარხანა), **გუკასოვი** (ტყავ-ტრესტი), **ტატულოვი** (საპნის ქარხანა), **პროფ. შ. ნუცუბიძე, ვ. ჯაფარიძე, ვ. სიხარულიძე, რ დუმბაძე, პ. ბოკერია, დ. კანდელაკი, სირაძე,** (მეორე რაიკომი), **რამიშვილი** (ტრამვაი), **ხონცი** (არსენალი), **ნუბაროვი** (თუთუნის ქარხანა), **ჩიხლაძე** (რკინის გზის სამმართველო),, **კარიაგინი** (მთავარ სახელოსნო), **ვასილენკო, ქაჯაია** (დეპო), **სალუქვაძე** (სახ. უნივერსიტეტიდან), და **სვანიძე.**

სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 31 მაისს, დღის 12 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა.

წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ, აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში გადასარიცხავად ან კომკავშირში მისაღებად.

—:—

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 31 მაისს, საღამოს 5 საათზე ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპ. № 20) შესდგება თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომა.

აღნიშნულ საკონფლიქტო კომისიის წევრთა და აგრეთვე ქვემოთ დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ:

ვ. ბ. ბიბინეიშვილი, გ. ე. გიორგაძე, ა. ე. გურგენიძე, შ. კ. გვენცაძე, შ. გ. დოდელია, ი. ს. ენუქიძე, ა. ი. მიქაძე, კ. ი: მახილაძე, შ. კ. ნადარეიშვილი, რ. პ. შონია, ვ. ნ. გონაძე, ზ. გ. წერეთელი, ა. ზ: კარჩაული, შ. ი. კვლევიძე, დ. გ: ბასილაშვილი, მ: დ: ფოცხიშვილი, კ. მ. კიკვაძე, მ. ა. ბეჟანიშვილი, გ. ვ. გოშაძე, კ. ზ. მეფარიშვილი, ი. გ. ბიბილური, შ: მ: გორებაშვილი; ნ. შ. ქუთათელაძე, გ. ს: ჭიჭინავა, ნ. ს. ქუთათელაძე, ე. ს. ბეშკალაძე, დ. ი. დუმბაძე, ვ. ი. კერესელიძე, გ. ს. ხუნაშვილი, ს. ი. ცანავა, ი. ი:კალანდაძე, დ. ი. დოლიძე, ვ. ვ. მდივანი,, ი. ი. ჩხენკელი, მ. ა. ყუფარაძე, კ. ე. კობახიძე, ა. დ. დარჩია, ა. ა. ხობუა, დ. ოქრუაშვილი, მ. ციტოხელევი, ა. პეტროსიანი, ლიანოზოვი, ბეჟანოვი, კულიგინა, კირშენბაუმი, ჩხიკვიშვილი, ოქროევა, ნერსესოვი, რაზმაძე, პარადოვი და სარქისოვი.

დღეს იხსნება საზაფხულო კინო-თეატრები

ეთერი — დარბაზი

(სახელმწიფო ოპერის ბაღი) (ბაღი, პლეხ. პროსპ. № 93)

მხატვრული დრამა ეკრანზე საუკეთესო სურათი

მშვიდობით ახალგაზრდობავ

ცნობილ სურათის „ნამდვილი მამაკაცი“-ს გმირის კარმენ ბონის მონაწილეობით.

კენიგსმარკ

პიერ ბენუას ცნობილ რომანის მიხედვით მთავარ როლებში: გიუგეტა დიუფლო, ჟაკ კატლენ.

საზაფხულო კინო-თეატრები გადახურულია

ნ. 1175

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო ეთერი	კარმენ ბონი და ვალტერ ხლეზაკი უცხოეთის მხატვრულ სურათში მშვიდობით ახალგაზრდობავ
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი პიერ ბენუას რომანის მიხედვით კენიგსმარკ
საზაფხულო პალასი	მეორე კვირა წარმატებით მიდის სამი მუშკეტერი დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
აპოლო სოლეი	კომედია იმერეთის ცხოვრებიდან სამანიშვილის დედინაცვალი დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით რეჟისორი—კ. მარჯანიშვილი, ოპერატორი—ვ. ენგელსი
მინიონი	ჟენი პორტენ მხატვრულ დრამაში დედა და შვილი
ოდეონი	დიდის წარმატებით მიდის ორი ქმრის ცოლი
პროლეტარი ავლაბარი	მოხეტიალე ვარსკვლავები

დაარსებულია 1926 წ. — დაარსებულია 1926 წ.

სახელგამის კონტრაგენტი ამხ-ბა

„წიგნი“

ამხანაგობის მიზანია ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელება საქართველოში და საქართველოს გარეშე მცხოვრებ ქართველებში.

ამხანაგობას ესაჭიროება

პასუხისმგებელი

აგენტები

საქართველოს

მთელს

ქალაქებში და თემებში

ამხანაგობა თავის აგენტებს მიაწოდებს ყოველგვარ წიგნებს, ყველა ჟურნალ-გაზეთებს, საკანცელარიო ნივთებს, საბავშო სათამაშოებს, მუსიკალურ და ფიზკულტურის საგნებს.

აგენტებს ეძლევათ პროცენტები

ამხ-ბა „წიგნი“-ს გამგე დ. მიქელაძე

მისამართი: თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 1.

2—1 ნ. 1173

ხვალ 1-ლ ივნისს, დღის 1-ლ საათზე, გან. მუშ. სახლში (კალოუბნის ქ. № 3) მოწვეულია

განათლების მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება

დღის წესრიგში:

1. თბილ. შრომის ბირჟის მოხსენება.
2. ც. გ. მოხსენება უმუშევართა ფონდის შესახებ.

ნ. 1171. ც. გ.

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შემხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

რადგანაც შესდგა ხატყეო წარმოების კოოპერატიული შრომის ნადი „ხე-ტყე“-ს გამგეობის ახალი არჩევნები და არჩეულ იქნა სრულიად ახალი შემადგენლობა, ამისათვის ახალი გამგეობა ამით აცხადებს, რომ ძველი გამგეობის მიერ გაცემულ ყოველგვარ მოწმობებს, მინდობილობებს ან ვალდებულებებს—ხელწერილებით იქნება თუ თამასუქით, რომლებიც გაცემულია ამა წლის 20 მაისამდის, ახალი გამგეობა გაბათილებულად სთვლის, თუ ასეთები არ იქნება წარმოდგენილი ახალ გამგეობაში ამა წლის 8 ივნისამდე—დასადასტურებლათ ან საბოლოოთ გასაბათილებლათ. 8 ივნისის შემდეგ წარმოდგენილი რაიმე საბუთი არ იქნება ჩათვლილი ახალი გამგეობის მიერ და მაშასადამე აღნიშნული რიცხვის შემდეგ არ მიიღება არავითარი პრეტენზიები. ეს განცხადება არ ვრცელდება დაწესებულებებზე, რომლებთანაც „ხე-ტყე“-ს აქვს დადებული ხელშეკრულება.

„ხე-ტყე“-ს გამგეობა

კანტორა: კლარა-ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 27/29.

3—2 2514

გაზ. „კომუნისტი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

იყიდება სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.

0—9 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 2 ივნისს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 19 პუშკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. შიხინოვის მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, მაგიდებს, ფრაჟებს და სასადილოს სხვადასხვა მოწყობილობას შეფასებულს 1703 მან., სახ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 10 მაისს 1928 წ. თარიღით, № 1618 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს შემოძლეულ ფასიდან. ნ. 1172

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 6 ივნისს 1928 წ. დღის 10 საათზე, ადგილობრივ სოფ. მირიანში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ ჩოხელის ორ მოზვერს შეფასებულს 100 მან. რუსტამ ტუგიზმან ყიზის ვალის დასაფარავად და 8 ივნისს, 1928 წ. დღის 12 საათზე სოფ. ალაიანში გიორგი ილურიძის სამ ხარს და ერთ სპილენძის საარაყე ქვაბს შეფასებულს 155 მ. ოლღა ილურიძის ვალის დასაფარავად. ნ. 1174

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ქორესის ქ. კუთხე.

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. ვ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

თანახმად განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებისა,

ამა წლის 20 ივნისს შესდგება

უკანასკნელი და საბოლოო

საგამოცდო სესია იმ პირთა გამოსაცდელად, ვისაც სურს მიიღოს: 1) კბილის ექიმის წოდება, 2) კბილის ტეხნიკოსის წოდება.

მსურველმა წერილობითი განცხადება სათანადო საბუთებით უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 15 ივნისისა, საგამოცდო სესიის თავმჯდომარის სახელზე, შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 126 სტომატოლოგიური კლინიკა. იქვე შეიძლება დაწვრილებითი ცნობების მიღება. 13—1

ა. ვ. მიქ ბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—2

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 22, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. **ანაიტ სტეპანის ასული ურუმიანცმა** შემოიტანა განცხადება მისი გვარის ახალ გვარ **არუთინოვის** გვარზე შეცვლის შესახებ.

საერთო სადმ. ქ | განყ.

უფროსი ჯავახიშვილი

მმაჩის ბიუროს გამგე

კიკოლიშვილი

2524

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 639 ალექსანდრე მიხეილის-ძე ძეგველოვის სახელზე, ჩ. გ. 2526

დაკარგვა: მევინეობა-მევენახეობის საზოგადოების წიგნაკი № 327 კოლია დიმიტრის-ძე ჯანგიანის სახელზე, ჩ. გ. 2523

დაკარგვა: სამხედრო საღრიცხვო ბარათი № 30 გიორგი მარკოზის-ძე ჭანკვეტაძეს სახელზე, ჩ. გ. 2523

დაკარგვა: პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის მ.-გ. მილ. მიერ. სამხედრო აღრიცხვის ბარათი და ატ სტატი ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების შესახებ დავით არსენის ძე ჭეიშვილის სახელზე. ჩ. გ.

დაკარგვა რკინისგზის პროფკავშირის წიგნაკი, № 1172. პლატონ პავლეს-ძე ბუხრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2525

დაკარგვა: ქალაქის ლომბარდის გირაოს ქვითარი № 035898 ანა გოდაბრელიძის სახელზე, ჩ. გ. 2529

მთავლიტი № 904. კოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა,კამოს ქ. № 6